

არქივი

ქვეყნის მისია და სახელმწიფო ატრიბუტიკა აკაკი ბაქრაძის გამოაქვეყნებული წერილი. B1

პოლიტიკა

საქართველომ უნდა დაამტკიცოს თავისი მიზნების სერიოზულობა "ძალგან უწყებებში რეფორმების განხორციელებისას, აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ევროატლანტიკურ მოთხოვნებს," - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელმა სერ ჰარი ჯონსონმა. A3

უცხოეთი

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები დაიძაბა ინფორმირებული წყაროების ცნობით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში კრიზისი ორშაბათს, ბუშისა და პუტინის სატელეფონო საუბრის შემდეგ დაიწყო. A4

ეკონომიკა

ახლა მოდარჩა მხარეებმა და შეამაჯა "24 საათი" აგრძელებს პროფესიონალურ დისკუსიას ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ. ამჯერად, ქვეყნდება საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობისა და დარგობრივი ტენდენციების შედარებითი ანალიზი. A6

სამართალი

ბანერალური პროკურორი მსს მინისტრს საკადრო მანდრისკან მოაწოდებს გენერალურმა პროკურორმა მუქარა, რომ პროკურორებს, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებენ, თანამდებობიდან მოხსნის, მართლაც შეასრულა, თუმცა მისი რისხვის პირველი ობიექტი დაბალი რანგის თანამშრომელი გახდა. A7

საზოგადოება

კიდევ ერთი ტაძარი ინგრაჟა შარშანდელი მინისტრისგან დაზიანებული დიდუბის ლეთისმშობლის შობის სახელობის, მეცხრამეტე საუკუნის ტაძარი ნელ-ნელა ინგრევა. ნგრევის პროცესს კლიმატური პირობები კიდევ უფრო აჩქარებს და როდის ჩამოიშლება ტაძარი, არავინ იცის. A8

ახინდი

Table with 2 columns: Day/Event and Count. Includes rows for Tuesday (7), Wednesday (8), Thursday (5), Friday (6), Saturday (6), Sunday (3), Monday (8), Tuesday (2), Wednesday (4).

Table with 2 columns: Category and Value. Includes rows for US Dollar (21250), Euro (22774), Georgia Lari (33176), Ruble (0.0677).

მოკავშირეთა წინსვლა არ შეიძლება

ლევან ღირსიაშვილი დაიწყება თუ არა ბაღდადის შტურმი? გუშინ აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ შესაძლოა, ერაყის დედაქალაქზე შეტევა არ დაიწყოს. მისი თქმით, მოკავშირეები იმედოვნებენ, რომ სადავოს წინააღმდეგ თავად ბაღდადის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღდგება. რამსფელდის თქმით, აჯანყებულ მოსახლეობის ძირითადი ძალა ბაღდადელი შიიტები იქნებიან. უკანასკნელ დრომდე, ოფიციალური ვაშინგტონის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ბაღდადი - სადავოს უკანასკნელი იმედი იყო და მისი აღება დიქტატორის რეჟიმის დამხობას ავტომატურად გამოიწვევდა. მაგრამ, ამჯერად უკვე ცხადია ხდება, რომ განუწყვეტილება ერაყის დედაქალაქზე გადამწყვეტი შეტევის დაწყების შესახებ ჯერ მიღებული არ არის.

Map of Iraq with numbered locations 1-11. Includes text boxes with descriptions of military operations and locations like Baghdad, Samarra, and Basra. Source: United Press International, Reuters, GlobalSecurity.org.

დისკუსია, რომლისგანაც შედგება არაჰინდ ელოდა

რუსიდან ნიქარაჰა სა. კორ. მოსკოვი 28 მარტს ქართველი და რუსი პოლიტოლოგების მონაწილეობით მრგვალი მაგიდა გაიმართა - "რუსულ-ქართული დიალოგი: კრიზისიდან გამოსვლის გზები". დიალოგის ორგანიზატორები იყვნენ რუსეთის საგარეოპოლიტიკური დაგეგმვის კომიტეტი, თბილისის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი და ფრედრიხ შტურტი ფონდი.

ორი ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას რუსეთის მხრიდან წარმომადგენდნენ რუსეთის განვითარების სტრატეგიის ავტორები: სერგეი მარკოვი, სერგეი კორტუხოვი, სერგეი ოზნობიშვილი, სერგეი მარკედონსკი, ანდრეი ზაგორსკი, პაველ ზოლტაროვი, პაველ ფულგენ-გაუერი, იური კოლაბაძე, ალექსანდრე კონოვალოვი, დმიტრი ტრევენი, ალექსანდრე არბაზოვი, იური ფიოდოროვი და სხვები. საქართველოს მხრიდან - ზურაბ აბაშიძე, შალვა ფიჩხაძე, ვახტანგ ყოლაბაძე, რამაზ საყვარელიძე, კახა ჩიტაია, ვახტანგ რჩეულიშვილი, ია თიკანაძე, არმაზ ახვლედიანი, თეიმურაზ გამყემლიძე.

რუსულ-ქართული დიალოგის მთავარი თემები იყო: "რუსეთი და საქართველო ცვლელად სამყაროში", "ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები", "კონფლიქტების დარეგულირების გზები", "ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი ინიციატივები". მართალია, მეტიწილად უმეტესობაზე პასუხი კვლავაც გაუცემელი დარჩა, მაგრამ მთავარი მაინც თბილისში დაწყებული ანალოგიური დისკუსიის გაგრძელება იყო. რუსეთში ებრტის ფონდის წარმომადგენლის ბუბე მანისის აზრით, მთავარი ის, რომ დიალოგი შედგა, შედეგებს მნიშვნელობა არ აქვს.

დიალოგის სახელე იყო პოლიტოლოგ სერგეი მარკოვის ახალი ბრალდება - საქართველოს დედანამუშელება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი იმპერიული ზრახვების გამოვლენაში. "თქვენვე არ იცით, რა გინდათ, რუსეთში ერთი პოლიტიკური ელიტა მეორეს ებრტის და საქართველოსგან რა გინდათ?" - ირონიულად შენიშნა რამაზ საყვარელიძემ.

ქართველებისთვის გაუგებარი დარჩა, მაინც რა უნდათ რუსებს, რას ედავებოდა საქართველოს? ქართველმა მხარემ დადანიშნულა რუსეთი სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობაში ინიციატივის არქონის გამო. "ვინ ვითხრათ უარი ასეთ თანამშრომლობაზე, რატომ დათმეთ პოზიციები საქართველოში?" - გაკვირვებას ვერ მალავდა შალვა ფიჩხაძე. ვახტანგ რჩეულიშვილი კი, პირველი სხდომის დასრულების შემდეგ, კმაყოფილებით თავს აწვდებდა, მართლაც რა საინტერესო დიალოგი გამოვიდა.

ბაზრქალაზა A3 ბავრდუზა უმრავლესობის ზოგიერთი წევრი საქართველოში არსებული უმძიმეს ენერგოკრიზისთან დაკავშირებით მომზადდა და დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი ჩუბინიშვილის მიერ ხუთშაბათს გაკეთებული მოხსენებიდან გამომდინარეობდა. 79-ხმანი კვირუმის პირობებში, 67 დეპუტატის მხარდჭერა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ საკანონმდებლო ორგანოს დადგენილება მიეღო. ამ შემთხვევაში, უფრო სამსუხარბო და შემამოფოთებელი მაინც სხვა რამ არის: პარლამენტში მოიძებნა 22 დეპუტატი, ვინც წინააღმდეგობა იმისა, რომ "ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, დასვას თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და განახორციელოს შესაბამისი საკადრო ცვლილებები", ხოლო

ბაზრქალაზა A2 ბავრდუზა გადღეს თბილისის დროით 1:35-ზე ბრიტანულმა სამაუწყებლო კომპანიამ "ბი-ბი-სი-მ" გაავრცელა ინფორმაცია თურქეთში სამგზავრო ლაინერის გატაცების შესახებ. წინასწარი ინფორმაციით, გატაცებულია თვითმფრინავი, რომელიც ანკარა-სტამბულის რეისს ასრულებდა. ბი-ბი-სის ცნობით, თვითმფრინავი ათენის აეროპორტში დაჯდა, საიდანაც გამტაცებლები გეზს, საგარაუდოდ, გერმანიისაკენ აიღებენ.

თურქეთში თვითმფრინავი გაიტაცეს



რა ღირს სახლი სპასოვკაში?

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ახალი თავსატეხი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ყოფილი და ახლანდელი ხელმძღვანელობა, შესაძლოა, დიდ სკანდალში გაეხვიოს. ეს კი მაშინ მოხდება, თუკი ისინი ფრაქცია "აღორძინების" წევრთა ეჭვებს ვერ გააქარწყლებენ და ვერ ახსნიან, თუ რატომ გადაიხდა სახელმწიფო ბიუჯეტმა ნინოწმიდის რაიონის სოფელ სპასოვკაში, აჭარიდან ჩამოსახლებული 21 ოჯახისთვის 13 სახლის შესაძენად, არც მეტი არც ნაკლები, 160 000 ლარი.

თამარ ასათიანი პარლამენტის მთავანი რეგონებისა და განსახლების კომიტეტის სხდომაზე აჭარის დეპუტატის წევრთა ყურადღების ცენტრში სწორედ ეს საკითხი მოექცა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებსაც სწორედ მათ შეუტყის. როგორც გაირკვა, მათ აქვთ ინფორმაცია, რომლის თანახმად, სოფელ სპასოვკაში ერთი სახლი 15 000 ლარზე გაცილებით იაფი ღირს. არადა, ოფიციალური მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტმა თითო სახლში სწორედ ამდენი გადაიხდა. ეს კი "აღორძინების" წევრებს აფიქრებინებს, რომ საქმე, ელემენტარულად, ფინანსურ მაქინაციასთან გვაქვს, რომლის წყალობით, ზოგიერთმა თანამდებობის პირმა გავრიანად მოითხო ხელი. როგორც გაირკვა, სამთავრობო კომისიას, რომელსაც ლტოლვილთა და განსახლების ყოფილი მინისტრი

















იხილეთ პირველად

# ქვეყნის მისია და სახელმწიფო ატრიბუტიკა

**დღეს აკაკი ბაქრაძეს 75 წელი შეუსრულდებოდა. ადამიანებზე, მათ ღვანღზე, ყველაზე უკეთ მათი ნაზრევი მეტყველებს. ვთავაზობთ ბატონი აკაკის გამოუქვეყნებელ წერილს, რომელიც 1997 წელსაა დაწერილი. მასალა, აკაკი ბაქრაძის ქვეყნზე - წელი რუსიშვილმა მოგვანოდა.**

### აკაკი ბაქრაძე

საზოგადოება, ერი, პიროვნება მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. განვითარების შეჩერება შეუძლებელია. ეს ანტიბუნებრივი მოვლენა იქნება. თუ რაიმე ძალდატანების გზით განვითარება დაბრკოლდა, შეჩერდა, ეს გამოიწვევს მთელი საზოგადოების, ერის, პიროვნების სიკვდილს. ამიტომ განვითარება მუდმივი, შეუწყვეტელი პროცესია. ამ პროცესს ემორჩილება მთელი კაცობრიობა და, ცხადია, ქართველი ხალხიც. მაგრამ განვითარების პროცესს შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს - წელი, ტაატი მიმავალი და ჩქარი, აქტიური, სწრაფი. სამწუხაროდ, ქართველი ხალხის განვითარების პროცესი წელიწადი, ზღაპრული, ტაატი მიმდინარეობდა, რადგან, ჩვენდა საუბედროოდ, საქართველო, ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე კოლონიური ქვეყნის მდგომარეობაში იმყოფებოდა. არსებითად გიორგი ბრწყინვალის სიკვდილის შემდეგ ქართული სახელმწიფო თანდათანობით დაიშალა და საქართველოც, ვითარებისა და შესაბამისად, ხან სპარსეთის კოლონია იყო, ხან თურქეთისა და ხან რუსეთისა. გიორგი ბრწყინვალე კი 1346 წელს გარდაიცვალა. მას მერე მოგვიტოვა დამოუკიდებელი ხალხის უღელს. ეს კი ძალიან დიდი პერიოდი იყო ისტორიაში. ამ ხნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიაში რა არ მოხდა, რა ძვრები, რა პროცესები. ჩვენ ამ ძვრების შორიდან მაყურებელი ვიყავით და არა უშუალო მონაწილე. საქართველო ორი უაღრესად ჩამორჩენილი სახელმწიფოს - სპარსეთისა და თურქეთის - ყრუ პროვინცია, ყრუ ორბი იყო. კაცობრიობის მიქცევა ცხოვრების შორეული უბნით (უპუ ქართული შესატყვისა ბერძნული ექსი) თუ აღწევდა ჩვენამდე. მერე თურქეთი და სპარსეთი ასევე ჩამორჩენილი რუსეთმა შეცვალა. მართალია, ბევრი წინადაც და დღესაც გულში ხელს იბრავუნებს და გაკვირების რუსეთმა ევროპულ გზაზე გაგვიყვანა, მაგრამ ამას როგორ მოახერხებდა, როცა რუსეთს არაფერი აქვს საერთო ევროპასთან? პეტრე პირველიც, ეკატერინე მეორეც ბევრს ეცადინე, მაგრამ არ დაზოგეს, რომ რუსეთი ევროპას დამსგავსებოდა, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოვიდა. რუსეთი იყო და დარჩა ბიზანტიურ-მონღოლურ სახელმწიფოდ, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ - განვითარების უაღრესად დაბალი ტიპის სახელმწიფოდ, სადაც ცვლილებანი ოდნავ თუ შეიძლება, თან უარესობისაკენ და არა უკეთესობისაკენ. ამის ცხადი, უდავო და ნათელი მაგალითია მონარქიული სისტემის შეცვლა რუსეთში კომუნისტური დიქტატორით, ჩანასახობრივ მდგომარეობაში მყოფი კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის შეცვლა სოციალისტური ეკონომიკური სისტემით. არც დღეს ეტყობა რუსეთის რაიმე ძვრა წინსვლისაკენ. არც დღეს ეტყობა რუსეთს რაიმე ძვრა უკეთესობისაკენ. უზარმაზარმა ქვეყანამ, ჯერჯერობით, ვერ განსაზღვრა - საით უნდა იაროს.

რაკი საქართველო კოლონიური ქვეყანა იყო, მას განვითარების საკუთარი ტემპი არ ჰქონია. მისი განვითარების ტემპი განსაზღვრული იყო ან თურქეთის, ან სპარსეთის, ან რუსეთის ტემპით. ასეა დღესაც. ეკონომიკურად თურქეთის კოლონია გავხდით, პოლიტიკურად ისევ რუსეთს შევცვივებით თვალუბნი მისი მონაწილეობის მოლოდინში. ამან გამოიწვია საქართველოს უკიდურესი ჩამორჩენა. არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ცნობიერების კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად აღიარებულია საქართველოს დამოუკიდებლობა, დღევანდელ ქართველს მაინც კოლონიურ-მონღოლური ცნობიერება აქვს. ამის უტყუარი საბუთია თუნდაც ის, რომ დღეს არც ხელისუფლება და არც რიგითი მოქალაქე არ ამბობს - მტრის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიას (აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი) ჩვენი ძალით დავიბრუნებთ, არამედ იმედოვნებს - რუსეთი დავიბრუნებთ. ე. ი. დავიბრუნებთ ის, ვინც წავგარიდა. ეს არის კლასიკური ტიპური მონღოლური ცნობიერება. უეჭველია ისიც, რომ ამგვარი ცნობიერების ხელისუფლება და ხალხი დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვერ ააშენებს.

სახელმწიფო ცნობიერების უქონლობის ბრალია ის, რომ მოხდა კურონული შემთხვევა: საქართველოს პარლამენტმა მიიღო "კონსტიტუცია", რომელიც არ არის განსაზღვრული - რა არის საქართველო, როგორია მისი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, როგორია მისი სახელმწიფო ატრიბუტიკა - დროშა, გერბი, ჰიმნი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თავად ხელისუფლებამ გამოამყვანა უპატივცემულობა ქართული სახელმწიფოებრიობისად-

მი, მისი კონსტიტუციისა და მისი სახელმწიფო ატრიბუტიკისადმი? რა თქმა უნდა, სწორედ უპატივცემულობას ნიშნავს.

ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია ხალხს მოსთხოვო პატივი სცეს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, მის ატრიბუტიკას, არ მოქცეს მისი ლაზღანდარულად.

ამჟამად ბევრი ლაპარაკია სახელმწიფო ატრიბუტიკის - დროშა, გერბი, ჰიმნი - შეცვლაზე. მაგრამ თავისთავად ეს შეცვლა არაფერს ნიშნავს, თუ იგი ეყრდნობა მკაფიოდ გამოხატულ იდეოლოგიურ საფუძველს. საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე ქვეყნის ერთიანობის ეს იდეოლოგიური საფუძველი ყოველთვის ნათლად გამოითქმოდა. დღესაც უნდა გამოითქვას.

როცა არააქვს მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასლის საქართველო დანაგრეხ და როცა დადგა დრო ჩვენი ქვეყნის ისევ აღორძინებისა, ქართველი პოლიტიკოსების საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო ერთიანობის ისევ აღსადგენად ეყრდნობოდა ფორმულას, რომელიც გიორგი მერჩულემ ასე გამოთქვა: "ქართლად ფრიადი ქვეყანა ილირიცების, რომელსაც შინა ქართულია ენითა ჟამი შეინიერის და ლოცვაი აღსრულების ..." ამ დებულების საფუძველზე ჩამოყალიბდა და აშენდა დავით აღმაშენებლის საქართველო.

ამ საკუთის დასახსნისში, როცა საქართველოს ავტონომიის იდეა წამოაყენეს, არჩილ ჯორჯაძემ ასე განსაზღვრა საქართველოს ტერიტორია, რომელსაც ავტონომიური მმართველობის უფლება უნდა მიეღო: "შემაგალი საქართველოს ტერიტორიად უნდა იყოს: აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, (რაჭა-ლეჩხუმი-თურთ - ა. ბ.), ლაზისტანის ნაწილი (აჭარა აქ იგულისხმებოდა - ა. ბ.), ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, მთიულეთი, ხვევი (დარიალამდე), სომხეთი, კახეთი, თუშეთი-ხევსურეთი, საინგილო".

ერია ლიგამიც საქართველო იმ ტერიტორიით მიიღეს, რომელიც კიდევ უნდა გავიმეორებთ გარკვეულობისათვის: საქართველოა აფხაზეთი, აჭარა, გურია, ე. წ. "თურქეთის საქართველო" (ანუ ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-თრუშეთი, ლაზეთი), თუშეთი, იმერეთი, კახეთი, ლეჩხუმი, მესხეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, რაჭა, საინგილო, სამეგრელო, სამურზაყანო, სვანეთი, ფშავი, ქართლი (რა თქმა უნდა მთლიანად. იმ ტერიტორიით, რომელიც, მოსკოვის ბრძანებით, ქართველმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა ოსებს და სომხებს აწუქეს), ხვევი, ხევსურეთი, ჯავახეთი. ეს კონსტიტუციამ უნდა ჩაინეროს, რომ ყოველი ადამიანისათვის გასაგები და ნათელი იყოს - რა არის საქართველო. ჩვენ რა წავგარიდა ცალკეოდ თურქეთმა და, ცალკეოდ რუსეთმა, ეს სხვა პრობლემაა. რისი დაბრუნების თავი გვაქვს დღეს და რისი არა, ესეც სხვა საკითხია. ლაპარაკია იმაზე, რა არის საქართველო საერთოდა და რისთვის უნდა მოღვენობდეს ქართული პოლიტიკური აზრი. ჯერჯერობით, ვთქვათ, არც გერმანელები აცხადებენ პრეტენზიას იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ მერე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ჩამოართვეს, მაგრამ გერმანული ტერიტორიის, გერმანული სამყაროს ერთიანობა-მთლიანობის შეგნება მათ არ დეუკარგავთ. ამაზე იხილება კიდევ, რუკებიც იცემა, სკოლაშიც ისწავლება. ეს იმიტომ, რომ გერმანულ ხალხს არ უნდა დაავინყდეს - რა მისი და რაა სხვისი. როცა მოვა დრო, გერმანული ხალხი მზად უნდა იყოს საკუთარი მინა-წყლის დასაბრუნებლად. ასევე უნდა ვიქცეოდეთ ჩვენც. მაგრამ ასე რომ მოვიქცეთ, ამას სათანადო აღზრდა-განათლებაც სჭირდება. კომუნისტური განათლების სისტემა ეროვნული ცნობიერების დაშლას ემსახურებოდა. ამიტომ ანაკუნებდნენ ავტონომიებად საქართველოს ტერიტორიას ბოლშევიკ-კომუნისტები. როცა ქართველმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა შიდა ქართლის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოსებს აწუქეს და "სამხრეთ ოსეთი" უწოდეს, მარტო ოფიციალური პრესა კი არ იხსენიებდა ამ სახელით ამ მინა-წყალს, არამედ ხალხიც, რიგითი მოქალაქეებიც. შიდა ქართლის ადგილობრივ მოსახლეობასაც კი დაავინყდა, რომ ეს ტერიტორია ქართლი იყო და ოსეთს გაიძახდა. როცა ქართველი ცხინვალის გავლით ომში მივიღო, იმას კი არ ამბობდა, რომ რაჭაში ცხინვალის ან ქართლის გავლით მივდივარო, არამედ ოსეთის გავლითო. ამგვარი შეგნება ეროვნული ცნობიერების სრული მოშლაა.

ჩვენ აფხაზეთი ახლა კი არ დავკარგეთ, არამედ მაშინ, როცა მისი ავტონომია შექმნეს, როცა საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ და მისმა დაქირავებულმა ისტორიკოსებმა პავლე ინგოროვსა "გიორგი მერჩულე" აკრძა-



აკაკი ბაქრაძე

**ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თავად ხელისუფლებამ გამოამყვანა უპატივცემულობა ქართული სახელმწიფოებრიობისადმი, მისი კონსტიტუციისა და მისი სახელმწიფო ატრიბუტიკისადმი? რა თქმა უნდა, სწორედ უპატივცემულობას ნიშნავს.**

**სახელმწიფო ატრიბუტიკაში უნდა გამოვლინდეს ქვეყნის მისია და მომავლის რწმენა, სხვაგვარად დროისა და ფულის ხარჭვა ატრიბუტიკის შესაცვლელად არ ღირს.**



ლეს. რაც ახლა, ფაქტობრივად, მოხდა, მისი იდეოლოგიური საფუძველი მაშინ შეიქმნა. ახლა საქართველოს ცხოვრება დაშლა-დანაკუნების გზით მიმდინარეობს. რუსეთმა უკვე წავგარიდა აფხაზეთი, ცხინვალის ოლქი. მათ ჩვენ არავინ დავიბრუნებთ, მაშინაც კი, საქართველო რუსეთის რიგითი გუბერნიის სტატუსსაც რომ დაყბუდდეს. ეს, სხვათა შორის, სრულიად ნათლად დადასტურდა იმ შემორანდულითაც, რომელსაც, ამ ცოტა ხნის წინათ, მოსკოვში მოანერგეს ხელი. კიდევ რომელ კუთხეს წავგარიდებენ უახლოეს მომავალში, ღმერთმა უწყის (კაცმაც იცის, მაგრამ ჯერჯერობით ღმერთს ვაფუძვინებთ). ამ ვითარებაში პარლამენტის დარაჯების ჩოხას ჩააცემეთ, გურულ-აჭარულ ჩაქურას თუ ხევსურულ ტალავერს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს პარლამენტსაც, მის მცველებსაც ოპერეტულს გახდის, სოციალ-კისკისის საგნად აქცევს. ისედაც მარიონეტული ხელისუფლება მთლად თოჯინების თეატრს დაემსგავსება. ოცდამეერთე საუკუნე მოგვადგა კარს და ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ამ საუკუნეს შეეფერება. ტრადიციის დაცვა სრულეობით არ ნიშნავს იმას, რომ ბრძანდ ვაიმეორით რაღაც ძველი. ძველი უნდა გაითვალისწინოთ, მაგრამ ახალი, დღევანდელი სახე მიეცეთ. ამას იაპონელები აკეთებენ კარგად. იმათ ზუსტად შეახამეს ძველი და დღევანდელი.

რა თქმა უნდა, ქართულ არმიას ახალი ფორმა სჭირდება, ქართულ პოლიციასაც. დამამცირებელია, როცა ჯარის რუსული ტანსაცმელი აცვია, ანდა პოლიცია საბჭოთა მილიციის ნარჩენებით არის შემოსილი. აუცილებელია ახალი. მაგრამ ჩაცმა-დახურვის დღევანდელი საკაცობრიო კულტურის გათვალისწინებით და ტრადიციულ ქართულ ტანსაცმელთან შესაბამისი. ჩვენ მზატვრებს შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ იდეოლოგიურად ზუსტი დავალება უნდა მიეცეთ.

კომუნისტური რეჟიმის დროს ერთი ჩვეულება დამკვიდრდა. როცა ამა თუ იმ დანესტებულების ხელმძღვანელი გამოცვლდებოდა, არაფერს აკეთებდა გარდა იმისა, რომ კაბინეტს არემონტებდა, თავისი გემოვნების შესაფერისად აწყობდა. სხვა საქმიანობაში არაფერი იცვლებოდა. ასე არ უნდა დავგეგმართოს სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლისას, თორემ ყოველი ახალი ხელისუფლება ახალ ატრიბუტიკას შემოიღებს და არ დასრულდება ეს პროცესი. მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენებდით, ახალ ატრიბუტიკას მაშინ მიეცემა ძალა, მაშინ განხრება მისდამი პატივისცემა, როცა მკაფიოდ გვეცოდინება, როგორი საქართველოს სიმბოლიკაა იგი - დამოუკიდებლობისა თუ ერთიანობის, უნიტარულის, რამდენად გამომხატავს იგი ერთიან-მთლიან საქართველოს, მის სწრაფვას მომავლისაკენ, როგორ გვაკავშირებს წარსულთან.

როცა ქართველი პატივს არ სცემს ქართულ სახელმწიფო სიმბოლიკას, როცა ლაზღანდარულად ეყვირება მას, ეს სრულეობით არ ნიშნავს იმას, რომ ვერ შეიქმნა დიდი უმრავლესობის მოსაწინააღმდეგე ატრიბუტიკა და ამიტომ იგი გამოსაცვლელია. ეს, უპირველესად, უფრო მნიშვნელოვან განწყობილებას მუხუცეულია: კერძოდ იმისა, რომ ქართველს არ სჯერა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისა, არ სწამს ეს. არ იცის, რა მისიით უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო. ამიტომ მისთვის დასაშვებია, რომ მას ხარად იგდოს ქართული სახელმწიფოს ატრიბუტიკა. ამიტომ ხელისუფლების უმთავრესი და უპირველესი ამოცანა ის გახლავთ, რომ საქართველოს მოსახლეობა, ქართველი თუ არაქართველი, დაარწმუნოს, დააჯეროს, რომ საქართველოს აქვს თავისი მისია, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს არსებობა შესაძლებელია, მიუხედავად უთვალავი დაბრკოლებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას წინ ელოდება; რომ სწორედ ამ დაბრკოლებების დაძლევაში უნდა გამოვლინდეს ქართველი ხალხის სულის ძალა. თუ ეს რწმენა დამკვიდრდება ქართველ ხალხში, მაშინ სახელმწიფო ატრიბუტიკას პატივისცემით მოეყვრება დღევანდელი თაობაც და მომავალიც. აშშ-ის სახელმწიფო ატრიბუტიკას პატივს მარტო იმისათვის კი არ სცემენ, რომ ესთეტიკურად მშვენიერია, არამედ არსებითად და ძირითადად იმისათვის, რომ აშშ-ის მოსახლეობას სწამს მომავლისა, სჯერა აშშ-ის დიდი მისიის. ცხადია, საქართველოს, მისი სიმკერის გამო, ვერ დაეკისრება ის უზარმაზარი მისია, რაც აშშ-ს, მაგრამ ისიც, რაც საქართველოს შეუძლია შესასრულოს, მეტად საპატიოა და არსებითი. უმისოდ ამქვეყნად ღმერთს ხალხი არ გაუჩენია. საქართველოც თავისი მისიით არსებობს, ქვეყნის მართვა, უპირველესად, ამ მისიის მკაფიო განსაზღვრას გულისხმობს და მერე ყველა სხვა დანარჩენს. თუ ხელისუფლება ამ მისიის განსაზღვრას შეძლებს, მაშინ სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლას აზრი მიეცემა, რაკი სწორედ სახელმწიფო ატრიბუტიკაში უნდა გამოვლინდეს ქვეყნის მისია და მომავლის რწმენა... სხვაგვარად დროისა და ფულის ხარჯვა ატრიბუტიკის შესაცვლელად არ ღირს.

# ფაქტობრივი მაცნე საუკუნის მსოფლიო ექსპონატი



მსტისლავ როსტროპოვიჩი

ნელს, თებერვალში მსოფლიო მუსიკალური სამყარო სიხარულით მიეგება ცნობილი მუსიკოსის - მსტისლავ როსტროპოვიჩის "გრემი" დაჯილდოების ცნობას. როსტროპოვიჩი რიგით მეხუთედ კლასიკოსია, რომელსაც "გრემის" საგანგებო პრემია მიენიჭა შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის - ისააკ სტრენის, ვან კლიბერნის, გეორგ შოლტის, ზუბინ მეტასა და იცხაკ პერლმანის შემდეგ. კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო როსტროპოვიჩის დაჯილდოების ცერემონია, რომელიც სხვა ნობელ-ციებისგან განსხვავებით დიპლომატიური ნიუ-იორკის ყველაზე დიდ სასტუმროში, Waldorf-Astoria-ში. 700-კაციანი წვეულება ბრწყინვალე კონცერტით გამოირჩეოდა.

ახლა, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ნიუ-იორკელმა მსმენელმა აიღო ერთი საჩუქარი მიიღო - როსტროპოვიჩის მარტის ფესტივალი "სლავა და მეგობრები". ფესტივალი, რომელიც ნიუ-იორკის ფილარმონიის ინიციატივით იმართება და მოიცავს საუკუნის მუსიკის ექვსეულს, 11 კონცერტსა და მუსიკალურ საღამოებს მოიცავს. ფესტივალი უკვე დაიწყო და ის აპრილამდე გასტანს. აქ შესრულდება იმ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომლებთანაც ცნობილ მუსიკოსს ხანგრძლივი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა. საკონცერტო პროგრამაში დიდი ადგილი უკავია პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის ქმნილებებს. პროგრამა გაისხნა ბერნსტაინის უფერტიურით "დიდევა", რომელიც 1977 წელს დაიწერა.

ხვალისათვის ბრიტანის სავილიონი კონცერტის შესასრულებლად ნიუ-იორკში სოლისტი მაქსიმ ვენგე-

როვი ჩავიდა. ამ დღეს როსტროპოვიჩი უდიდესობებს ასევე მოსტაკოვიჩის "მეცხრე სიმფონიას" და ნანყვეტეს ოპერადან "ლედ მატეტი მცენიდა". კამერული მუსიკის დარბაზში კი მსმენელს ცნობილ მუსიკოსთა ტრიოს ხილვის შესაძლებლობა მიეცემა: მსტისლავ როსტროპოვიჩი (ჩელო), იური ბაშმეტი (ვიოლინი), იეჟი ბრონფმანი (ფორტეპიანო).

მოსტაკოვიჩი და ბრიტნი სავაზახულო ფესტივალის დასკვნითი ნაწილსაც დაავტორავს. ნიუ-იორკში საორკესტრო და კამერული მუსიკის კონცერტები აპრილამდე გაგრძელდება.

ნელს მსტისლავ როსტროპოვიჩმა ნიუ-იორკში კონცერტით აღნიშნა დაბადების დღეც. 27 მარტს მას 76 წელი შეუსრულდა. საკუთარ დაბადების დღეზე სხვადასხვა ქვეყანაში კონცერტების გამართვა როსტროპოვიჩისთვის უკვე ტრადიციად გადაქცეულა.

ბოლო ხუთი წელია მუსიკოსი თავის დაბადების დღეზე ბაქოში ჩადიოდა ხოლმე და იქ ატარებდა მასტერკლასებს. მარტის 75 წლის იუბილეზე მან შესანიშნავი საჩუქარი გაუტოა ბაქოელებს: ბავშვების იმუნოხატიისთვის 1,1 მილიონი დოლარი ჩაიტანა "ვაკცინების ფონდისთვის"; იაპონიის მთავრობისა და "იაპაპას ფონდის" ფინანსური მხარდაჭერით კი მან ინსტრუმენტები შეიძინა აზერბაიჯანის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისთვის. მუსიკოსი აზერბაიჯანელებსაც დასაჩუქრებს - პრეზიდენტმა შვიდარ ალიევმა მუსიკოსს თავისუფლების ორდენი გადასცა.

76-ე დაბადების დღეს დიდი მუსიკოსი მსოფლიო მოვლენათა ცენტრში - ნიუ-იორკში შეეგება.

## კალენდარი 29 მარტი

კრისტოფერ ლამბერტი იმ მსახიობთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც დედამინის, თითქმის, ყველა კუთხეში თავყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს. ბუნებრივია, ამ არმიის წევრთა უმეტესობა სუსტი სქესის წარმომადგენელია. ისინი ლამბერტის არტისტულ მონაცემებზე მეტად მსახიობის გარეგნობას აფასებენ, მაგრამ მათთვის მთავარი ესაა.

კრისტოფერ ლამბერტი ნიუ იორკში, ლონგ აილენდზე დაიბადა, მაგრამ წარმოშობით და მონოდებიტაც ნამდვილი ფრანგია. მამა - გაეროს ექსპერტი ფინანსურ საკითხებში, ხშირად მოგზაურობდა და კრისტოფერიც ორი წლის ასაკიდან სულ გზაში იყო; პერიოდულად სწავლობდა შეიქცარიულ კერძო სკოლაში. მშობლებს სურდათ, შეიქცარიული ეკონომისტი გამოსულიყო. მამის გავლენით, ის ერთხანს ლონდონის საფინანსო ბირჟაზე, ბანკ "ბერკლიმიც" მუშაობდა, მაგრამ იძულებით სამსახურს დიდ ხანს ვერ გაუძლო და ექვსიოდე თვეში პარიზში გადაბარგდა - მეგობარს მალაზისის საქმეებში ეხმარებოდა. ბოლოს უფროსი ლამბერტიც მიხვდა, რომ შვილს მსახიობობა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, კომპრომისზე წავიდა და კრისტოფეს მსახიობთა სკოლაში ორწლიანი სწავლის ფული გადაუხადა. ამის შემდეგ ლამბერტი პარიზის კონსერვატორიაში გადავიდა და მალევე მიიღო პირველი როლები ფრანგულ ფილმებში La Dame de Coeur და "კანონიერი ძალადობა". შემდეგ იგი პიუ ზაღონმა შენიშნა და ტარზანის როლზე დაამტკიცა.

კრისტოფ ლამბერტი რომ მიჩვიოდა მსახიობთა, ამას უკვე ყველა აღიარებს, მათ შორის - ლუკ ბესონიც. სწორედ ამ რეჟისორის წყალობით შეასრულა კრისტოფერმა თავისი უმნიშვნელოვანესი როლი ფილმში "მეტრო" და როგორც საუკეთესო მსახიობმა მამაკაცმა ფრანგული "ცეზარიც" მოიპოვა. მის ცნობილ ფილმთა ჩამონათვალი ასევე შეიძლება მოვიხსენიოთ - "პილენდერის" სერიები, "დრუიდები", "ცხრა თვე", "ადგომა" და "გიდონი". ლამბერტი, ძირითადად, მეომრების, კუნთმავარი, კეთილი, სუბერმენების სახეებს ქმნის. სხვათა შორის, მანდილონებისთვის ყველაზე მეტად მომხიბლავი ლამბერტის ღრმა გამოხედვა, უზნალოდ, ახლომხედველობის შედეგი ყოფილა და სხვა არაფერი...

ქალების გულთამბყრობელი მსახიობი ერთხანს მონაკოს პრინცესა სტეფანისაც ყვარობდა, შემდეგ კი, თითქმის, ექვსი წლის განმავლობაში ამერიკელი მსახიობის, დაიან ლინის ერთგული მუფლვე გახლდათ. მათ შვილიც ჰყავს - ელენორ ფაშინ ლამბერტი. ბოლო დროს კრისტოფმა მსახიობობას პროდიუსერობა და ბიზნესმენობა ამჯობინა. ის რესტორანთა ქსელის "ჟიტანის" მფლობელია და, როგორც ჭეშმარიტი ფრანგი, საკუთარ ღვინოსაც აწარმოებს.

ცნობილი მსახიობი კრისტოფერ ლამბერტი 1957 წლის 29 მარტს დაიბადა.



# "კულტურას ფასი არ აქვს, თუკი მას არ განვავითარებთ"

ევროსაბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციების მოსმენა დღეს გაგრძელდება

### მარა ნაფარძიძე

საქართველოს მთავრობისთვის კულტურა ორი დღით მაინც იქნება პრიორიტეტული. გუშინ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში საქართველოს კულტურის პოლიტიკის შესახებ ორდღიანი დებატები დაიწყო. ფორუმში პრეზიდენტმა შევარდნაძემ, მთავრობის, თითქმის, სრული (ძალიან უწყვეტის გარდა) შემადგენლობის თანდასწრებით გახსნა. შეხვედრაზე გამართულ დებატებს ორსამდე სტუმარი ესწრებოდა - კულტურის ადგილობრივი მოღვაწეები და ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი.

ორი დღის წინათ თბილისში ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი ჩამოვიდა. მათი ჩამოსვლის მიზანი, გუშინ დაწყებული დებატების გარდა, ისიც იყო, რომ, რამდენიმე თვით ადრე კულტურის სამინისტროსთვის მათგანვე მიცემული რჩევების საფუძველზე, საქართველოში დაწყებული მუშაობა გადაემთხვებინათ. რამდენად ემაყოფილები არიან ევროსაბჭოში საქართველოს ხელისუფლები-სა და, კერძოდ, კულტურის სამინისტროს მიერ გატარებული კულტურის პოლიტიკით, ფორუმის უცხოელ სტუმრებს არ დაუკონკრეტებიათ. გუშინ მათ კვლავ მოკლედ ჩამოაყალიბეს საკუთარი რეკომენდაციები (ეს ერთხელ უკვე მოხდა ევროსაბჭოში შეხვედრაზე). საქართველოს პრეზიდენტმა და საკითხის თაობაზე საკუთარი აზრი დაწვრილებით გამოხატა. ფორუმის მონაწილეებს კი დღის წესრიგში შეტანილი თემების გარშემო საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ.

ფორუმის პირველ დღეს მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავდა. კულტურის სამინისტროს, უცხოელი სტუმრებისა თუ კულტურის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა გარდა, მსგებდრები მონაწილე იყო ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეების საკმაოდ წარმომადგენლობითი შემადგენლობა, ასევე, ცალკეული ხელოვნები. დებატები კულტურის მინისტრის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ევროსაბჭო ექსპერტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ევროსაბჭოს კულტურის პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორმა ელბერტ ვოლფდირტიხმა გახსნა.

"კულტურას ფასი არ აქვს, თუკი ჩვენ მას არ განვავითარებთ. კულტურა შეტყობინება წარსულიდან, რომელსაც უნდა მოეუფროს. საქართველო, როგორც ევროსაბჭოს ახალი წევრი, პრიორიტეტულია ჩვენთვის. ქართული შედეგები ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად ეკუთვნის საქართველო ევროსაბჭოს. კულტურა მხოლოდ ჩვენს მოსხენებში არ უნდა ჩანდეს, ის ცხოვრებაში უნდა გავატაროთ. საქართვე-



სესილი გოგინბრიძე ედუარდ შევარდნაძე და ელბერტ ვოლფდირტიხი

ლო უნდა გადარჩეს თავისი კულტურის წყალობით. ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზანია, ენახოთ, რა შეიცვალა 2001 წლიდან დღემდე, გავმართოთ დებატები და შემდეგ მოხსენებები წარვუდგინოთ ევროსაბჭოს", - ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ევროპული ექსპერტების ჯგუფის ხელმძღვანელმა, ელბერტ ვოლფდირტიხმა. ევროსაბჭოს კულტურის პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორმა მოიბოძეა, რომ თბილისურ დებატებს ვერ ესწრებოდა მისი კოლეგა, კიდევ ერთი ექსპერტი ევროსაბჭოში მომხილვის ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფის პრეზიდენტიცაა. სამაგიეროდ, თბილისში ხელმოწერა ჩამოვიდა ექსპერტი ენდრიუ მაქელროი. გუშინ სწორედ მას მოუწია ევროსაბჭოს რეკომენდაციების დაწვრილებითი მიმოხილვა.

"ევროპული სტრუქტურების ყოველგვარ აქტივობას ძალიან ვაფასებთ. ჩვენს თანამშრომლობას ევროსაბჭოს ექსპერტმა, საქართველოს კულტურის სფეროში გასაკეთებელი ვიყავით, ყურადღებულად შევისწავლეთ საკითხი, მაგრამ ეს არ არის საქმარისი სასარგებლო შენიშვნებისთვის. სამი თვე დაეძინა პრობლემატიკის გამართვა. შევეძლია, მსოფლიო ჩვენი კულტურა შევთავაზოთ, ის საკმაოდ კონკურენტუნარიანია", - პრეზიდენტი თავის საკმაოდ ვრცელ გამოსვლაში ორდღიანი ფორუმის დღის წესრიგში შეტანილ სხვადასხვა თემებსაც შეეხო. ისაუბრა კულტურისადმი საკუთარ, მჭიდრო და მოკიდებულმაზე, რის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი მოიყვანა უახლოესი თუ უშორესი წარსულიდან. გამოსვლა კი დაასრულა ფრაზით, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად ელოდნენ ევროპული ექსპერტები: "სახელმწიფო კულტურას განიხილავს, როგორც პრიორიტეტს", - თქვა მან.

დებატების პირველი დღის პირველი ნაწილი ამით დასრულდა. პრეზიდენტთან ერთად ფორუმში დამსწრეთა გარკვეულმა ჯგუფმა დატოვა. დარჩენილთა რაოდენობა კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ დღის წესრიგის მომდევნო თემებზე საკმაოდ აქტიური მსჯელობა გამართულიყო. ფორუმის მომდევნო ნაწილის თავმჯდომარე იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კახა სიხარულიძე. მორიგი თემის წარდგენამდე ქართული დიპლომატიის ერთ-ერთი რეკონსტრუქციონერი ნარინა მარტოშვილიცაა მოკლედ ისაუბრა გუშინ დაწყებული დებატების მიმოხილვაზე და მის ორგანიზებულობაზე გაამახვილა ყურადღება. კულტურის სამინისტროს მიმართ კომპლიმენტებით დაიწყო საკუთარი გამოსვლა ევროსაბჭოს ექსპერტმა, საქართველოს კულტურის პოლიტიკის მიმოხილვის მომხსენებელმა, ენდრიუ მაქელროიმ. "იმდენი რამაა საქართველოს კულტურის სფეროში გასაკეთებელი, ვიყავით, ყურადღებულად იქნება ჩვენი ყოველი რეკომენდაცია. საქართველოში შარშან და შარშანის ჩვენთვის, გარკვეულწილად, შევისწავლეთ საკითხი, მაგრამ ეს არ არის საქმარისი სასარგებლო შენიშვნებისთვის. სამი თვე დაეძინა პრობლემატიკის გამართვა. შევეძლია, მსოფლიო ჩვენი კულტურა შევთავაზოთ, ის საკმაოდ კონკურენტუნარიანია", - პრეზიდენტი თავის საკმაოდ ვრცელ გამოსვლაში ორდღიანი ფორუმის დღის წესრიგში შეტანილ სხვადასხვა თემებსაც შეეხო. ისაუბრა კულტურისადმი საკუთარ, მჭიდრო და მოკიდებულმაზე, რის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი მოიყვანა უახლოესი თუ უშორესი წარსულიდან. გამოსვლა კი დაასრულა ფრაზით, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად ელოდნენ ევროპული ექსპერტები: "სახელმწიფო კულტურას განიხილავს, როგორც პრიორიტეტს", - თქვა მან.

## ოგა კოლექსიონერებზეც იმობიდა

### ნიმო ჰანიოვილი

მარტის ბოლოს პოლანდის ქალაქ მასტრიხტში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა (TEFAF) ჩატარდა. ერასის ომის გამო, არტილერები ყურჩამოყრილები ჩავიდნენ პოლანდიაში - 17 ქვეყნიდან 200 დილერი იყო მიწვეული.

1975 წლიდან მასტრიხტი ნამდვილ მექად იქცა მთელი მსოფლიოს კოლექციონერებისთვის. აქ ყოველწლიურად გამოფენა-გაყიდვა იმართება, წარდგენილ ნივთებს 120 საერთაშორისო დონის ექსპერტი ამოწმებს, რომ სიყალბე არ გაიპაროს. მყიდველებს წელსაც დიდი არჩევანი ჰქონდათ: კლასიკური ანტიკვარიატი, ძველი ოსტატების ფერწერა, თანამედროვე ქსოვილები, აღმოსავლური კერამიკა, მე-18 საუკუნის ავეჯი; იყო რამდენიმე გამორჩეული კოლექციონერი ენა, მათ შორის - მარტა სტუარტი, რომელიც აქტიურად ეძებდა ავეჯს: "მე ახალ ავეჯს ვეძებ, აქ ჩამოსვლისთანავე ვერბა თავი შეიკავა".

"ძალიან პესიმისტიური განწყობით ჩამოვიდი", - თქვა ჟან-ლუკ ბარონმა, ცნობილმა ლონდონელმა დილერმა, რომელიც ძველი ოსტატების სურათებს ყიდის. ბარონმა შარშან მიქელანჯელოს ადრეული ნახატი "დამხურებული ქალი", ირინდისის "ავტოპორტრეტი".

წელს ამერიკელების განსაკუთრებული ნაკლებობა იყო. მათ, როგორც ჩანს, ომის გამო ოკეანის გადალახვის შეეშინდათ. შარშან გაყიდვაში მონაწი-



გამოფენის ოფიციალური პლაკატი



ტანგის დინასტიის თავი

ლებდა 20 ამერიკული ანტიკვარული ფირმა. ამერიკელი კერძო კოლექციონერების გარდა, მასტრიხტის მუდმივი კოლექტივი იყვნენ მეტროპოლიტენი და პოლ გეტის მუზეუმები. წელს მასტრიხტის მხოლოდ რამდენიმე ამერიკელი კოლექციონერი ენა, მათ შორის - მარტა სტუარტი, რომელიც აქტიურად ეძებდა ავეჯს: "მე ახალ ავეჯს ვეძებ, აქ ჩამოსვლისთანავე ვერბა თავი შეიკავა".

დენად დიდი მოთხოვნა ფერწერაზე". წელს განსაკუთრებული ინტერესი იყო ქანდაკების მიმართ. ქანდაკება, რომელიც ზღვის ღვთაებას გამოხატავს, გასულ წელს სოტბის აუქციონზე 3,2 მილიონ დოლარად გაიყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქანდაკება ატორისგან ხელმოუწერელია, სოტბის აუქციონის მტკიცებით, იგი ლორენცო ბერნინის ეკუთვნის და რომის Fontana del Moro-სთვის იყო შექმნილი; მისი ხელისუფლების შექმნის ვალდებულება იყო. მასტრიხტში ჩასული კოლექციონერები ყოველთვის რაღაც მოულოდ-

ნელს ელიან. მიუხედავად იმისა, რომ დილერებმა საინტერესო ლოტები ხელსაყრელი დროისთვის გადადეს, წლევიანად მასტრიხტის გაყიდვაზე პიტები მაინც იყო - ბრილიანტის გვირგვინი, რომელიც, დაახლოებით, 1860 წლით, ორთქლიდან (უცნობი ევროპული სამეფო ოჯახისთვის შექმნილი). ლონდონელმა დილერმა, ბენ იანსენსმა კი, რომელიც აღმოსავლურ ხელოვნებაზე მუშაობს, წარმოადგინა ტანგის დინასტიის ორი ქანდაკება: კირქვი ნაკეთი ბოძისაქვას ტორსი და თიხით ნაქერნი გოგონას ფიგურა.

ექსპერტების ვარაუდი გამართლდა - ვაჭრობის მოცულობა წელს 10 პროცენტით დეცა. მასტრიხტის ვაჭორებს განმავლობაში სულ 70 ათასმდე ადამიანი დაესწრო. შარშან ამ ღონისძიებას 100 ათასი დამსწრე ჰყავდა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. გზავნი უფასოა.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაგისტრო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შიშვენი "ხალხის პირისპირ". თქვენი პირადი მონაწილეობა, დაგისაქმიანდებათ გასაქმების კომპლექსური ან ანკეტის შედეგით თქვენ ეთნოგრაფიული შიშვენი "ხალხის პირისპირ" წესებსა და ანკეტებს.

სამაგისტრო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიზორი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორი "ხალხის პირისპირ" შიშვენიდან ანკეტის საშუალებზე, ავითომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:  
დაქორწინებული, დაუმორჩინებელი, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

ბანათელება:  
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:


სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მხოლოდ კატეგორია, რომელიც კარგად ვიცნობთ, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, სავსებით უცხო "არაფერი" ან ვერცხვის მკვლელობის მონაწილეობა, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათვის თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააყრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააყრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

მიყვარს თუ არა მოგზაურობა? (თუ მიმოგზაურობთ საერთაშორისო ბარათს და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისწავროდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს დღეს?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საკუთარ ბარებში ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მხარე და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმები?

ბავშვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაცაც მოცდებოდა?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნაბრისი ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად ბავშვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ვგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმი?

ბავშვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მითსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადავლოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ახალხში?)

ბავშვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტატიის ბათონების "მთარის სწრაფი" შესრულება, ან აპირებთ ბავშვთა მონაწილეობის გაწევას?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამცდენით თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

სალასს "იუვე" აღარ მოსწონს

ტურინის "იუვენტუსის" ჩილეელი ფორვარდ მარსელო სალასი ვერც ამ სეზონში გადაურჩა მიმდინარე ტრავმას. სამხრეთამერიკელ თავდამსხმელს მარჯვენა მუხლის მენიუსკთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს, რასაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. ამ ტრავმის გამო სალასი მიმდინარე სეზონში უკვე ვეღარ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ახლა ჩილეელი ფეხბურთელი სამშობლოში მკურნალობს. სალასს ძალიან უნდოდა, მონაწილეობა მიეღო ამხანაგურ მატჩში, რომელსაც მისი ნაკრები პერუელებთან მართავს, მაგრამ ჩილეს ეროვნული გუნდის ექიმმა სალასს თამაშის უფლება არ მისცა.

რაკი სალასს სხვა საქმე აღარ აქვს, ინტერვიუების მიცემით იქცევს თავს. ის უკვე რამდენიმე სამხრეთამერიკული გაზეთის ფურცლებზე მოხვდა. ყველა ინტერვიუში აცხადებს, რომ მოსწონდა ტურინის "იუვენტუსში" თამაში და დიდი სიამოვნებით დატოვებდა "ბებერ სინიორას". "იუვეში" თამაში სიამოვნებას აღარ მანიჭებს. შესაძლოა, სხვა ფეხბურთელებიც ამას ფიქრობდნენ, მაგრამ ტურინულ კლუბს ვერ ტოვებენ, რადგან აქ ძალიან მაღალი ხელფასებია. ჩემთვის ფულზე უფრო მნიშვნელოვანი ფეხბურთია. ამიტომაც ვფიქრობ სხვა კლუბში წასვლაზე. იმედია მაქვს, ახალ სეზონში საინტერესო გუნდს ვიპოვი", - განაცხადა სალასმა. ჭორები დაიდას, სალასს თავის ყოფილ კლუბში, ბუენოს-აირესის "რივერ პლეიტში" სურს დაბრუნება...

რონალდინიოს პარიზელები ვეღარ ინარჩუნებენ

ძალიანაც არ უნდოდა ფრანგული "პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობას, ახალგაზრდა ბრაზილიელი ტალანტი, რონალდინიო გაეყვია, მაგრამ იმის გამო, რომ პარიზული კლუბი ფინანსურად ნელში გამართული ვერ არის, სეზონის ბოლოს რონალდინიოს, ალბათ, მოუწევს რომელიმე ევროპულ გრანდში გადასვლა. "რონალდინიო პარიზში თავს კარგად გრძობს და, ფინანსური კრიზისი რომ არა, კონტრაქტის დასრულებამდე არც დატოვებდა საფრანგეთს. ახლა "პარი სენ-ჟერმენი" ისეთ რთულ მდგომარეობაშია, რომ, ალბათ, უარს ვერ იტყვის იმ თანხაზე, რასაც რონალდინიოს გაყიდვით მიიღებს. ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის, რომელ კლუბში გადავა რონალდინიო. მისი შექენა კი ყველაზე მეტად მილანის "ინტერს" სურს", - აცხადებს ბრაზილიელი ფეხბურთელის აგენტი მინელ ფერერი.

ბასტიურკი იტალიაზე ოცნებობს

გასულ სეზონში ლევერკუზენის "ბაიერი" ისე შთაბეჭდიდავად ასპარეზობდა ევროპაში თუ გერმანიის ჩემპიონატში, რომ არავინ გრანდმა გამოთქვა "ასპირინითა" ფეხბურთელების შექენის სურვილი. საბოლოოდ, რაინერ კალმუნდმა მხოლოდ მიხალა ბალაკი და ზე რობერტო მიჰყიდა "ბაიერს", რაც ლევერკუზენელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მიმდინარე სეზონში "ბაიერს" ბუნდესლიგადან გავარდნის სერიოზული საფრთხე ემუქრება. ფეხბურთელებიც ცდილობენ, აქედანვე იზრუნონ კლუბის გამოცვლაზე. თურქი ილიდრაი ბასტიურკი ერთ-ერთი იმათგანია, ვისი შექენა ჯერ ისევ სურთ "ბაიერზე" ბევრად უკეთეს კლუბებს. როგორც თავად ფეხბურთელი აცხადებს, მისი გადაბირებით დანიტრესებულაა პრომიერლიგის ორი გრანდი - "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი", მაგრამ მას ინგლისში წასვლა არ სურს. "ბეიერს ნინადავდება მაქვს. თურქეთში დაბრუნებასაც მთავაზობენ, ინგლისში გადასვლასაც, მაგრამ მე არც "მანჩესტერი" მიზიდავს და არც "არსენალი". "ბაიერს" თუ დავტოვებ, მხოლოდ იტალიაში წავალ. ბუნდესლიგაში ბეიერს რამ ვისწავლე. ახლა მიზნაა, იტალიურ ფეხბურთის გავუგო გემო. მიმჩნია, რომ სერია A საუკეთესო ჩემპიონატია ჩემთვის", - ამბობს ფეხბურთელი.

სირქარის მოყვარული ოლივერ კანი

ამ ბოლო დროს, ოლივერ კანის წყალობით, ყვითელ პრესას საქმე არ გამოლევა. გერმანული ბულვარული გაზეთები ისე დეტალურად აშუქებდნენ კანის პირადი ცხოვრების ნიუანსებს, რომ ყველა მკითხველი უკვე ზედმინდენ კარგად ერკვევა მიუხედავად "ბაიერის" მეკარის ოჯახურ ამბებში. ცოლთან და საყვარელთან დაკავშირებული უსიამოვნებების შემდეგ კანის სახელმა კიდევ ერთხელ გაიღევა პრესის ფურცლებზე, თუმცა, ამჯერად სულ სხვა ამბულაში.

როგორც მიუხედავად "აბენდცაიტუნგი" იწყება, სამშაბათს, დილით ადრე, ოლივერ კანი მიუხედავად მამაკაც გზაზე გადაურეულით მიპარობდა თავის ახალ "აუდის". როგორც ჩანს, ძალიან ეჩქარებოდა მიუხედავად დაბრუნება. გვერდით ევჯდა მომხიბვლო ქრათმიანი ქალი, საგარეოდ, მისი ახალი სატრფო ვერცა. ერთ მოსახვევში რადარმა სიჩქარის გადაჭარბება დააფიქსირა. როგორც გაიკვია, "ოლი" დასამუხვევზე 75 კილომეტრ-საათით უფრო სწრაფად მიდიოდა. ამ დადარებისთვის "ბაიერის" მეკარეს მსუბუქი სასჯელი ელის - 776 ევრო ჯარიმის სახით და ორი თვის განმავლობაში არ ეწეება მანქანის მართვის უფლება.

რევაზ არველაძის ნარმატოპული, მებრამ უიღბლო დებიუტი

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა კარგი ფეხბურთი აჩვენა და საქირო გაკვეთილიც მიიღო

აპა ღონია

საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებისთვის გუშინდელი მატჩი არ ყოფილა მორიგი, შესარჩევი შეხვედრა - ის ცოტა უფრო დიდი მნიშვნელობის მატარებელი გამოდგა. გამორჩეული იყო იმით, რომ გუნდის ახლად დანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა, რევაზ არველაძემ, სწორედ გუშინდელ მატჩში იხიმა თავისი "ოფიციალური" დებიუტი ახალ პოსტზე (ამხანაგურ მატჩში მისი დებიუტი მოლოდინს წინააღმდეგ შეხვედრაში შედგა). მეორე, რაც გუშინდელ შეხვედრას გამოარჩევდა, უაღრესად სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა კარგად თამაშა, ძალიან კარგად...



ეს-ეს არის ახალიაპა ანვარიში გახსნა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საპარტიველო - ირლანდია 1:1 საქართველო: მამალაძე, ორბელიანი, ციმაკურიძე, სალუქვაძე, კანდელაკი, ბურნიძე, მანუკაძე, სირაძე, ახალია, ასათიანი (სამხარაძე 82'), ბობოხიძე (დეკანოზიძე 76').

ირლანდია: სტაჟი, ბრენანი, ტინევი (ბირნი 46'), პეისლი, ვულფინი, მილერი, ტორტონი, ტომპსონი (ო'კონორი 81'), დელი, რაიდი, ჰულეჰანი (ჰანტი 73'). გოლები: 1:0 ახალია (19'), 1:1 ჰანტი (84').

გაფრთხილება: ორბელიანი (31'), ციმაკურიძე (85'), რაიდი (31'). გაძევება: რაიდი (32'). მსჯელი: იანუშ მგეგიბერი (უნგრეთი).

ქართული ფეხბურთის სანაკრებო ისტორია რამდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ: იყო პერიოდი, როდესაც თითქმის ყოველთვის ღამაზად ვთამაშობდით, მაგრამ შედეგს ვერ ვაღწევდით. შემდეგ ის რომანტიკაც დაიკარგა. ახლა თითოეულ გულშემატკივარს ერთი რამ აკერია პირზე: "ჩვენს ფეხბურთელებს ნაკრებში თამაში არ უნდათ, ჯიგარი არა აქვთ". საქართველოში ჯერ კიდევ საჯაროა, რომ კარგი ფეხბურთელები გვეყავს, მაგრამ პატივითი არ არიან. ამ საქითზე საუბარი სხვა დროისთვის გადავლო, მით უმეტეს, რომ დღევანდელი მატჩის შემდეგ მეტი სალა-

ტივში" გადაბარებული მალხაზ ასათიანი, რომელიც თითქმის ყველა შეტევას იწყებდა. ძალიან საიმედოდ თამაშობდა დაცვის ხაზი. ჩვენმა მცველებმა "მეორე სართულზე" თამაშიც აჯობეს ირლანდიელებს. ძალიან აქტიურები იყვნენ ბურნიძე და სირაძე.

მატჩის დეტალური განხილვით თავს არ შეგანწყენი. მოკლედ ვეტყვი, რომ მატჩის 60-70 წუთი ქართველთა შეტევებში გაილია. ცხადია, არ უნდა დაგვაინყდეს ისიც, რომ 32-ე წუთზე ირლანდიელთა მე-10 ნომერმა, ენდრიუ რაიდმა, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნიდან გააძევეს. არ უნდა გამოგერჩეს ისიც, რომ მატჩის უკანასკნელ წუთებზე უპირატესობა დაეკარგეთ და გოლიც გაუფუჭეთ, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაშვებული გოლისას მცველების მიერ დამცველები შეცდომად ერთადერთი იყო მთელი მატჩის განმავლობაში.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურ მატჩში რევაზ არველაძის დებიუტი წარმატებულიც არის და უიღბლოც. ნარმატოპული იმიტომ, რომ მისმა გუნდმა გუშინ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, უიღბლო კი იმის გამო, რომ, დიდი უპირატესობის მიუხედავად, მაინც ვერ გავიმარჯვეთ. თუმცა, ეს კარგი გაკვეთილიც იყო: კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ფეხბურთის დაუხერხელი კანონი - "ვერ გაიტან, შენ გაგიტანენ" - თითქმის ყოველთვის სრულდება...

ასაქმეპარული ლოთარის ვნებანი

ექსვარსკვლავის ექსსაყვარლის აღსარება

ნირო ვირველი

აქამდე ლევერდარული მიუხედავად "ბაიერისა" და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონის, გერმანიის ნაკრების ლევენდარული კაპიტანი ლოთარ მათეუსი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ დონ ჟუნად ითვლებოდა. გერმანული ბულვარული გაზეთები ლამის ლეპორელოსავით ითვლიდნენ მის საყვარლებს და გულდასმით ადგენდნენ იმ ქალების სიას, ვისთანაც კი მათეუსი ოდენიმე რამე რომანის მსგავსი ჰქონია. ახლა კი ექსვარსკვლავის იმიჯს სერიოზული საფრთხე შეექმნა - მისი ყოფილი მეგობარი ქალი, ულირიკე კლევერი, იმდენად შეუბრალებელი აღმოჩნდა, რომ საყვერდო განაცხადა, ლოთართან სექსი დიდი არაფერი იყო... 25 წლის ქერთამიანი მოდელი სიბერეშეპარულ მათეუსისთვის თითქოს უკანასკნელი ნავსაყუდელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მათეუსი დიდხანს ვერ ძლებს ერთი და იგივე ქალთან. ერთადერთი ქალი, ვის გვერდითაც ლოთარმა სარეკორდო დრო - თერთმეტი წელიწადი გაატარა, მისი პირველი მეუღლე სილვია იყო. მასთან განმორების შემდეგ კი საზოგადოება მათეუსის გვერდით მუდამ ნაირ-ნაირ ქალებს ხედავდა: მეორე ცოლი ლოლიტა მორენა, "ბა-

იერის" ექიმის ქალიშვილი მარენ მიულერ-ვოლფარტი, რომელსაც მათეუსი ბავშვობიდან იცნობდა, ეგზოტიკური მონელი ჟანინა, თარჯიმანი კარა, მიუნხენელი კოსმეტოლოგი ჟანეტე... 2001 წლის დეკემბრიდან 2002 წლის თებერვლამდე ლოთარის მეგობარი იყო მომიზნებულელი ულირიკე კლევერი და ფეხბურთელი ყურებამდე შეყვარებული ჩანდა, მაგრამ არც ამ ურთიერთობამ გასტანა დიდხანს - 2002 წლის მარტში ულირიკემ "პლეი ბოისთვის" დაიწყო პოზირება, რაც მათეუსის სასტიკად არ მოეწონა. მათი განმორების მიზეზიც ეს გახდა. ლოთარის უიღბლო გაბრუნებულ "ულის" ბეიერს არ უფიქროა, უმაღლეს დონეზეა "ტავში" განაცხადა, ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ პირველ თვის იყო საინტერესო... რატომ ბრაზობს ფრაუ კლევერი? იმიტომ, რომ ლოთარმა მიატოვა, თუ იმის გამო, რომ "რაილის" ყოფილმა მწვრთნელმა უცებ იპოვა ახალი საყვარელი?

როცა აუსტრიელმა მათეუსი ვენის "რაილის" თავაკაცის პოსტზე მიიწვიეს, მამინ, ალბათ, ვერაფერ იფიქრებდა, რომ 41 წლის გერმანელი დონ ჟუნა უპირატესოდ მოახერხებდა ვენელი სტუდენტის მოხიბვლას... ჯულია კოჩერვა მხოლოდ 17 წლისაა და ვენის ერთ-ერთი მუსიკალურ სკოლაში სწავლობს. ამ ახალმა ამურელმა ავანტიურამ

ყველა გააოგნა - რა აქვთ საერთო 17 წლის გოგონას და 41 წლის, სიბერის გზაზე დამდგარ მამაკაცს? ვენაში ფიქრობდნენ, რომ ჯულია სწორედ მათეუსის ასაკემა მოხიბლა - პატარა გოგონებისთვის ხომ ყოველთვის საინტერესოა სიმნიშვნის ასაკემა შესული მამაკაცი, თანაც, ასეთი სახელგანთქმული და ცნობილი. ჯულიასთვის ეს, უბრალოდ, რომ მანტიკა, ლოთარისთვის კი - მორიგი გატაცება. ვენელებისგან განსხვავებით, ულირიკე კლევერი ბევრად უფრო რეალისტური იყო და მიაჩნდა, რომ პატარა გოგონას უნდა, მათეუსთან ურთიერთობის წყალობით, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეს. მართლაც, რომ არა მათეუსი, ვის ეცოდინებოდა რამე ჯულიას შესახებ? სხვათა შორის, ულირიკე მართალი აღმოჩნდა. ჯულიას ისე ძალიან უნდოდა მათეუსის ხელში ჩაგდება, რომ ასაკიც კი დაშალა - მათეუსს უთხრა, 20 წლის ვარო... უიღბლო დონ ჟუნამ მხოლოდ მაშინ გაიგო სიმართლე, როცა პრესაში ერთი ამბავი ატყდა, მათეუსი თინეიჯერების "შეხვეზე" გადავიდა. პატარა გოგონამ გამოცდილი ლოთარი სულ იოლად მოატყუა. არც პირადობის მოწმობა უჩვენა, - დეკარგი, უთხრა, არც პასპორტი ჩაახედა, - ძალიან ცუდი სურათია ჩაკრული და არ მინდა, ნახო. მოკლედ, ჯულიამ ყველაფერი იღონა მიზნის მისაღწევად



ლოთარ მათეუსი

და გაუმართლა კიდევ. მართალია, როცა მათეუსმა სიმართლე გაიგო, თავი მოტყუებულად ჩათვალა და საკვირველი ნიჭი, მაგრამ ამისაშობი ჯულიამ პოპულარობა მოიხვეჭა და ლოთარის წასვლა დიდად არც უნაღვლია. დარდით არც მათეუსი მოქცვდა. ჯულიას შემცველეს სულ ადვილად მიაგნო. ექს-ვარსკვლავს, ალბათ, ერჩია, მისი ურთიერთობა 28 წლის თარჯიმან მარინა კ-სთან პრესისთვის უცნობი დარჩენილიყო, მაგრამ მისი ულირის საცქიერით გულგატეხილმა მარინამ დანერგული მითეუსი ლოგიკურად და სიყვარულს მიხსნა. მევედრებოდა, უფლება მომეცი, შენი ცხოვრების მთავარი მამაკაცი გავხდეთ. ერთდროულად დაქორწინებაც კი შეიძლება. ასეთი აღწერით მათეუსი შეხედავდა, მათეუსს მარინა ერთ კვირში მომეხრდა. ახლა მარინა მისთვის უკვე წარსულია, რადგან მის ცხოვრებაში ისევე გამოჩნდა ახალი ქალი - მომხიბვლელი სერბი, სახელად ოლგა. მალა ის იღვას ყოველდღე მესივებს, ყვავილებს, ღია ბარათებს. ლოთარს არც დღემო იცვარდარეკვა ავიწყდება. მის მიერ მიტოვებული ქალების რიცხვი კი სულ უფრო იზრდება...



გაქვებორევაბი ,,ლაგენა ვეკი"

რაზმი

რუმინელები შაკის პარკში დარბიან

პაატა თოთაძე



რუმინეთის ეროვნული ნაკრები.

გაგვიხდება ნასაღები და რას გვატარებინებენო. თუ წაღებია, რუმინელები ორ თასს ნაიღებენ, თუ არა...

გადაეზარდათ, რომელმაც თითქმის ერთ საათს გასტანა. მოთელის შემდეგ მწვრთნელმა გუნდი ორად გაყო...

ორი თასის მაძიებელი



ბორჯღალოსნები საბრძოლველად ემზადებიან.

მო გუნდი, დღეს ბორჯღალოსნებს მოკავშირედ ექცა. პორტუგალიელებმა სწორედ რუსეთში უნდა ითამაშონ...

ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი და უთუოდ დაამარცხებენ მეტოქეს. რუსული გუნდები და, ჩვენ ჩვენი ანგარიში გვაქვს რუმინელებთან.

ლობა ასე გამოიყურება: გოდერი შველიძე, ავქსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, მეველ...

ეროვნულ სტადიონს ყადაღა დაადეს

თუმცა საქართველო - რუმინეთის მატჩი მაინც გაიმართება

ლაშქარის პლენარულ სხდომაზეც დაისვა. დეპუტატმა ალექსანდრე მამუკაძემ (ფრაქცია ტრადიციონალისტები) განაცხადა, რომ ფინანსთა...

როგორც ჩანს, გადამწყვეტილება რაიონულმა ინსპექციამ მიიღო. თუმცა, სტადიონის ხელმძღვანელობას შეუძლია თხოვნით მიმართოს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ ინსპექციას, შედეგმა გრაფიკი და სტადიონის დავალიანების დაფარვა სამი თვით გადაუვადდება.

„ავანტიამის“ წარმოება კი შეჩერდა, მაგრამ სამაგიეროდ, მორიგი გაფართოვება მიიღო უკვე საკმაოდ პოპულარულმა ავტომობილმა სახელად „მეგან“. კომპაქტ-კლასის ამ „ოჯახს“ შენევის სალონზე კიდევ ერთი ახალი წევრი შეეძინა. ესაა კუპე-კაბრიოლტი „მეგან CC“, რომ-



სიტროენ C2 სპორტი



ლანჩა იპსილონი

ლის შექმნაშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანული კომპანია „კარმანი“ ინჟინრებმა. „კარმანი“ სწორედ კაბრიოლეტების შექმნაზეა სპეციალიზებული. მათი დახმარებით, ფრანგებმა შესაძლებელი გახადეს, რომ კუპეს სტილის ავტომობილი 21 წამში კაბრიოლტად გადაიქცევა და პირიქით. ამ ავტომობილის საბარგული, ძირითადად, მოსახსნელი სახურავის შესანახადაა განკუთვნილი. თუმცა, როცა თავისუფალია, მისი მოცულობა 490 ლიტრს შეადგენს.

ამგვარი მოსახსნელ სახურავიანი ავტომობილი ცოტა ხნის წინ პირველმა შექმნა „მერსედეს-ბენცმა“ (მოდელი SLK), რომელსაც მაღლ „პეჟომაც“ (მოდელი 206CC) მიბაძა. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამგვარი ავტომობილები 60-იან წლებში მეტად პოპულარული იყო აშშ-ში. უფრო მეტიც, იქ ხშირად იქმნებოდა ისეთი მოდელები, რომლებსაც სახურავი ავტომატურად ეკვეთებოდა.

ახალი „მეგანი“ აღიჭურვება 1.6 და 2.0-ლიტრიანი ბენზინზე მომუშავე ძრავებით, რომლებსაც თითო ცილინდრზე ოთხი სარკველი ექნება და შესაბამისად, 115 და 136 ცხენის ძალას განავითარებენ. მათ გარდა მსუვრევი მიიღებს 1.9-ლიტრიანი ტურბოდირექტიული აღჭურვილი მოდელი, რომლის სიმძლავრეც 120 ცხენის ძალა იქნება.

კომპანია ამ სიახლის ბაზარზე გამომშვებს სექტემბრისთვის გეგმავს. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ „მეგან“ კუპე-კაბრიოლტის დებუტიც ცოტა ხნით გადაიდოს. თოველი არაა „რენო“ მეორე თაობის „მეგან სცენიკ“, რომელსაც თავიდან ასეც ეწოდა, მაგრამ ავტო-



კრაისლერ ეარფლაიტი

სალონის დერეფნი იგი, უზარალად, „სცენიკ II“-ად მოისინებოდა და, ალბათ, ზაფხულშიც, როცა პირველად წარსდგება მყიდველის წინაშე, სწორედ ამ სახელწოდებას დაიმკვიდრებს.

ეს ავტომობილი განეკუთვნება მრავალფუნქციური უნივერსალების კლასს. იგი მინივენიბისთვის დამახასიათებელი კომფორტულობით და სედანებისთვის ჩვეული მართვის სიმარტივით გამოირჩევა. შენევაში მეთერთოთის „სცენიკი“ ხუთადგილიანი იყო, მაგრამ რამდენიმე თვეში, ფრანკფურტის ავტოსალონზე იგი უკვე შეიდადილიან „გრან სცენიკად“ მოგვეცნობება.

ამ ავტომობილსაც ზუსტად იგივე ბენზინის ძრავები ექნება, რაც კუპე-კაბრიოლტ „მეგანს“. სამაგიეროდ, მის მყიდველებს გაცილებით ფართო არჩევანი ექნებათ დიზელის აგრეგატებში, სადაც მწარმოებელი მათ ოთხ სხვადასხვა მუშა მოცულობისა და სიმძლავრის მქონე მოტორს შესთავაზებს.

### „სიტროენის“ ახალი რალისტი

კიდევ ერთმა ფრანგულმა კომპანია „სიტროენმა“ შენევაში ბევრი სპეციალისტი გააკვირვა თავისი ახალი მოდელი - „სიტროენ C2



რენო მეგან CC

სპორტი“, რომელიც რალის რბოლებისთვისაა განკუთვნილი და კომპანისი საზოგადო რგში ყველაზე დაბალ საფეხურს დაიკავებს რალის სარიბლზე უკვე სახელმწიფო „იქსარასა“ და „სიტროენ C3 პლურერილის“ შემდეგ.

მოდელი „C2 სპორტი“ რალის ფორმაში კია გამოწყობილი, მაგრამ აშკარაა, რომ „სიტროენმა“ იგი „საქსოს“ შემცველად მოამზადა. გარდა ამისა, არც ისაა გამორიცხული, რომ შენევის დებუტატმა მომავალში რალის მსოფლიო ჩემპიონატზე „იქსარაც“ კი შეცვალოს. ოღონდ, მანამდე უფრო დაბალი დონის ჩემპიონატებში მოუწევს თავის გამოჩენა.

„სიტროენ C2“-ის ახალი სერიული ვერსია, რომელიც პირველად წელსვე, ფრანკფურტის ავტოსალონზე (ეს ავტოსალონი ორ წელიწადში ერთხელ ენაცვლება პარიზისას) იქნება წარმოდგენილი, აღიჭურვება 1.1 და 1.6-ლიტრიანი ძრავებით, რომლებსაც სრულიად ახალი კონსტრუქციის გადაცემითა კოლოფის შეწყვილებული მოგვიანებით კი მის პლატფორმაზე შეიქმნება „პეჟო 106“-ის მომდებრი თაობის ავტომობილი „პეჟო 107“.

რაც შეეხება შენევაში წარმოდგენილ „სიტროენ C2 სპორტს“, მის კაპოტქვეშ განლაგებულია 1.6-ლიტრიანი ტურბომოტორი, რომელიც 225 ცხენის ძალას იძლევა. მასთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი სექვენციული გადაცემითა კოლოფი. ამ სპორტულ ავტომობილს საბაზოსგან ასევე განასხვავებს მისთვის შეუფერებლად დიდი ზომის, 17-დამიანი სპორტული ბორბლები და აეროდინამიკური პაკეტი, რომლებიც მას სპორტული მანქანე-

ბისთვის დამახასიათებელ აგრესიულ იერს ანიჭებს. „ტატა“ - ინდოელი ევროპაში უკვე რამდენიმე წელია, ინდური კომპანია „ტატა“ შენევის სალონს არ ტოვებს და აქ ყოველთვის წარმოადგენს თავის უბრალო და, იმავდროულად, იაფფასიან მოდელს, რომელიც დღემდე ევროპაში თითქმის არავითარი პოპულარობით არ სარგებლობს.

### „ტატა“ - ინდოელი ევროპაში

თუმცა, ახლო მომავალში სიტუაცია რამდენიმე შეიცვლება, რამეთუ მალე „ტატას“ წარმოების სუპერმითი მოდელ „ინდიკას“ თავისი მარკით საყვირის ინგლისური კომპანია „MG როვერი“, რომელიც, ჯერჯერობით, საკუთარ საზოგადოლო რიგში მცირე კლასის ავტომობილებს მოისაკლისებს.

„ტატას“ პროდუქტია ინდოეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს და როგორც სპეციალისტები ამბობენ, კარგე პერსპექტივა გააჩნია აზიურ საავტომობილო ბაზარზეც. შენევაში წარმოდგენილი იყო პოპულარული კომპაქტურ სედან „ინდიკას“ უნივერსალის ტიპის ვარიანტი, რომელიც მცირე კონსტრუქციური მოდიფიკაციის შემდეგ „როვერის“ ემბლემით გაიყვანა ევროპაში.



ჩვენი სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების განშტოებანი, ყველა, როგორც ერთი, ეფუძნებოდა რწმენას, რომ ისინი იმართებიან ნათელი და ზოგადად აღიარებული ბუნებითი კანონით, რომელიც კაცის გონებამ აღმოაჩინა და რომელიც ყველგან ერთია. მისი ფუნდამენტური პრინციპები იმგვარ ჭეშმარიტებად იქნა აღიარებული, რომელსაც ახსნა ისევე არ ესაჭიროება, როგორც ეს არ სჭირდება გეომეტრიის აქსიომებს, და რომელთა დეკლარირებაც კი საკმარისია მათი სიმართლისა და სამართლიანობის კაცობრიობის მხრიდან აღიარებისათვის. ბუნებითი კანონის ჭეშმარიტებანი იმ დროისათვის თავისუფლების, სამართლის, თანასწორობისა და შემწყნარებლობის უმთავრეს სანქციად გვევლინებოდა. ეპოქის მთლიანი კონსტიტუციური ფილოსოფია ეყრდნობოდა ფასეულობათა ისეთ სისტემას, რომელშიც უმაღლეს ადგილს ინდივიდის ოფიციალური მხრიდან ჩარევისაგან თავისუფლება იკავებდა. ამ ბუნებრივი რეჟიმის განსაზღვრებად მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო მინიმალური ზომის მთავრობა და რომ რაც უფრო ნაკლები და მცირე იქნებოდა კაცთა მიერ შექმნილი მმართველობა, მით უკეთესი იქნებოდა იგი.

**რობერტ ჯეკსონი.**  
 აშშ-ს უზენაესი სასამართლო,  
 ნიურემბერგის პროცესის მოსამართლე.  
 ნიგნიდან "უზენაესი სასამართლო  
 მმართველობის ამერიკულ სისტემაში"  
 1954



დეგ მოსმენამდე კიდევ ერთ ნელს გაიწვლიდა, სასამართლოს სურვილი, რომ არგუმენტები კიდევ ერთხელ მოესმინა, მიანიშნებდა მის მზადყოფნაზე, რომ პლესის საქმის დაფუძნებული "განცალკევებული, მაგრამ თანხაბარი მოპყრობა" დოქტრინის კანონიერებისთვის გადაეხედა.

### სასამართლო აუქმებს პლესის პრეცედენტს და სეგრეგაციას უკანონოდ აცხადებს

1953 წლის 8 დეკემბერს მოსმენილი ხელახალი არგუმენტაციის შემდეგ სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება 1954 წლის 17 მაისს გამოაქვეყნა. გამოქვეყნებული გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლო თვლიდა, რომ რეარგუმენტაციამ თვითონვე დაადასტურა, იყო არა მეთოთხმეტი ჩასწორება სპეციფიურად ნაგულისხმევი სკოლების სეგრეგაციის საწინააღმდეგოდ:

"ჩრდილოეთშიც კი სასწავლო დაწესებულებებში მაშინ არსებული პირობები დღევანდელთან მიახლოებული არ იყო. სასწავლო პროგრამა, როგორც წესი, ძლიერ ელემენტარულ ხასიათის ატარებდა; ქალაქებს მოშორებულ რეგიონებში ჭარბობდა სკოლები, სადაც აკადემიური მოსწრება არაბიანი ნიშნით არ ფასდებოდა. მრავალ შტატში სასკოლო სეზონი სამ თვეს არ აღემატებოდა; და სავალდებულო დასწრება უბრალოდ არ არსებობდა. შედეგად ამისა არ არის გასაკვირი, რომ მეთოთხმეტი ჩასწორების ისტორიაში იყოს ძლიერ მცირე ინფორმაცია ამ ჩასწორების საჯარო განათლებაზე ნაგულისხმევი გავლენის შესახებ".



გაველიანი მოსამართლენი: შიგოუ ბლეკი, ერლ უორენი, უილიამ დაკლასი.

საპირისპიროდ ამისა, სასამართლომ განავითარა მოსარჩელეთა ცენტრალური თეზისი, რომ სეგრეგაცია თავისი არსით უთანასწორო იყო, იმისდა მიუხედავად, თუ რა ძალისხმევას გასწევდა სკოლა იმის მისაღწევად, რომ თეთრკანიანთა და შავკანიანთა სკოლებს თანაბარი ხარისხის შენობები, მასწავლებლები,

წიგნები, ავტობუსები და ა.შ. ჰქონოდათ. სასამართლომ გაიხსენა რამდენიმე ახლად განხილული საქმე, რომლებშიც მან პლესის დოქტრინას რამდენიმე გამონაკლისი შეუქმნა, როდესაც საქმე ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელს ეხებოდა. ამ საქმეებში სასამართლომ დაასკვნა, რომ სეგრეგაცია უთანასწორო პრაქტი-

კას წარმოადგენდა, რადგანაც შევკანიათა პროფესიული კარიერა ზინდებოდა იმ ფაქტით, რომ მათ დამთავრებული ჰქონდათ ნაკლებად პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლები, რომლებშიც მათ არ ჰქონდათ უნარი და შესაძლებლობა, რომ ჰქონოდათ კონტაქტი და ინტელექტუალური თანამშრომლობა საკუთარ თეთრკანიან თანატოლებთან. ამ საქმეთა მხარდაჭერით სასამართლომ თანაგონიერად აღიარა, რომ არაკონსტიტუციურად იქნა აღიარებული სეგრეგაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა საჯარო სკოლებში:

"ჩვენ ვაცხადებთ, რომ საჯარო განათლების სფეროში "განცალკევებული, მაგრამ თანაბარი" მოპყრობის დოქტრინას არ დაედგომება. განცალკევებული სასწავლო დაწესებულებანი არსობრივად არათანასწორი არიან. ამდენად, ვადგენთ, რომ მოსარჩელებისა და ყველა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფთა მეთოთხმეტი ჩასწორებით გარანტირებული კანონის წინაშე თანასწორობის უფლება სეგრეგაციის მიზეზით დარღვეულად მიგვაჩნია".

თითქმის 60 წლის შემდგომ ლეგალიზებული დისკრიმინაციისა, სასამართლომ პლესი ფერაგოსონის წინააღმდეგ საბოლოოდ გააუქმა. თუმცა, სასამართლომ ამ გადაწყვეტილების მთლიან იმპლემენტაციას კიდევ 20 წელი დასჭირდა - 1961 წელს ოლივერ ბრაუნის სიკვდილიდან დროის საკმაოდ გრძელი პერიოდი. 1955 წელს უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ მთლიანი ამერიკული განათლების სისტემა სასწავლოდ უნდა ინტეგრირებულიყო, მაგრამ სამხრეთის ლოკალურ სკოლათა უმრავლესობამ სეგრეგაციის პრაქტიკა იქამდე არ

შეწყვიტა, სანამ ყოველი მათგანი სათითაოდ, სასამართლოს ძალით, არ აიძულეს ასეთი ნაბიჯის გადასადგმოდ. ეს პროცესი გაიწვია 50-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე და ადრეულ 70-იან წლებში დასრულდა. ამასობაში, განსაკუთრებით 1960-იანი წლები სამოქალაქო უფლებათა დამცავი მოძრაობის ხანაში, უზენაესმა სასამართლომ ამერიკულ საზოგადოებაში არსებული ყველა სახის დაკანონებული სეგრეგაცია გააუქმა, დაწყებული ავტობუსის გაწერებიდან, საჯარო ბიბლიოთეკებისა და საპირფარეოების ჩათვლით.

ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეუ-



NAACP - ის ადვოკატები გამარჯვებას ზეიმობენ

# დემოკრატიზაცია და საერთაშორისო საზოგადოებრიობა



რუმბურიდ კატხური

დღევანდელ დღეს (იგულისხმება 4 ივლისი), 221 წლის წინათ, კონტინენტური კონგრესი შეიკრიბა იფოსადგეფიამი, სადაც მან ტომას ჯეფერსონის ავტორობით შექმნილ დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტს დაუჭირა მხარი. ეს ისტორიული დოკუმენტი შეიცავს რამდენიმე ისეთ ნაკვეთს, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენს დღევანდელი საუბრის თემისათვის - მსოფლიოს როლის შესახებ ეროვნულ დემოკრატიასთან მიმართებაში. დანარჩენი მსოფლიოს აზრის მიმართ გამობატული პატივისცემის" გამო დეკლარაციაზე ხელმოწერის თავს ვაძლეფულად ვთვლიდნენ, მსოფლიოს წინაშე გაემართლებინათ საკუთარი ქმედება "იმის გამოცხადების თაობაზე, რამაც მათ გადააწყვეტინა დედაქვეყნისაგან განცალკევება". ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამები კარგად აცნობიერებდნენ იმას, რომ მათი თავისუფლება დამოკიდებული იყო არა მარტო მათ მიერ წარმოებულ ბრძოლაზე, არამედ მსოფლიოს მხარდაჭერაზეც, უფრო ზუსტად, მათ უნებრზე, საკუთარ სიმართლებში სხვა ერებსაც დაერწმუნებინათ.

დამფუძნებელი მამების უმთავრესი არგუმენტი იყო უნებრად არა ნაციონალურ, კულტურულ ან ეთნიკურსტრისტულ მოსაზრებებს, არამედ უნივერსალურ, ჩამოუერთებ, ღვთის მიერ მინიჭებულ უფლებებს: "ჩვენ ეს ქვეშაირტების მიგვაჩნია ისეთად, რომელსაც ასხნა არ სჭირდება: ყოველი კაცი დამირთის მიერ თანასწორადაა შექმნილი; ისინი შემოქმედმა რამდენიმე ჩამოურთმევი უფლებით დააჯილდოვა; მათ ირცხვამია სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების უფლება". ეს არ იყო მხოლოდ ამერიკელთა თუ დასავლეთისთვის გაკეთებული დეკლარაცია; ეს მონოღება ნებისმიერთისთვის იყო ნავსაზრებები; ყოველ ადამიანს, იმის მიუხედავად, არაბია ის თუ ევროპელი, აზიელი თუ აფრიკელი, მდიდარი თუ ღარიბი, განათლებული თუ გაუნათლებული, ემისი საკუთარი ინტერესი, სურს თავისუფლება და იგი უნდა იყოს კიდევ თავისუფალი.

დეკლარაციის ტექსტი მომდევნო ელვითა და ქაქაქული გრძელდება: "ამ ჩამოურთმევი უფლებათა უზრუნველყოფად კაცთა შორის იქმნებიან მთავრობები, რომელნიც საკუთარ საზმართლიან ძალაუფლებას მართლათა თანხმობიდან იღებენ". ეს ბრძოლა განცხადება ყველაზე რეველუციური სხვა ანალოგიურ განცხადებათა შორის. მან ბრალი დასდო და პასუხისმგებლობა დაკისრა მსოფლიოს ყველა ხელისუფლებას, დიდი ბრიტანეთის (ქვეყნის, რომელსაც დეკლარაცია ყველაზე მეტად მტრობდა) ნაწილობრივი გამოწვევის გარდა, იმის გამო, რომ ყოველი მთავარი უფლებობა ძალის, მეფეთა დეპორტაციის, ან "ხეივანური მორჩინების". არც ერთი მთავრობის ძალაუფლება ხალხისგან არ იღებდა სათავეს. მთავრობის ერთადერთი დანიშნულებაა, ამშობად დეკლარაცია, მმართველებს ხალხის სამახსურმო იღებენ და არა პირიქით. კაცობრიობის

სინდისმა 4 ივლისს გამოცხადდა მსოფლიოს ყველა წრტილებში მონარქიკება რყევა იწვევს.

დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ამერიკისთვის ყველაზე საზარელი ომის გარიერაზე, ფოლადლოვამი შეჩერებისას, საკუთარი ინაუგურაციის გზაზე მდგომმა აბრაამ ლინკოლნმა დამოუკიდებლობის დღესად ჯეფერსონის ნამრთმევი დასძინა:

"იგი არ ეხებოდა მხოლოდ კოლონიებისა და დედაქვეყნის განცალკევებას. ამ დეკლარაციაში იყო რაღაც, რაც არა მარტო თავისუფლებას ანიჭებდა ამ ქვეყნის ხალხს, არამედ უსაზღვრო მომავლის იმედს უწერდავდა მთელ მსოფლიოს. იგი იყო რაღაც, რომელიც პირობას დებდა, რომ გარკვეულ დროში ყოველ ადამიანს მხრივადან მოესწინებოდა ტვითი და ყველას ექნებოდა თანასწორი შანსი. ეს არის ის სუნტიმენტი, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციაში გამოხატულია".

ამერიკის შეერთებული შტატები 1776 წლის 4 ივლისს სამი მარტივი და ერთმანეთთან დაკავშირებული იდეიდან დაიბადა: 1) ყველასთვის ყველა ხალხს აქვს უფლება, განსაზღვროს საკუთარი მომავალი; 2) ჩვენ, ყველანი, ადამიანთა ოჯახის წევრები ვართ; 3) ჩვენ ვართ ერთმანეთზე დამოკიდებულნი ამ უფლებების უზრუნველსაყოფად. ეს არის ის, რის გამოც მეორეთეული შტატების დამფუძნებელი მამები მიმართავდნენ დანარჩენ მსოფლიოს. ეს არის ის, რატომაც 1977 წელს, საკუთარ ინაუგურაციურ მიმართებაში ჯიმი კარტრამ განაცხადა: "სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ ვართ თავისუფალნი, გულგრილნი ვერ ვიქნებით თავისუფლების ბედის მიმართ ყველგან სხვაგან". კარტერს ესმობა, რომ მსოფლიოს შესავალი ერთი თავისუფლების ძალა ამავე იდეის ამაღლებულიდან და მიმზიდველობიდან მომდინარეობდა: "საუკეთეს გზა სხვა მინებზე თავისუფლების გაერკობისა მდგომარეობის ჩვენს ქვეყანაში იმის დემონსტრირებაში, რომ ჩვენს დემოკრატიული სისტემას მიბაძვის ღირსია".

დემოკრატია არც ერთი ერის ზღურბლზე არ მიდის მთლიანად განვიტარებული ფორმით. იგი ძალისხმევისა და ჭიდილის რეზულტატია. პორტუგალია ისეთი ერის მაგალითია, რომლისთვისაც უცხო არ არის დემოკრატიისთვის ბრძოლა. ორი ათეული წლის წინათ, ამ დიდი ერის შვილებმა, ვისაც მართი სორაების მაგვარი თავდადებული დემოკრატები მეთაურობდნენ, განავდეს ავტორიტარიზმში გატარებული საუკუნეები და მოიპოვეს თავისუფლება. პორტუგალიელი ხალხის გმირების მნიშვნელობის დაკარგვის გარეშე, აუცილებელია იმის აღნიშვნა (როგორც ეს შეერთებული შტატების დამფუძნებელმა მამებმა თავიანთ შემთხვევაში გააცნობიერეს), რომ პორტუგალიელი დემოკრატიის წარმატების დიდი ნაწილი პორტუგალიელთათვის უცხოეთით-და განუვლ დახმარებაზე მოდიოდა. გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატებმა არ დაიშურეს თავიანთი დახმარება ახალგაზრდა დემოკრატიისთვის. შეერთებული შტატები ამ პერიოდულ პროცესში გვიან ჩაერთო, მაგრამ საბოლოოდ აშშ-ს ელჩმა, ფრენკ კარლუჩიმ, დემოკრატიის დაცვის საქმეში მისი ქვეყნის ჭეშმარიტი სულისკვეთება გამოავლინა.

დღეს ჩვენს წინაშე არსებული საკითხი მდგომარეობს იმის გარკვევაში, თუ რა როლი ენიჭება საერთაშორისო თანამეგობრობას დემოკრატიის გაერკობისა და დაცვაში. დემოკრატია დიდიწინული ექსპერიმენტი, მაგრამ თუ ექსპერიმენტი ხალხს მათ კუთვნილი უფლებებს ართმევს, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს საერთაშორისო საზოგადოებრიობა?

### კონცეპტუალური კავშირი

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ლეგიტიმურობა ეროვნულ დემოკრატიასთან მიმართებაში ნათლად არასდროს განმარტებულა. გაერთიანებული ერებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ქარტიები ხშირად წინააღმდეგობრივ რჩევებს გვაწვდიან. ერთი მხრივ, ეს ქარტიები დემოკრატიული მმართველობისადმი მხარდაჭერას საკუთარ უნივერსალურ უფლებად აღიარებენ; მეორე მხრივ, ისინი კრძალავენ ყველანაირ ინტერვენციას "ისეთი საქმეებში, რომლებიც ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციის ფარგლებშია მოქცეული". იმის გამო, რომ ეროვნული არჩევნები უქვეყლად საშინაო საქმედ ითვლება, ამ ორი ნორმის კომბინაცია (ანუ ხალხის უფლებად დემოკრატიული მმართველობის არსებობისა და სახელმწიფოს უფლება სხვათა მხრიდან საშინაო საქმეებში ჩაურევლობის) დემოკრატიის დაპირების კოლექტიურად არაფორმირებად, ანუ ცხოვრებაში გატარების უშარბის ხდის. ამასთან, მხოლოდ თითოერთი მთავრობის თუ აქვს სურვილი, საზღვარგარეთ, სხვა ინტერესთა ხარჯზე, დემოკრატია დაიცვას. ზოგჯერ, როდესაც ძალაუფლებაში არცერთ კეთილად განხილული მთავრობები მოიანდა, დასავლური დემოკრატიებიც კი არ თაკილობენ, დემოკრატიული ინსტიტუტები საფრთხის ქვეშ დააყენონ. ასე მოიქცა შეერთებული შტატები 1954 წელს ვაეტრალში და 1970-73 წლებში ჩილეში.

მხოლოდ დემოკრატიის შესაქმნე ტალღის გაძლიერებისას და ცივი ომის შესუსტებისას, 1980-იან წლებში მიეცა საერთაშორისო საზოგადოებრიობას დემოკრატიისთვის ხმის ამაღლების საშუალება. დემოკრატიული მმართველობაზე გადასვლისა და არაკონსტიტუციური გადატოვებების შეცვლის პროცესში უცხოეთის მთავრობებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მთავრობათაშორისმა ორგანიზაციებმა სერიოზული ფუნქციის შესრულება იწვეს.

დემოკრატიის დასაცავად არსებული დღესავითი ნათელი მიზეზის გარდა, რომ დემოკრატია ადამიანის უფლებების დასაცავად საუკეთესო სისტემაა, ასეთი ქმედების გასამართლებლად არსებობს ორი ძლიერი, უსაფრთხოების მოტივით განპირობებული მიზეზიც. პირველ რიგში, ის, რომ დემოკრატია მშვიდობის შენარჩუნებას ემსახურება. როგორც ისტორია გვასწავლის, დემოკრატიები ძალიან იშვიათად ებრძვიან ერთმანეთს. აღნიშნის ღირსია ის ფაქტი, რომ სამი ავტორიტარული მთავრობა (სამხრეთ აფრიკაში, ბრაზილიასა და არგენტინაში) დაკავებული იყო მასობრივი განადგურების იარაღის შესამუშავებელ მამინე მატყვა. აიცილებს თუ არა ოცდამეერთე საუკუნე იმის იმ საშიშლელებს, რომელმაც მიიქცა საუკუნე გასვრა, მეტწილად იმაზე დამოკიდებულნი, მოახერხებენ თუ არა რუსეთში და ჩინეთში არსებული რეჟიმები, ავრთივე, ნიგერიაში, ინდონეზიაში, ეგვიპტესა და ალიგირში არსებული მმართველობები წარმატებულ დემოკრატიულ გარდაქმნებს. წარმატების შემთხვევაში მათ დადებითი ეფექტი ექმნებათ საკუთარ მიზობლებზე და მთელ მსოფლიოზე. ჩავარდნის შემთხვევაში კი რაიმე ფორმის რევიონული თუ გლობალური კონფლიქტის თავიანთ აცილება, შესაძლოა, სერიოზულ პრობლემად იქცეს.

უსაფრთხოების მცირე მიზეზი დემოკრატიის დაცვისთვის მდგომარეობს იმაში, რომ დემოკრატია მუდამსხელმწიფოებრივი სისასტიკის საწინააღმდე-

გოდ უძლიერესი ანტიდოქტა. არსებობს სამი გზა, რომელთა საშუალებითაც ეთნიკური თუ სხვაგვარი დანაწევრება შეიძლება დარეგულირდეს: 1) სახელმწიფოს ეთნიკური ჯგუფების მიხედვით დაყოფა, რაც ქვეყანათა უმრავლესობის შემთხვევაში არაპრაქტიკული არჩევანია; 2) ერთი ეთნიკური ჯგუფისთვის დომინირების უფლების მინიჭება, რაც ქრონიკული არასტაბილურობის რეცეპტია; 3) იმგვარი დემოკრატიული ფორმების შემუშავება, რომელსაც შეუძლია უმცირესობათა უფლებების დაცვა და ეთნიკური საზღვრების უგულვებლყოფით კოალიციების შექმნის ნახალისება. ჩვენი კოლექტიური გინებე უნდა ფოკუსირდეს ამ მესამე, დემოკრატიული არჩევანის რეალიზაციაზე.

სისასტიკით გამოჩრეულ კონცეპტია უმრავლესობა, რომლებიც ქვეყნის შიგნით გვხვდებოდა, არ არის ეთნიკური განსხვავებებით მოტივირებული. მათ უფრო მატივიტი მიზეზი აქვთ. ეს არის ის, რომ იქ არ არსებობს საყოველთაო საარჩევნო სისტემა. როდესაც ხალხს არა აქვს შესაძლებლობა, თავისი მთავრობა შეცვლინონ გზით უცვალობა. ისინი ამისთვის ძალადობას მიმართავენ. ისეთმა ავტორიტებმა, როგორც ჩე გუვარა იყო, ალიარა, რომ რეველუციური არ არიან წარმატებულნი იმ მთავრობების წინააღმდეგ, რომელნიც ძალაუფლებაში საყოველთაო არჩევნების რომელიმე ფორმის წყალობით მოვიდნენ". მოკლედ რომ ითქვას, დემოკრატია და მშვიდობა მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული ერთა ნიაღვრ ისევე, როგორც ერთა შორის. დემოკრატიული მთავრობის საშინაოად აუცილებელი უმთავრესი უპირატეობა მდგომარეობს კომპრომისსა და ნილაპარაკების ხელშეწყობაში. იგივე ინსტიტუტები არეგულირებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსაც. ამის საპირისპიოდ, ავტორიტარული მთავრობები ყურდნიბიან მხოლოდ ძალას, როგორც შინაურ, ისე საგარეო საქმეებში.

მსოფლიო მშვიდობის და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის დემოკრატიის გავრცობა და შემდგომი დაცვა აუცილებელი. საერთაშორისო საზოგადოებრიობას ამის სასაღწევად ორ საშუალება აქვს: 1) სახელმწიფოს მიერ დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის პროცესის კონსოლიდაცია და ხელშეწყობაზე შუამავა; და 2) სახელმწიფოთაშორისო დემოკრატიისთვის კოლექტიური თავდაცვის სისტემის შექმნა.

### დემოკრატიული გარდაქმნის ხელშეწყობა

პირველი მიდგომა - დემოკრატიულ გარდაქმნათა ხელშეწყობა საკმაოდ დიდიკატური საქმეა, რადგან გარდაქმნებს, როგორც წესი, საშინაო სიროთულებზე უკავშირდება. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ისეთებში, როგორიცაა რუსეთი, ჩინეთი, ნიგერია და ინდონეზია, რომელთა გარდაქმნაც მსოფლიოს მომავალზე იქონიებს გავლენას, ამერიკის შეერთებული შტატების ან სხვა დასავლური მთავრობების მცდელობა, "მოახსენარონ" იქ მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, უდავოდ გამოიწვევს ნეგატიურ და ნაციონალისტურ რეაქციას.

1980-იანი წლების მინურულს საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მოახსნა გზა, თავიანთ აცილებლობა სუვერენიტეტის დარღვევის ბრალდებები, როდესაც მან წარსულში დემოკრატიის ქვეყნის გარდაცვალება და ინფორმაციის მომავალზე იქონიებს გავლენას, ამერიკის შეერთებული შტატების ან სხვა დასავლური მთავრობების მცდელობა, "მოახსენარონ" იქ მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, უდავოდ გამოიწვევს ნეგატიურ და ნაციონალისტურ რეაქციას.

როს ცენტრი და ათეულობით სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია მიიწვია. სანდინისტები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარ პოპულარობაში და იმდენად უფროსდნენ იმას, რომ შეიძლებოდა, შეერთებულ შტატებს არჩევნებში მათი გამარჯვება ბათილად ექნო, რომ გადაწყვიტეს, მოეწვიათ სახელ და აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციები ამ უკანასკნელთა მიერ ქვეყნის არჩევნების მონიტორინგის მიზნით.

ამ წინადადებებს ყოველი დაპატიჟებული ჯგუფი თავისებურად გამოეხმაურა. თავდაპირველად გაეროს მიანდა, რომ არჩევნების მეთვალყურეობა მისი უფლებამოსილების მიღმა იყო და პროცესში ჩარევის არ ჩქარებოდა. OAS-ს ჰქონდა არჩევნების დამკვირვებლის გახმოცილება, მაგრამ წარსული ამკარა გაყალბების ფაქტების წინაშე პასუხიერად ყოფნას ამჯობინებდა. კარტერის ცენტრის "თავისუფლად არჩეულ მთავრობათა ხელმძღვანელების საბჭოს", რომელიც ამერიკის კონგრესნების ყოფილი და დღევანდელი პრეზიდენტებისგან შედგებოდა, ჩატარებული ჰქონდა პანანის არჩევნების მონიტორინგი რამდენიმე თვის წინათ, და როდესაც გენერალმა ნორიეგამ უარი განაცხადა ცენტრის მოხმობაზე, რომ მას დაედასტურებინათ თავისუფალი გამოვლინებაზე გამარჯვება მიეცა, კარტერის ცენტრმა არჩევნები გაუაღებულად ეცნო. იმ გაკვეთილიდან გამომდინარე, რომელიც კარტერის ცენტრმა პანამაში მიიღო, მან ნიკარაგუაში უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი დააფუძნა.

არჩევნებისთვის საშინაოლიანი წესების დანერგვას, როგორც წესი, ესაჭიროება მთავარ პოლიტიკურ აქტივობის შორის გარკვეული ხარისხის ხიობა. ის ქვეყნები, სადაც არ არსებობს თავისუფალი არჩევნების ტრადიცია, თითქმის ყოველთვის განიცდიან ასეთი ნდობის დეფიციტს. ნიკარაგუაში, 1990 წლამდე, თავისუფალი არჩევნების ჩატარება ყოველთვის ძალაუფლებაში მყოფი ხელიუფლებების მანიპულაციებს ენერგობოდა. ერთადერთი გზა, რომელიც ოპოზიციას რჩებოდა, ძალადობრივი რევოლუცია იყო. როდესაც ძალაუფლებაში მყოფმა სანდინისტებმა 1989 წლის აგვისტოში არჩევნები დაიწვეს, ოპოზიცია გაერთიანდა ერთ კოალიციად, რომელსაც UNO ეწოდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ მათგანს არ სჯეროდა სანდინისტების მიერ ჩატარებული თავისუფალი არჩევნებისა. სანდინისტები კი თვლიდნენ, რომ ოპოზიცია არჩევნების პოიკოტს ამჯობინებდა მასში დამარცხების რისკს. ნიკარაგუელები რომ მსოფლიოს საკუთარი თავის იმდებდებოდნენ, ისინი განხორციელ იყვნენ, გაემორებინათ თავიანთი ტრაგიკული წარსული. ორივე მხარეს საკუთარ პოზიტივებზე სამხელე წარმოდგენა ჰქონდა და არც ერთი მხარე არ იყო ამში მონიხაღმდგმისგან იმედგაცრეულები.

კარტერის ცენტრის "თავისუფლად არჩეულ მთავრობათა ხელმძღვანელების საბჭო" დამკვირვებლის როლში ფრთხილად შეუდგა საარჩევნო თამაშის წესების ნიკარაგუელთა შორის შეთანხმებას. დამკვირვებლებმა შეძლეს, სუვერენიტეტის დარღვევის ბრალდებაში პროლეტის თავიანთ აცილებინათ იმის წყალობით, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოს და ამ ქვეყნის მიერ იყვნენ მინეულნი. მათი ფუნქცია იყო, მოესმინათ საქონიერ და მათი საშუალებით ამოეცნოთ სპეციფიკური პრობლემები და მთავრობის ყურამდე მიტანათ ისინი, რაც უფრო მეტად ზრდიდა გამოსავლის პოვნის შანსს, ვიდრე პოიკოტს შესაძლებლობას. როდესაც ნიკარაგუელები გადაიჭრება, ოპოზიცია ხვდავს, რომ სისტემას ძალუღს ლეგიტიმურ საჩივარზე რეაგირება. ნიკარაგუაში, პატივსა და უყინანაში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყა-

ლი, და ხშირად სისასტიკით გაჯერებული იყო, რასაც თან ფედერალური ხელისუფლების ჩარევა და მასობრივი დემონსტრაციები ახლდა. მაგრამ 1970-იანი წლებისათვის კანონიერი დესეგრეგაცია უკვე გაქვითი იყო. საქმემ "ბრაუნის განათლების საბჭოს წინააღმდეგ" არა მარტო შესაძლო გახადა საჯარო სკოლათა სეგრეგაციის რღვევა, არამედ იგი იმ ათვლის წერტილად იქცა, რომელიც უზენაესი სასამართლის შემდგომი ანტიდისკრიმინაციული გადაწყვეტილებების კატალიზატორად იმუშავა.

ინგლისრიდან თარგმანი ნიკოლოზ რურუამი









24

საინფორმაციო



# სიტყვათა ლაბირინთები



E14-E15

REUTERS

ოქტავიო პასი

დუნია მისილი	2	შოთა იათაშვილი	6	დავით ქართველიშვილი	10	მალხაზ ხარბაძია	14
ლია სტურუა	3	მარინა ბრუბერი	7	იმიტ მამაძლი	11	ელიოტ უინგერბერი	15
ანდრო ბუაჩიძე	5	ბასო ხვედელიძე	8	ლუციუს ანელს სენეკა	12	უგარტო ეკო	16

# ამერიკა

დუნია მიხაილი თანამედროვე ერაყელი პოეტია, დაიბადა 1964 წელს, ბაღდადში. ამჟამად ცხოვრობს დეტროიტში, ასწავლის არაბულს უეინის უნივერსიტეტში. გამოცემული აქვს ოთხი პოეტური კრებული. წარმოდგენილი ლექსი შესულია წიგნში "ერაყელი პოეზია დღეს", რომლის გამოცემაც ზუსტად საომარი მოქმედებების დაწყების დღეს, 20 მარტს დაამთავრა ლონდონის King's College-მა.



დუნია მიხაილი

გთხოვ, ნურაფერს მკითხავ, ამერიკა  
 არაფერი მახსოვს  
 არ მახსოვს სად ვიყავი  
 ვისთან ერთად  
 არ მახსოვს რომელი ვარსკვლავი დაგვნათოდა თავს  
 ნუ მკითხავ  
 არც ადამიანთა ფერები მახსოვს  
 არც მათი გარეგნობა  
 არ მახსოვს, ჰქონდათ თუ არა ჩვენნაირი სახეები  
 ჩვენნაირი ოცნებები  
 მღეროდნენ თუ არა  
 წერდნენ თუ არა მარცხნიდან მარჯვნივ  
 ანკი, წერდნენ საერთოდ?  
 არ მახსოვს, ღამეს სახლებში ათევდნენ  
 ტროტუარებზე  
 თუ აეროპორტებში  
 ღამე რას შვებოდნენ?  
 უყვარდათ?  
 არც ეს მახსოვს  
 გთხოვ, ნუ მკითხავ, ამერიკა  
 არ მახსოვს მათი სახელები  
 არც დაბადების ადგილი ვიცი მათი  
 ადამიანები ხომ ბალახივით არიან – ყველგან ჩნდებიან, ამერიკა  
 ნუ მკითხავ...  
 არ მახსოვს რა დრო იყო  
 როგორი ამინდი  
 არც ენა მახსოვს და არც დროშა  
 ნუ მკითხავ...  
 არ მახსოვს რამდენ ხანს იარეს მზის ქვეშ  
 რამდენი დაიღუპა  
 არც ის გემები მახსოვს  
 არც პორტები  
 რამდენი იყო...  
 ... არ მახსოვს რამდენი ჩემოდანი მიჰქონდათ თან  
 შინ რამდენს ტოვებდნენ  
 არ ვიცი მოლუშულები მიდიოდნენ

თუ ერთი დასაძრახი სიტყვაც არ დასცდენიათ  
 შეწყვიტე ეს შენი დაკითხვა, ამერიკა  
 შეწყვიტე  
 კითხვების ნაცვლად, ხელი შეაშველე დაღლილებს  
 იქ, სხვა ნაპირზე  
 ოლონდ, გთხოვ, კითხვებს ნუ დაუსვამ  
 რად გინდა სიები  
 რისთვის გჭირდება მთელი მსოფლიოს ხელში ჩაგდება  
 თუ სულიერებას დაკარგავ, ამერიკა?  
 ვინ თქვა ზეციდან ყველა ვარსკვლავი გაქრებაო  
 ყველანი უგზო-უკვლოდ დაიკარგებიან  
 თუ ღამე უპასუხოდ გაილევო?  
 ამერიკა, მდინარეს მიანდე  
 მდინარეში გადაუძახე შენს კითხვარებს  
 და მარტო დამტოვე ჩემს საყვარელთან  
 უკვე დიდი ხანია  
 მე და ის ორ შორეულ  
 გარიყულ  
 ბობოქარ ნაპირს ვგავართ  
 შუაში კი მდინარე მიიკლაკნება

დიდი დრო გავიდა, ამერიკა  
 გაგრძელდა ეს დრო  
 (უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე სალამოობით ბეზიას მოყოლილი ზღაპრები)  
 რატომ მისვამ ამდენ კითხვას?  
 ჩვენი თითის ანაბეჭდები გინდა  
 ყველა ენაზე  
 და მე დავბერდი  
 მამაჩემზე მეტად დავბერდი  
 სალამოობით, როცა მატარებლების ხმა აღარ ისმოდა  
 მამა მეტყოდა ხოლმე  
 ერთ დღესაც, ჩვენ ამერიკაში წავალთ  
 ერთ დღესაც ჩვენ აუცილებლად წავალთ ამერიკაში  
 და თავისუფლების ქანდაკებასთან  
 ვიმღერებთ სიმღერას  
 თარგმნილს თუ უთარგმნელს  
 და ახლა, ამერიკა, ახლა  
 დღეს  
 მე შენთან მოვედი,  
 მამაჩემის გარეშე მოვედი  
 მარტო

გვამები სწრაფად მწიფდებიან  
 ინდურ ლელვზე უფრო სწრაფად  
 თანაც მათ აყვავებაც ვერ მოასწრეს  
 ვერ გაიზარდნენ  
 ამერიკა  
 ისინი მოდიოდნენ ჩვენს სიზმრებში ხან აჩრდილებად  
 ხან სინათლის სვეტებად  
 როგორც მონყვეტილი ვარსკვლავები  
 ცისარტყელებად გადასალტულნი  
 სახლის სახურავებზე  
 იმ სახლებისა, ჩვენ რომ დავტოვეთ  
 ხანდახან ისინი ბრაზდებოდნენ, თუ ცოტა ხანს ვალოდინებდით....

რა დროა ახლა?  
 ეშიშობ, სწორედ ის ფუჭი ჟამი დგას  
 როდესაც შენგან  
 რეგისტრირებული ფოსტა უნდა მივიღო, ამერიკა  
 და მეც გავეთამაშები თავისუფლებას  
 როგორც მოშინაურებულ კატას  
 რადგან არ ვიცი  
 სხვა რა ვუყო ამ თავისუფლებას  
 ასეთ დროს  
 ასეთ ჟამს  
 არარაობა...


და ჩემი მიჯნური იქ, მდინარის გაღმა  
 ჩემთვის ყვავილს ინახავს  
 მე კი – როგორც იცი – გაცრეცილი  
 ფერნასული ყვავილები  
 არ მომწონს  
 მიყვარს ჩემი საყვარლის ხელნაწერი  
 რომელიც ყოველდღე ფოსტით მოსულ წერილებში ვარსკვლავით ანათებს ჩემთვის  
 მე მას სათუთად ვარჩევ  
 დავიხსნი ხოლმე  
 როგორც უძვირფასეს მონაპოვარს  
 იმ სარეკლამო პლაკატებიდან  
 ჩვენ, ადამიანებს ათას რამეს რომ გვთავაზობენ  
 ხან:  
 იყიდე ერთი და მიიღე მეორე საჩუქრად  
 ხანაც: თუ ამ ჟურნალს გამოიწერო, მილიონ დოლარს მოიგებ!  
 ანდა: გადასახადები ყოველთვიურად უნდა გადაიხადოთ



მე მიყვარს ჩემი საყვარლის ხელნაწერი თუმცა, მას დღითი-დღე უფრო მეტად უკანკალებს ხელი

ჩვენ ერთი ხატება გვაქვს, ამერიკა ერთადერთი მე მიწა, ერთი დეტალი ამ ხატებისა სამუდამოდ თვალსაწიერს მიღმა შევინახო დეტალი, რომელიც ყველა კუთხიდან მაქვს შესწავლილი: ცის მრგვალი ნაგლეჯი წარმოიდგინე, ამერიკა: თუ რომელიმე ჩვენგანი გამოვა ხატებიდან და მიატოვებს მარტოობით სავსე ამ ალბომს თუ ცხოვრება იქცევა ფირის გარეშე დარჩენილ კამერად წარმოიდგინე, ამერიკა! ჩარჩოს გარეშე ღამე წაგვიყვანს ამერიკა

ხვალ ძვირფასო ხვალ ღამე წაგვიყვანს ჩარჩოს გარეშე ძილისგან სამუდამოდ გამოვაფხიზლებთ მუზეუმებს გაგასწორებთ ჩვენს გატეხილ საათებს ვინკონკებთ პარკებსა და სკვერებში სადაც კი მატარებლები დადიან ყველგან ხვალ ძვირფასო ხვალ ჩვენ ვიყავილეთ: ხის ორი ფოთოლი და როცა დრო მოვა მიწას დავეფინებით გავირინდებით ქარი გაგვაფრენს გადაგვიყვანს იმ ადგილებში, რომელთა სახელებიც აღარ გვახსოვს



ხვალ ძვირფასო ხვალ მე ჩაგხედავ თვალებში რათა შენს ახლადგაჩენილ ნაოჭებში ჩვენი მომავალი ოცნებები მოვნიშნო და როცა შენ ჩემს ჭალარა თმას შეკრავ

წვიმის მზის ან მთვარის ქვეშ თმის თითოეულ ღერს ეცოდინება, რომ არაფერი ხდება ორჯერ თითოეული კოცნა ქვეყნისა ისტორიით გეოგრაფიით ენით სიხარულითა და სევდით ომით ნანგრევებით დღესასწაულებით მოწიკნიკე საათებით.... და ძვირფასო, როცა ქედზე კვლავ იგრძნობ ტკივილს აღარ გექნება წუნუნის დრო და არც შეწუხდები თუკი ეს ჩვენში დარჩება თოვლივით ფაფუკი ფიფქი რომელიც არ დადნება



ხვალ ძვირფასო ხვალ ხის ზარდახშიდან გამოაღწევს ორი ბეჭდის წკრიალის ხმა: ისინი დიდი ხანია ელვარებენ ორ მოცახცახე ხელზე ხელები კანკალებენ დაბნეულობისგან ხვალ სითეთრე გამოამზეურებს მთელ თავის ფერებს როცა ჩვენ დავიბრუნებთ, რაც დაგვარგეთ და რაც გაგვებნა ამ სითეთრეში

მითხარი, ამერიკა საიდან უნდა ვიცოდე მათგან რომელი ფერი იყო უფრო მხიარული უფრო აღმგზნები მარტოსული ან გაცრეცილი მითხარი, საიდან უნდა ვიცოდე, ამერიკა? მითხარი

ინგლისურიდან თარგმნეს **თამარ ბაბუაძემ და მალხაზ ხარბელიამ**

### პოეზია

#### ლია სტურაა

#### ბრინჯაო

ქარის ქროლვასა და გაყუჩებას შორის, თითქოს, არაფერი არ იცვლება, მაგრამ მაღალი ტემპერატურა აქვს ბრინჯაოს, რომლისგანაც ქალების ტორსებს აკეთებენ, ამ ქალებს ფრთები არ ამოსდით, სამაგიეროდ, თან ახლავთ ქორო, მათი სიმართლის დასტური: - მკვდარი უნდა დამარხო! თუ მთელი მიტკალი გათავდა, საკუთარი თმის სუდარაში შეახვიო, - უნდა გიყვარდეს, უნდა ელოდო მას, ვინც დაბრუნდება, რომ შენს კალთაში (სამშობლოში) მოკვდეს! ეს მარტივი ჭეშმარიტებები, მერე და მერე, ცნებებით იმოსებიან, რთულდებიან, მაინც გულისხმობენ ბალახის ღერის უპირველესობას კუზიანი კითხვის ნიშნების წინაშე. მარმარილოს თოვლი დევს ქვეყანაში, ქარის დევნით იღლებიან ადამიანები, ენერგიას კარგავენ, რომელიც ქორომ ბემოლებით უნდა მოაპირკეთოს, დაასევედიანოს... ბუნდოვანი გარემო იხედება დაორთქლილ სარკეში, მხოლოდ, ბრინჯაოს აქვს მაღალი სიცხე და ამ ამოუბაში შვილის გაჩენის სურვილი...


#### ცოდვაა მიწა

მიხაკ-დარიჩინით შეკმაზული უქმე დღეები, ფხვიერი ნამცხვარი... ქუჩაში კი დგანან ხეებივით გამხდარი პოეტები და წიგნებს ყიდიან მშვიერი სახლი თავს ველარ ინონებს ჭერამდე მაღალი კარადებით, სადაც დარჩენილ წიგნებს შორის მტვრიანი არაფერი დევს - სინამდვილეში, წყალგამყოფი ლოგიკის და სიგიჟის... ამ პირობითობას მტვერი არც უნდა გადანმინდო, ტექსტებიდან გამომზირალ ტრაპეზზე დაჯდე, რადგან მიხაკ-დარიჩინით შეკმაზული უქმეები შენი არ არის, ასეთ დროს გაცილებით უფრო მარტო ხარ, ვიდრე მაშინ, ქუჩაში რომ დგახარ და გამხდარ ხეებს ყიდი, ტვინამდე აგდის სისხლის სვეტი, თერმომეტრის სინდიკივით, 41 გრადუს სიცხემდე, გამზადებული გაქვს საგზალი: ყველის მთვარე გუდაში და ნაზუქის ღარიბი სიტკბო, მჩატეა ფეხები ზამთრის კორკოშელებიან ჰაერში სასიარულოდ ნორმალური ადამიანები კი მიწას თხრიან, თხრიან, მალე მის გულამდე ჩაველენ, სისხლის მიმოქცევას დაურღვევენ...

#### გაუმარტოს უკუღმართობას!

ეს ხდება უშაბათო კვირას, უცხო მხარეში: ჩიტები კაკანათს გვიგებენ და ქუსლებით გვიჭერენ, რომელთაგან ერთი სუსტია, რაც გმირს კომპივით წააქცევს, დაჩირქებული ფეხებითაც შორს ვერ წახვალ, იქვე, მზიან პეიზაჟში ჩაენერები, რომ ქალაქის უშემური ქუჩა, სახლიან, ცოლიან-შვილებიანად, ნარინჯისფერმა შეჭამოს, ქათმები ფრენას ისწავლიან, თავის დადებულ კვერცხებზე ქალებს დასვამენ, კრუხებივით, სპილენძის ვარვარა ტამტებივით, ხოლო მრავალხელიანი ობობები, რომლებსაც ყველა ფრჩხილზე ალისფერი ლაქი უსვიათ კაცებს აბლაბუდაში გააბამენ და სისხლს გამოსწოვენ,

ბაბრძილა E4 გვირდუბი



E3 გვირგვინი

ბოლოდან ნაკითხული ტექსტი,  
ყოველგვარი გართმვის გარეშე,  
ლექსს დაემგვანება, გაუგებარს,  
მაგრამ უღერადს...  
გაუმარჯოს უკუღმართობას!  
როცა სარჩულამოტრიალებული  
ტანსაცმელი გაცვია, რომელზეც  
შინაგანი ორგანოები პრიალებს,  
კანი კი სიღრმეშია ჩაკეცილი,  
დროშისფერი სისხლი გვდის,  
მზესავით ჩირქი  
ოღონდ, კანონიერი ერთფეროვნებიდან  
ამოვიდეთ და, თუგინდ,  
ობობა შევიყვაროთ,  
ჩიტებს თავი დავასახიჩრებინოთ,  
ზამთრის უამინდობაში  
ვეძებთ შუადღე დღის 2 საათზე\*  
ფრანგული პრონოსით  
მოვარაყებულ ქუჩებში...

\* \* \*

არ შეიძლება გამოვიგონო  
საკუთარი სიკვდილი?  
რომელსაც ტანით ვატარებდი  
ნაყოფივით, შვილივით,  
ხორბლის ოქროს ვადნობდი  
რძეში,  
კარაქის ბრიკეტებით  
თავიდან ვიშენებდი ტანს,  
ძვლებს, მერე, მიწა გამოაჩენდა,  
ნოყიერი ხორციით როცა გაძლებოდა.  
რამ მომკლა?  
სწორი ხაზის ლალატმა,  
ხერხემლის სიმრუდემ  
თუ ქონის ბალიშებში წოლამ?  
რომ არასდროს არ მინდოდა,  
მწოლიარე ადამიანის პირფერობით  
შევხვედროდი სიკვდილს  
და ყვავილების კილოგრამები  
მიმეზიდა ღმერთთან:  
მანეთიანი იების და  
ძვირფასი ჰოლანდიური ტიტების?  
არ ჯობდა, ამღერებულნი სამიძიმრის  
ნაცვლად, კივილი მომესმინა,  
როცა ხიდან ჩამოვვარდებოდი  
და თუთის კოპლები  
დამეხატებოდა ზურგზე?  
სიტკბოს ნავილებდი თან,  
იქნებ, სიტკბო იმ სულელების პურია,  
რომლებსაც მობეზრდათ  
ყვავილების ბილიკზე სიარული  
და მათი მსუქანი ვარდისფერის გასრესა?

თვალი თუ გაცდუნებს

მინდა ფანჯრიდან რამე დავინახო,  
მთლიანად, თავიდან ფეხებამდე:  
ხე, ან ცა, ან ჰაერი,  
მაგრამ ყველაფერი დაქუცმაცებულია:  
ხის რამდენიმე ტოტი  
ფარდას ებლაუჭება,  
ტანი დაბალი სართულებისაა,  
თავი, წესით, ცას უნდა  
წვდებოდეს, რომელიც არ ჩანს,  
ბავშვებს ბუნების გაკვეთილებს  
ძონძების მალაზიაში უტარებენ:  
მწვანე ფეხსაცმელს თეთრ პერანგს  
გამოაბამენ, თავზე ლურჯ ქუდს  
ჩამოაცვამენ - ესეც  
ახლანდელი ქალაქის ძეგლი.  
სად არის მისი ურთიერთობა მზესთან,  
შინდისფერი სახურავების მეშვეობით?  
სახლებს ბრტყელმა გადახურვამ  
თავში ჩაართყა...  
იქნებ, იმიტომ ხედავ ასე,  
რომ ორივე თვალი გაცდუნებს,  
ამოიგდე მათი ანტრაციტი,  
გადი ქალაქიდან, მიწაზე დანექი  
და იმდენი მცენარე  
ამოგივა გარშემო,  
თითქოს, მწვანე თვალეები გაახილე...

მარადიული უმწეობა

ტრიფოლიატის ცოცხალ ღობესავით  
იდგენ დედა და მამა  
ჩემსა და სიკვდილს შორის

და ვიცოდი, რომ არასოდეს არ მოვკვდები  
როცა ორივე მიწაში ჩავდე,  
უმწეობის გასაფანტავად ვამბობდი:  
- დედა პურზე გავიდა,  
მამა - ღვინის დასალევად,  
მობრუნდებიან, ღმერთის  
სისხლისა და ხორცისგან  
უკვდავების წყალს გამიკეთებენ  
და ახლა ჩემს შვილს  
ავეფარები, თუ არ დავაჯერე,  
ცოტა ხნით, მაინც,  
რომ უკვდავია, ვერ ისწავლის  
მკითხაობას გვირილებიან მინდორზე,  
ასეთივე ხვავიან სიყვარულს,  
თუ არსიყვარულს,  
ოღონდ, არა განურჩევლობას.  
სისხლი ამიღეს ტრიფოლიატის  
ეკლებმა, ჰაერის ხელებით  
დავწერ ალისფერ ლექსებს  
ჯოჯოხეთში...

\* \* \*

ერთი საათი დავკარგე  
ჩემთვის განკუთვნილი დროდან  
და მომეჩვენა, რომ მაინცდამაინც  
მასში იყო ჩატენილი,  
ისე, რომ ადგილი აღარ დარჩა,  
ყველაფერი ელვარე:  
სიყვარულის თავზარი,  
ყოფილბანდების მყიფე პერიოდი,  
ტკივილზე დაყრილი თოვლი...  
ჩუქურთმისანი იყო ის საათი.  
დანარჩენმა დრომ  
წყალივით ჩაიარა,  
ატლასზე დაცურებული მძივივით,  
ლამაზად, უკვალოდ...

ბუნებისმეტყველება

ჩემი პირველი შეხება მისტიკასთან -  
ბავშვური, მერხებს შორის  
მოარული, გაზაფხულის სუნივით:  
მეცნიერებას ბუნების შესახებ  
ბუნებისმცოდნეობა კი არ ერქვა,  
არამედ ბუნებისმეტყველება:  
ე.ი. ნებადართულია კაკლის ხის  
მაგიდასთან ლაპარაკი,  
ირიბი მზერით ადუღებული რძის  
ქვაბში გაჩერება,  
რასაც ადრეც ვაკეთებდი,  
მაგრამ მეგონა, რომ უკანონოდ...  
ალბათ, კვერცხიც ხელისგულზე  
უფრო კარგად იწვება,  
ვიდრე ტაფაზე,  
ამას ყველაზე გვიან მივხვდი,  
როცა დედაჩემი აღარ იყო  
და ცეცხლს  
საკუთარი ხელები შევუკეთე,  
მელნით დასვრილი და არა ფქვილით  
რა თქმა უნდა, ერბოკვერცხი  
არ გამოვიდა, კალამიც გამივარდა  
დამწვარი ხელიდან,  
სამაგიეროდ, დედაჩემმა  
სარეველა ბალახის პირით  
შემომთივალა, რომ მელოდება...

ვინ ხარ ახლა?

ცივ ბროლს ათბობს  
წითელი ღვინო,  
მოდის, ვივანშმოთ  
ფლამანდიური ნატურმორტებით!  
მე დალილ ხორცს  
დავდებ სკამზე,  
შენ სულს ჩამოკიდებ ჰაერში  
და შეგეკითხები: - ვინ ხარ ახლა?  
ქარი, რომელსაც ჩიტების თაიგული  
მიაქვს ღმერთთან?  
იმ დარდის სიმძიმე,  
მხრები რომ დაგინგრია,  
სინამდვილეში, კი წონა  
არ ჰქონდა?  
ან იქ ვინ შეგხვდა?  
გოგლიმოგლივით ტკბილი პოეტები,  
თუ მკვახე ქურდები,  
შეიძლება, ჰაერს კბილები მოეკვეთოს?  
შეგიძლია, წარმოიდგინო,  
როგორ გამეფშიკა ხელი,  
რომელსაც შენი მავით ვივსებდი?  
ვერავითარი ნაყოფი, ჭიანი,  
თუ კვადრატისგულიანი მას ვერ შეცვლის,  
ინფარქტების წყვეტილ ხაზზე  
ვერ მახტუნავებს!  
სიმარტივისკენ გადავიხარე:  
აღარ მალეღვებს რევოლუცია  
მხატვრობაში, ჩიტებს ნაფშხვენებს  
ვუყრი და შენ გაპურებ,  
გამაძლარი ისე მალა ახვალ,  
რომ, შეიძლება ლაჟვარდს  
ნერვები აღმოუჩინო  
და გაგახსენდეს, რომ ჩემს თავში  
დაგლეჯილი მავთულები შესაცვლელია...  
კიდევ ერთი აზრი მწიწკნის,  
იქნებ, საკუთარი სისხლი,  
არცთუ მჩქეფარე, უარყოფით რეზუსიანი,  
მაგრამ, ჯერჯერობით, ცოცხალი,  
გადმოგისხა ტანიდან,  
როგორც ღვინოს ასხამენ,  
წითელ ღვინოს ცივ ჭიქაში  
და, წინასწარ, გული უთბებათ...

\* \* \*

მტრედი ჩამოიღვარა მიწაზე რძესავით  
და, მაინცდამაინც, არ მოუხდა ტალახს...  
მაგიდასთან ვზივარ, იდაყვებგახეხილი  
კაბით და ვწერ.  
ასეთი კაბა ფრთებს ვერ გამოიბამს  
ამის გამო მოწყენილი ვარ,  
რბილად მომყვება ფიქრი,  
სანამ სიტყვაში გამკვეთრდებოდეს.  
ცოტა ხნით მოვატყუებ ლოგინს,  
ცას გაფუსნორებ თვალს,  
იქნებ, კაბა ჩამომიგდონ,  
ბამბისსამხრეებიანი, საიდანაც  
უფრო იოლად ამოვიყვან ფრთებს,  
მაინც დამენანება  
რძის თეთრი ლაქა  
ტალახიან მიწაზე...

\* ფრანგული გამოთქმაა, რაც, დაახლოებით, ჩვენს უმ-  
აბათო კვირას ნიშნავს.



მამუკა ტაყაიშვილი/საბავშვო

# ნათელი წერტილი დაბეჭი

"არილი" №1, 2003, თებერვალი

**ანდრო ბუაჩიძე**



ირაკლი სამსონაძე

სამსონაძის ფოტო

ირაკლი სამსონაძის მოთხრობამ "ყურთბალიში" მრავალგვარი ფიქრის საღერდელი ამიძალა. უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ჩემი თვალთახედვით ეს იმ ნაწარმოებთაგანია, რომელმაც მწერლობის დანიშნულება განახლებული ძალით გვაგრძობინა.

ოთხმოცდაათიანი წლების ყველაზე მძიმე პერიოდებშიც კი, როცა, ფაქტობრივად, ლუკმა-პურისთვის ბრძოლამ და ამავე დროს ღრმა სულიერმა შეჭირვებამ აპოგეას მიაღწია, ჩვენში ითხზებოდა და იბეჭდებოდა ისეთი "უდრტიწველი" ლექსები და მოთხრობები, რომლებიც ოდნავადაც არ გამოხატავდა ქვეყანაში არსებულ საშინელ კრიზისს. ამ ნაწარმოებებს, სხვათა შორის, საკმაოდ აღიარებული ქართველი მწერლები თხზავდნენ და არა ახალბედა კალმოსნები.

საიდან განჩნდა ეს მავნე ტენდენცია, ყველაზე უფრო მტიკივლად სინამდვილეზე თვალის დახეჭვისა?

მწერალი ხომ მოვლენათა მმრალი აღმსახველი, ფაქტობრივად არ არის. ის იმ სინამდვილის ცოცხალი, განუყოფელი ნაწილია, რომელშიც ცხოვრობს. მწერლის გონება, გული, სინდისი იმ ატმოსფეროში ეძებს საზრდოს, რომელშიც ფეხი მოიკიდა და მცენარეაფთვი იფოთლება. სხვაგვარად ვერც გაიზრდება და ვერც ნაყოფს გამოიღებს. და შეიძლება ყოველივე ამზე, ე.ი. ფაქტობრივად, საკუთარ თავზე, საკუთარ სულიერ მონაგარზე უარის თქმა?

მასხოვს ერთი ნიშანდობლივი შემთხვევა, რომელიც მათიქრებინებს, რომ სინამდვილის იგნორირება, მისი ნაწილობრივი მიღება თუ შელამაზება ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ჩაისახა. ერთი ახალბედა პოეტი მივიდა ცნობილი რიტორატორული ჟურნალის რედაქციამ და კრძალვით მიიტანა თავისი ლექსები. სამოცდაათიანი წლებში, რაღა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობდა დაუნერული კანონი, რომლის თანახმადაც პირველი პუბლიკაცია გზას უხსნიდა მწერალს "მწერლობის დიდ ტაძარში" შესასვლელად. ამ ტაძარში საკმაოდ პირქუში ქურუმები ისხდნენ, თუმცა, მათივე ნაწერები სრულიადაც არ გამოიყურებოდა პირქუშად. შენც, ახალბედა პოეტს შეგძლოდ გაერეგნულად დაღვრემილი ან გაუსვედინი ყოფილიყავი, მაგრამ ნაწერში არაფრისდიდებით არ უნდა გაჭაჭანებულყო ნალველის სასახიც კი. მივიდა ახალბედა პოეტი და მიიტანა ლექსები. მას დახვდა ჭარმაგი კალმოსანი. ეს კაცი ზანტად ირჯებოდა და კეთილი თვალბითდან თანაგრძობის სხივს აშუქებდა. ამკარად "ღამენათევი და ნამთვრალევი" იყო, მოძრაობა კი არა, აზროვნებაც უჭირდა. აუჩქარებლად გადაიკითხა ახალბედა პოეტის ლექსები, გამომეტყველებაზე შეეტყო, რომ მოენონა, მისმა ღუნე გრიმასებმა ოდნავი გაკვირვებაც კი გამოხატა, მაგრამ იქვე გამოიღვიძა ცენზორის მრავალნაცადმა ალლომ და

ჩანასახშივე ჩაკლა სიკეთის ნიშანწყალი. ჭარმაგმა კალმოსანმა თავი ასნია და წარმოთქვა: "თქვენს ლექსებს ნათელი წერტილები აკლია".

ეს სასიკვდილო განაჩენი იყო. ამგვარი ვერდიქტის შემდეგ ლექსები აღარ იბეჭდებოდა. ნათელი წერტილების, ე.ი. ოპტიმიზმის ნაკლებობა საფრთხეს უქმნიდა ყველას და ყველაფერს.

და აი, ლიტერატურისადმი ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა უკვე პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. უფროსი თაობის მწერლებისთვის ეს ინერციამაც გამოიწვია და ჩვევამაც. მათ განაგრძეს უმთავრესად ნათელი წერტილებით სავსე ნაწარმოებების თხზვა. არადა, გვარიანად ჩამუჭებულნი ცხოვრების ფონზე ეს წერტილები უაზრო დისონანსად წარმოჩნდა. სწორად ამბობდნენ ერთ მწერალზე, როცა კითხულობ მის ბოლოსანს დაწერილ მოთხრობებს, ასე გგონია, მისივე პერსონაჟები სვებდნიერ საფრანგეთში ან ინგლისში ცხოვრობენ და არა იმპერიის ნანგრევებზე მოყოლილ ბედუქულებმართ საქართველოში.

ახალგაზრდა მწერლებმა უფროსთაბეღლთაგან განსხვავებით სიახლეთა წარმოჩენის გზა აირჩიეს. მაგრამ ეს გზა უმეტესწილად ფორმალურ ძიებათა სფეროთი აღმოჩნდა შემოზღუდული. ასე და ამგვარად არსებითად ყველასაგან ყურადღების მიღმა დარჩა ბოლო ათწლეულის წარმოუდგენელი ეპოქალური გარდატეხა, რომელმაც არამც-თუ ცხოვრების ყველა უბანი მოიცვა, არამედ ყველაზე უფრო იდუმალ სასიცოცხლო უჯრედშიც შეაღწია. დღევანდელი ადამიანი, ფაქტობრივად, სხვა ადამიანია. XX საუკუნის ბოლოს ჩვენში მომხდარმა გლობალურმა მეტამორფოზამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ყოფაც და ცხოვრებაც, ფსიქიკაც და წარმოდგენებიც, სურვილებიც და ზრახვებიც. სადაც გაიფანტა ფანტომური ნათელი წერტილები და ხელთ შეგვრჩა უმკაცრესი რეალობა.

დღეს მწერალი სწორედ ის არის, ვინც ამ რეალობას თვალს გაუსწორებს.

ირაკლი სამსონაძემ გადანყვიტა თავისი ყურადღების "ოპტიკურ ველში" ბოლოდროინდელი (იგულისხმება ათწლეული და მეტიც) მოვლენების მთელი კალიდოსკოპური სიჭრელე (მთელი სპექტრი) მოექცია. და მან ეს შეძლო. შეძლო, ვინაიდან თვითრეფლექსიის გზა აირჩია და თხრობის ინტონაციასაც მარჯვედ მიაგნო. მან გადალახა ის მიჯნა, რომლის გადალახვაც ყველაზე უფრო უჭირთ შედარებით ახალგაზრდა თაობის მწერლებს და რომლის შემდეგაც საკუთარი პიროვნული გამოცდილების (ეს გამოცდილება უნდა არსებობდეს) სრულიად გულახდილი გამომხეურება იწყება. ეს გულახდილობაზე მეტიც არის: სასონარკვეთილბეზამდე მისული ჟინი სიმართლის მთქმელობისა.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე თხრობის თავისებურებაზე. "ყურთბალიში" თხრობა მიმდინარეობს პირველ პირობა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მოთხრობელი თავის არსების სიღრმეში აფიქსირებს გარე და შიდა მოვლენებს. მოთხრობელის ობიექტივში ექცევა შეგრძნებებიც, რეფლექსიაც, ემპირიულ პლანში მომხდარი ამბებიც. თხრობა "ცნობიერების ნაკადის" თვითდინებას არის მიმდობილი. მაგრამ ამ თვითდინებას მთლად "ცნობიერების ნაკადი" ვერ დაერქმევა, რადგან გარკვეული სიუჟეტური ზიგზაგი, მოვლენათა განვითარების ლოგიკა, თავისებური თანმიმდევრობაც ასახავს.

ამ მოთხრობაში არის პასაჟები, რომლებიც ემოციური ძაბვით, გამომსახველობით, თხრობის ექსპრესიით მთელი ნაწარმოების სათქმელს იტევს. ეს, ფაქტობრივად, ჩანსეხილი, უალრესად ხელშესახები, მკვეთრად რელიეფური ფრაგმენტებია. ასეთია ცოლ-ქმრის კონფლიქტის სცენა. ასეთივეა მათი "სასიყვარულო" ღამე, "ადაღლანებული დღეოკების" ხმაურში. ამას მოსდევს ფსიქოლოგიურად უალრესად ზუსტი ფრაზები: "ზამთრის ცივ ღამეებში მე და ქეთინოს სიყვარულის ვალი გვანუხებს. თუ იმ ღამეს არ გვიყვარს ერთმანეთი, უსიყვარულოდ ჩავლილი

ღამე გვანუხებს". აქვეა ნაგავსაყრელის, ვახოსთან კონფლიქტის, კედელზე ჩამოსაკიდებელი ბათინკების, თირკმელის გაყიდვის ეპიზოდები.

ეს ფრაგმენტები შემჭიდროებული პროზის ნიმუშებია. აქ ყოველი წერილმანი, საგანი თუ უბრალო ნივთი "მსხვილი პლანი" არის დახატული. იგივეა აფხაზეთის ეპიზოდშიც. ეს ცალკეული პასაჟები კი მოთხრობის საერთო სტრუქტურაში ისეა განლაგებული, რომ ერთი ინტონაციის, ერთი განწყობილების, თხრობის ერთი ტონალობის მთლიანობას ქმნის.

მოთხრობაში შემოჭრილი ზოგიერთი პერსონაჟი თუ დეტალი ფორის ფუნქციას ასრულებს და ამ ფონზე უფრო მკაფიოდ იკვეთება მწერლის, ე.ი. მთავარი გმირის და ვახოს ხასიათის კონტურები. ასეთია ანდრო, რომელმაც ჩეხი გოგო მოიყვანა და "ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გაასწრო". მსგავსი ტიპი ჩვენს რეალობაში, მართლაც, არსებობდა და არსებობს. რა შეიძლება მას ენოდოს - კონფორმისტი, ინტრიგანი, "რაციონალური ადამიანი" - ეს ცალკე საკითხია. მთავარი ისაა, რომ რეალობის თარგზე გამოჭრილი პერსონაჟი გამოიჩინებულ ადგილს იჭერს ჭრელ კალიედოსკოპში. თუ მაინცდამაინც ერთი სიტყვით უნდა დავახასიათოთ ანდრო, - ის ნიჰილისტია.

მწერალი, ე.ი. მთავარი გმირი და ვახო მრავალი ნიშნით ერთნაირი ადამიანები არიან. ისინი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ანდროს მსგავსი ნიჰილისტების ანტიპოდებს წარმოადგენენ. ეს ადამიანები უმიზნოდ და უადგილოდ დარჩნენ თავიანთ სამშობლოში. ისინი დაფეთებულიებით აწყდებიან აქეთ-იქით არა მარტო სარჩო-საბადებლის, არამედ უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობის მოსაპოვებლად, რაც თვალსა და ხელს შუა გაქრა. რა არის ეს, თუ არა პიროვნული ღირსების გრძნობა, რწმენა, სიმართლისმაძიებლობა, ე.ი. ყოველივე ის, რაც ადამიანს, ამ რთულ არსებას, სასიცოცხლოდ საკვებზე არანაკლებს სჭირდება...

ჩემი მიზანი არ არის ირაკლი

სამსონაძის "ყურთბალიში" დეტალური ანალიზი. უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ პირადად ჩემთვის ჰაერში დენტის სუნივით ტრიალებდა აუცილებლობა ამგვარი ნაწარმოების შექმნისა. მე არ ვიცი, ვინ იქნებოდა მისი ავტორი, მაგრამ მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან ეს ნაწარმოები შეიქმნებოდა. და შეიქმნა კიდევ! ავტორი კი ჩემი თაობის, ორმოც წელს გადაცილებული კაცი გამოდგა. ესეც კანონზომიერია, ვინაიდან XX საუკუნის მინურულიდან დღემდე მომხდარი უბედურებანი ყველაზე მეტად ჩვენმა თაობამ იწვნია თავის ტყავზე.

თავს ვერ ვიკავებ, რომ არ მოვიყვანო ზოგიერთი ციტატა ირაკლი სამსონაძის მოთხრობიდან, სადაც ყოველგვარი სიდუხჭირის ფონზე ჩვენი ყოფისთვის ყველაზე ტიპური პოლიტიკური ავანტიურების სურათია ნაჩვენები. ზის საგარძემოში მოთხრობის მთავარი გმირი, პატიოსანი კაცი, რწმენადაკარგული, ულუკმაპურო, ჯიბეგამოფხავებული და უყურებს ტელევიზორში, ორი ავანტიურისტი როგორ ადენს ბღღვრის ერთმანეთს: "გამოგნებული თავდაჯერება საკუთარ სიმართლეში. მართალია, ძალიან მართალია. უალრესად მართალია. ესეც. ისიც. უფსკრულის პირას მდგარ სამშობლოს ამის პარტია თუ გადაარჩენს. ნურას უკაცრავად. უფსკრულის პირას მდგარ სამშობლოს ამის კი არა, იმის პარტია გადაარჩენს. არაფერიც! - ამის! არა-მეთქი - იმის! ლაყაფი. ლაყაფი. ლაყაფი. ამათ ლაყაფს მიჩერებული კაცი, ძალაუნებურად ვილაცი მხარეზე დგება. ამ წუთიდან იგი პოტენციური ნადავლია. ელექტორატის ერთი ერთეული, ელექტორატის ერთი ნაწილი".

ირაკლი სამსონაძის "ყურთბალიში", ჩემი აზრით, ქრესტომათიული ნაწარმოებია. ეს მოთხრობა არა მარტო მხატვრული, არამედ გამჭრაქიანი და უალრესად გულსხმიერი კაცის დაწერილია. მან მძაფრად, სისხლხორცულად იგრძნო, რომ დღევანდელ ვითარებაში თითოეული ჩვენგანი ნადავლია. ნადავლის სიცოცხლე კი გაუფასურებელია, აფხაზეთში დაღუპულ იმ ოცდაერთი წლის ბიჭვიით, რომლის სურათიც ტელეეკრანზე "სპარსული ხალიჩების სარეკლამო განცხადებასა და დუბაიში ჩარტერული რეისით ნასვლის მსურველთა სარეკლამო განცხადებას შორის მოათავსეს".

თუ საქართველოში მოხვედრილი ამერიკელი ან ფრანგი შეგვეკითხება, რა დაგვემართა ქართველებს, უნდა ნავაკითხოთ ეს მოთხრობა და მიხვედრი მიხვედება, ცეცხლის კევრი როგორ დაატრიალდა (და ახლაც ტრიალებს) ჩვენს თავზე.

დაბოლოს მინდა ვთქვა, რომ ამ მოთხრობაში ერთი ნათელი წერტილია, მხოლოდ არა გამოგონილი, არა ფანტომური, არამედ ნამდვილი, ნალდი, ეჭვმუყვანი. ეს არის ყურთბალიში, რომელიც ნუნკალი ზამთრის "დვიყოკებით" ადაღლანებულ ღამეებშიც ინარჩუნებს სიცოცხლის მომნიჭებელ ძალას.

# ცოტა რამ მაშაქვს

გოდერძი იათაშვილი. "ერთი დღე სამოთხეში" (კომედია ორ მოქმედებად). "ცისკარი" №1-2, 2003

მოთა იათაშვილი

**"ზევს როდი გეფიცები, აგელაოს, არამედ მამაჩემის ტკივილებს" ჰომეროსი**

ლოგინზე პირჩაღმა განოლილს საერთო ცალხაზიანი რვეული იატაკზე გაუშლია, თავი დაბლა აქვს ჩაკიდული, დასცქერის რვეულს და წვრილი ასოებით სტრიქონს სტრიქონს აჭეჭყავს. ხაზსა და ხაზს შორის სამ-ოთხ სტრიქონს ატეხს - ეს შავი ვარიანტია, თუმცა, გადათეთრებულია თითქმის ასევე ათეთრებს - ამასობაში ფანქარი მოკლდება - გოჯიც აღარაა უკვე და აი, მამინ, ბოლო წერტილს რომ დასვამს, ფანქარს ერთ-ერთ ნახნაგზე მელნით აწერს: "ქინქლა", "დაბადების დღე", "ფანტის თამაში"... და ფაიფურის პატარა ჭიქაში აგდება. ჭიქა სანერი მაგიდის უჯრაშია მუდამ და ივსება თანდათან: ექვსი... შვიდი... რვა... ცხრა...

ჩვენს ოჯახში დღემდე შემონახული ეს ფანქრები ჩემთვის ყველაზე იდუმალი ნივთებია მამაჩემის ნივთებს შორის. და ეს განცდა ბავშვობიდან მომსდევს. მამაჩემის სანერ მაგიდას წიგნის საფურცლად, ირგვლივ გაკრული აფიშების სათვალევებლად, ანდა სულაც ფიქრისა და სიმყუდროვისათვის რომ მივუჯდებოდი, სულ მალე, ძალაუნებურად, უჯრებისაკენ გამირბოდა ხელი... როგორც წესი, რიგრიგობით უნდა გამოემენია ისინი და შიგ ჩამეხედა. უჯრა ბევრი არ იყო - სულ ოთხი: ორი მარცხნივ და ორიც მარჯვნივ. და იქ უცნაურად მიმზიდველი სამყარო ბუდობდა. და თუმცა, არავინ არასოდეს მიშლიდა უჯრის გამოღებას და შიგ ხელის ფათურს, ამას მე მაინც განსაკუთრებული სიფრთხილითა და მღელვარებით ვაკეთებდი.

რაც მუდამ ადგილზე მხვდებოდა, ეს ფაიფურის ჭიქა იყო წარწერებიანი გალენული ფანქრებით და კიდევ გამჭვირვალე, კუთხოვანი სამელნე - დედის მხრიდან ბაბუის, საუკუნის დასაწყისის ბათუმელი პოეტის, პარმენ რურუას ნაქონი. დანარჩენი ნივთები კი ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ... მაგალითად, ერთ დღეს შეგეძლო ახალი საერთო რვეული აღმოგეჩინა ახალი პიესის მონახაზებით, ან კიდევ ნიციშე "ზარატუსტრას" რევოლუციამდელი გამოცემა - გახუნებული სტრიქონებით, მინდორზე მინანქრებით და ტექსტში გაბნეული უცნაური რუსული ასოებით. ამის გამოც იყო, ალბათ, რაღაც არააქაური რომ დაჰკრავდა ამ წიგნს და მეც უნდობლად ვეკარებოდი, მალულად, შიშით...

ეს ყველაფერი 70-იან წლებსა და 80-იანის დასაწყისში ხდებოდა. და რაც მთავარია, იმ იდუმალი ფანქრების თლა. მამაჩემი გვიან მივიდა დრამატურგიასთან. პირველი პიესა "ქინქლა" 1976 წელს დაიდგა ბათუმში, მაშინ, როცა 43 წლის იყო, პირველი პრემიერიდან რვა წლის შემდეგ კი გარდაიცვალა. ათამდე პიესა დაწერა და აქედან თითქმის ყველა დაიდგა, თუმცა, რაც ყველაზე დასანანი, ჯერჯერობით, არ დადგმულა მისი უკანასკნელი და, ჩემი აზრით, საუკეთესო პიესა "ერთი დღე სამოთხეში". ერთგვარი უიღბლობა თან სდევდა მას მთელი 20 წლის განმავლობაში, და ახლა, როცა იგი დაიბეჭდა, მინდა ვირწმუნო, რომ ჯადო მოხსნილია და ეს პიესა მხოლოდ ფურცელზე კი არ დარჩება, არამედ კუთვნილ სცენასაც იპოვის.

მამაჩემი მოყვარული თეატრალის, ნიკოლოზ ბუტკოვსკისა და მეტეოროლოგის, მარიამ იათაშვილის უფროსი ვაჟი იყო. საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამო XIX საუკუნე-



მოთა და გოდერძი იათაშვილები

ნეში საქართველოში გადმოსახლებულ და თანდათან გაქართველებულ პოლონელთა შთამომავალს ბედმა ახალგორში (მაშინდელ ლენინგორში) ამოაყოფინა თავი, სადაც დგამდა თეატრალურ წარმოდგენებს და სადაც დაოჯახდა კიდევ, თუმცა, ცოლ-ქმარი მალე გაშორდა ერთმანეთს. ნიკოლოზმა ლენინგორი მიატოვა და მარიამს ორი შვილი - გოდერძი და ლილა - ხელთ შეატოვა. იათაშვილების პატარა გვარი ახალგორიდანაა და მამაჩემმაც მთელი ბავშვობა, ომიანობის წლების ჩათვლით, იქ გაატარა. ეს პერიოდი შემდგომში მის მოთხრობებში აირეკლა, რომელთაგან ერთ-ერთმა - "მკვდრის ლიმოლმა" - 1971 წელს მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე II პრემია მიიღო. მიუხედავად ამისა, გაურკვეველი მიზეზების გამო ვერანაირად ვერ მოხერხდა მისი დაბეჭდვა ვერც ჟურნალში და ვერც შემდგომ, სხვა მოთხრობებთან ერთად, წიგნად, თუმცა, საამისოდ თითქოს უკვე ყველანაირი პირობა არსებობდა: მხატვრული დონე, ოფიციალური წარმატება, საჭირო რეკომენდაციები...

ერთ-ერთი ადრინდელი მოთხრობის მთავარი გმირი - ჭუტალა - მამაჩემის პროტოტიპია. გოდერძი იათაშვილს ლიმოლისას თვალეები ეჭუტებოდა და მისი ბავშვობისდროინდელი მეტსახელიც ჭუტალა იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1951 წელს ჭუტალამ სამხედრო სასწავლებელში ჩააბარა და სამი წლით ქალ-

აქ ტამბოვში აღმოჩნდა. ამ ქალაქს იგი ჩვენთან მუდამ კოლონიის სიმრავლით იხსენებდა. იმდენი იყვნენ და ისე იკბინებოდნენ, შხაპის ქვეშ ვცდილობდით დაგვეძინაო - გვიყვებოდა. სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ლეიტენანტის წოდება მიიღო, კოლოებს და ყინვას გამოექცა და თავის ლენინგორში ცოტა ხანი სამხედრო საქმეს ასწავლიდა. მერე კი თბილისში ჩამოვიდა და 1957 წელს უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. მისი სტუდენტური ცხოვრების ხიბლსა და სიშლევებს, ცხადია, მე აქ ვერ აღვწერ, საამისოდ უფრო მისი თანაკურსელი ჯუმბერ თითქმისაა გამოდგება. ერთი კია, იმ პერიოდში, ალბათ, ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი, ნოდარ ჩხეიძესთან ურთიერთობა იყო, რომელიც ლექტორიდან თანდათან მის უახლოეს მეგობრად იქცა, ბოლოს კი საერთოდაც მეჯვარედ და თავისი ტრაგიკული აღსასრულის ბოლო დღემდე ჩვენი ოჯახის უერთგულესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო.

ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ხან სად აღმოჩნდა და ხან სად, სანამ თავის ნამდვილ ჟურნალისტურ საქმეს არ მიაგნო: 1967 წელს საყოფაცხოვრებო სამინისტროს ჟურნალი "პირიმზე" გამოვიდა, რომელიც, რეალურად, არც მეტი, არც ნაკლები, პირველი ქართული მოდერბის ჟურნალი იყო. ამ ჟურნალის გამოცემის იდეა მამაჩემს ეკუთვნოდა და თავიდე-

ან მისი მთავარი რედაქტორიც კი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ კომუნისტურ პარტიაში არ შევიდა (არადა, იმ დროს უპარტიო რედაქტორი დაუშვებელი იყო), მთავარი რედაქტორის მოადგილედ გადაიყვანეს.

29 წლის ასაკში გვარი გამოიცვალა და გოდერძი ბუტკოვსკი გოდერძი იათაშვილი გახდა. ძნელია განსჯა, თუ რამ მიზეზებია ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ცხადია, ერთი მიზეზით ეს არ უნდა ყოფილიყო მოტივირებული. საკუთარი პოლონური წარმომავლობის დამალვის სურვილი ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო მას მაინცდამაინც არ უნდა გასჩენოდა, ვინაიდან ქართული საზოგადოება პოლონური წარმოშობის ქართველებისადმი არანაირად არ იყო ნეგატიურად განწყობილი. თუმცა, საფიქრალია, რომ პირველი ლიტერატურული მცდელობების კვალდაკვალ მასში გაჩნდა არაადეკვატურობის განცდა; რეალურად იგი იყო, მას სურდა, რომ ყოფილიყო ქართველი მწერალი, არადა საკუთარი გვარი თითქოსდა ამ ამოცანას ურთულეობდა, აშორებდა მიზანს. და რაც მთავარია, ეს გვარი მისთვის უცხო იყო, უცხო იყო იმის გამო, რომ უცხო იყო მამა, რომელმაც პატარაობისას მიატოვა და არც შემდგომ გასჩენია მისი ნახვისა და მოვლა-პატრონობის სურვილი. ახლობელი კი დედა იყო, მთელი ეს მძიმე წლები რომ გამოატარა - ახლობელი იყო დედულეთი, სადაც იგი გაიზარდა, იათაშვილების პატარა სანათესაო... ახლობელი კი არა, მეტიც - სისხლხორცეული და რაც დრო გადიოდა, მით უფრო სისხლხორცეული ხდებოდა, ისევე, როგორც დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო აბსტრაქტული ხდებოდა პოლონური გვარი, პოლონელი მამა, შორეული სამშობლო - პოლონეთი.

არ ვიცი, რამდენად ზუსტია ჩემი ეს ფსიქოლოგიური ვარაუდები, ვინაიდან მამა ამ თემაზე ლაპარაკს მუდამ ერიდებოდა, მაგრამ წყალი არ გაუვა იმ ფაქტს, რომ გვარის შეცვლიდან ოთხი წლის შემდეგ დავიბადე მე, როგორც შოთა იათაშვილი და არა შოთა ბუტკოვსკი. მერე კი, მათემატიკოსის დიპლომის მქონეს, საბოლოოდ მაინც ხელოვნებისაკენ გამინია გულმა და ნამდვილად იმიტომაც, რომ ბავშვობიდან ვიმუხტებოდი არტისტული ყოფის იმ ჯადოენერგიით, რომელიც მამაჩემის გამოისობით ჩვენთან ტრიალებდა. ლიტერატურა და თეატრი აქ ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული და ჩვენი სახლის სტუმრები ერთნაირად იყვნენ ლიტერატორებიც და თეატრალეებიც. ამ სინთეზის იდეალურ გამოვლინებას კი გივი ჭიჭინაძე წარმოადგენდა, პოეტი და მსახიობი, "ზღარბო, ზღარბო, ქაცვიას" ავტორიც და რუსთაველის თეატრის მსახიობიც, ადამიანი, ყოველ თავყრილობას განსაკუთრებულ პენსა და ხალისს რომ აძლევდა თავისი მრავალმხრივი ტალანტის უშურველი ხარჯვით. სულ სხვანაირი იყო დავით ნერედიანი - სიტყვაძუნწი, ფიქრიანი, მაგიდასთან მშვიდად მჯდომი; კიდევ ორი პოეტი ნოდარი - ადვილელი და ჯალალონია და ორი თეატრალი ვაჟა-ძიგუა და ბრეგაძე...

სხვათა შორის, ვაჟა ბრეგაძე იმ რამდენიმე ადამიანს შორის იყო, რომელთაც ნაკითხული ჰქონდათ "ერთი დღე სამოთხეში" და აფასებდნენ მას. დამირეკა კიდევ და მითხრა, მომიტანე მამაშენის ბოლო პიესა, მინდა "დრამატურგიაში" დავაბეჭდინო. მივუტანე გახარებულმა. მას მერე ხანდახან შევუვლიდი კულტურის სამინისტროში და ამასობაში ჩემი პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) პიესაც წავაკითხე. ისიც გადასცა რედაქ-

ციას და ცოტა ხანში მამცნო, შენ და მა-  
მაშენი ერთად იბეჭდებითო... და მერე,  
მოულოდნელად გარდაიცვალა... მოუ-  
ლოდნელად გარდაიცვალა "დრამატურ-  
გის" რედაქტორი ბადრი ქოხონელიძე...  
... აირია ყველაფერი და ის მოხდა, რაც  
ყველაზე ნაკლებად მინდოდა: დაბეჭდეს  
ჩემი პიესა, მამაჩემის კი კვლავ გამოუქ-  
ვეყნებელი დარჩა. ახალი რედაქტორი,  
ირაკლი სამსონაძე დამპირდა, მივხედავ  
მაგ საქმესო, მაგრამ ცუდად წავიდა ალ-  
მანახის საქმე, გაჩერდა საერთოდ... მეც  
რადაცნაირად ხელი ჩავიქნიე, მიმავინყდა  
თითქოს საერთოდ ეგ ამბავი, მაგრამ ამას  
წინათ მამაჩემის ნაწერები კიდევ ერთხელ  
რომ გადმოვალაგე, მეგობარი მესტუმრა  
- დათო ქართველიშვილი. ჩვევა აქვს ასე-  
თი: შეძვრება ჩემს ბიბლიოთეკაში, იქექე-  
ბა და ყოველ მოსვლაზე სამი-ოთხი წიგნი  
მიაქვს სახლში. ასე, 40-50 რომ დაუგროვ-  
დება, ჩაალაგებს მერე ვეება ცელოფნის  
პარკებში და მომითრევს უკან. ამ მორიგე  
სტუმრობისას შერჩეულ წიგნებთან ერთ-  
ად "ერთი დღე სამოთხეშიც" გავატანე.  
უცებ გავაცნობიერე, რომ ჩემი მეგობრე-  
ბიდან არავინ იცნობს მამაჩემს, როგორც  
ხელოვანს და უცებ გადაულახავი სურვი-  
ლი გამიჩნდა, წაეკითხათ მათ მისი ნაწე-  
რები. რამდენიმე დღეში დამირეკა დათ-  
ომ. "მამაშენი მაგარი მწერალია! - მეუბ-  
ნება - რატომ არ ბეჭდავ? მიიტანე სადმე  
ჟურნალში, აუცილებლად მიიტანე..."

იმ ღამეს დანაშაულის გაცდამ ღამის  
გამსრისა. საბოლოოდ გადაწყვიტე, მი-  
მიხედა იმ ღირებულისათვის, რაც მამა-  
ჩემმა დატოვა. აქამდე რადაცნაირი კომ-  
პლექსი მქონდა. ლაპარაკიც კი მიჭირდა  
მასზე, როგორც ლიტერატორზე. რატომ-  
ღაც მეგონა, რომ არასერიოზულად აღი-

ქვამდნენ, შვილის სუბიექტურ დამოკი-  
დებულებად ჩათვლიდნენ. არადა, დრო  
გადიოდა და გადის. ის წარმატებები, რაც  
20-25 წლის წინ ჰქონდა გოდერძი იათაშ-  
ვილის დრამატურგიას, ფაქტობრივად,  
დავინყებულობა. არადა წარმატებები იყო:  
სხვადასხვა პიესები დაიდგა ბათუმში,  
რუსთავში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგე-  
თში... დაიდგა რუსეთშიც. პიესა "ემანსი-  
პაცია" ქალაქ გორკში. და მიუხედავად  
იმისა, რომ სპექტაკლები, ძირითადად,  
ასე ვთქვათ, პროვინციებში იდგებოდა,  
შემიძლია თავი დავდო, რომ მისი შემოქ-  
მედება არანაირად არაა პროვინციული  
ლიტერატურა...

არც ისე ცოტა რამ ვთქვი და ბევრი  
რამ მაინც ვერ ვთქვი მამაჩემის შესახებ.  
ვერც ვიტყვოდი, ალბათ. და მაინც, კიდევ  
რა?

გარეგნულად მსახიობ გიზო სიხარუ-  
ლიძეს ჰგავდა. სწორად აჩერებდნენ სხვა-  
დასხვა სიტუაციაში და მერე ებოდიშებო-  
დნენ: გიზო თარ ბრძანდებით?.. მომიტევ-  
ეთ... შევცდი... "ნუთუ ასე ძალიან ვგა-  
ვარ?" - სულ უკვირდა მამაჩემს. პირადად  
არ იცნობდა. ერთხელაც გააცნეს და გიზო  
სიხარულიძემ მისი სახელი და გვარი რომ  
გაიგონა, შესძახა თურმე: "აა, ეს თქვენა  
ხართ? ძლივს არ გნახეთ?! სულ ვილაც მა-  
ჩერებს და "გოდერძის" მეძახის!"

პოეტიც იყო, ოღონდ არასდროს უთქ-  
ვამს, პოეტი ვარო. ლექსი ცოტა შემორჩა  
- დედაჩემი ჩააცივდა ერთხელ და გადა-  
წერინა საერთო რვეულში. რაც იმ რვეულ-  
შია, ფაქტობრივად ეგაა დღეს მამაჩემ-  
ის პოეზია. დანარჩენი სადღაც დაიკარგა.  
პიესებშია კიდევ გაბნეული ამ პოეზიის  
წილი. 1979 წელს, ჩემს დაბადების  
დღეზე, აი, ასეთი ლექსი დაუნერია:

**ამ ცხოვრებამ ვერ გამხედნა,  
ვერც მე გავხედნე ის.  
ხან მე ვარ სუფრის თავში და  
ხან ის უტიფრად ზის.**

**არ მიშვებს კუთვნილ ადგილას  
და არც მე ვუხრი ქედს:  
დამეჭიდება - ნამაქცივს,  
ხან მე შევაფშვნი კლდეს.**

**ასე ჭიდილში ვიღლებით  
ორივე - მე და ის.  
ხან მე ვარ სუფრის თავში და  
ხან ის თამადად ზის.**

სიკვდილმა ბევრი აწვალა. დიდხანს  
ტანჯა საავადმყოფოში დაშლილი პანკ-  
რეასის გამო. გარდაცვალებამდე ცოტა  
ხნით ადრე კი, ახლაც ყურში ჩამესმის,  
როგორ მითხრა: ხომ მაინც მოვასწარი  
პიესის დამთავრებაო...

მეტი რაღა...  
მეტი აღარ ვიცი...  
თუმცა, არა, ვიცი. ეს წერილი ბავშვო-  
ბის ერთი მოგონებით უნდა დავასრულო.  
რატომღაც, ახლა, ამ მომენტში მგონია,  
რომ ეს მოგონება მამაჩემის ბუნებას ყვე-  
ლაზე უკეთ გამოაჩენს და ჩემ მიერ ასე  
აბნეულად დახატულ მის პორტრეტს ბო-  
ლო, ყველაზე საჭირო შტრიხს შემატებს:  
ერთხელ მე და ჩემი დეა მამამ რუსთა-  
ველზე გაგვასვირნა. ნაყინი მოვთხოვეთ.  
გვიყიდა. ჭამას რომ მოვრჩით, გვკითხა:  
"გინდათ კიდევ?" - "გინდა!" - ვიყვირეთ  
გახარებულვებმა. კაფეში შეგვიყვანა,  
200-200 გრამი აგვილო. ხელად შევსანს-  
ლეთ. "კიდევ?" - "კი!" - კვლავ 200-200  
გრამი შეუკვებთა. იმასაც მოვუღეთ ბო-

თარგმანი

# აბრა კადაბრა

# ანუ მიცვალებულთა სამარხები

ციკლიდან "ბოროტი ზღაპრები"



მარიანა ბრუზერი

ეს ამბავი ერთ კვირა დღეს  
მოხდა. ჩვეულებრივი დღე იყო,  
წინამორბედებისგან არაფრით  
გამორჩეული. ფრაუ მერლე სუფ-  
რას შლიდა, ქურაზე წვნიანით სა-  
ვსე ქვაბი თუხთუხებდა, სამზა-  
რეულოს ფანჯრებში მზე იჭყი-  
ტებოდა, რადიოდან ახალი ამბე-  
ბი იღვრებოდა და გემრიელ ოხ-  
შივარს ერწყმოდა - მოკლედ, გან-  
საკუთრებული არაფერი ხდებო-  
და.

უხერხულად ატუხულმა პო-  
ლიციელმა, რომელმაც დაბნეუ-  
ლობისაგან აღარ იცოდა, თავისი  
ქვაბურა ქუდისათვის რა მოეხე-

რებინა, პირველმა მიახვედრა  
ფრაუ მერლე, რომ იმ დღიდან  
მოყოლებული, საათზე წარამარა  
ყურება აღარ დასჭირდებოდა.  
საიდანღაც გამომტყვრალი ტრა-  
ქტორი, არა, მაინც რა უნდოდა  
აქ, ამ კვირა დღეს - ეჭვი არ შეგე-  
პართ, ამისათვის შესაბამის  
უნყებას აუცილებლად მოეკი-  
თება - მერე ეს გზაჯვარედინი,  
ნამდვილი ცოდვიანი ადგილია.  
რამდენი ხალხი შეინირა უკვე...  
ჰო, გვამების ამოცნობა საჭირო  
აღარაა, სამწუხაროდ ისედაც  
ყველაფერი ნათელია. მეტს ვერა-  
ფერს გეტყვით, ესაა სულ...

ფრაუ მერლე ფორმიანს ისე  
შეჰყურებდა, თითქოს არაფერი  
ესმისო. სახეზე კეთილმოსურნე

ლიმილი გადაჰფენოდა, სახეში  
შესციცინებდა და ელოდა, კაცს  
კი მართლა დალეოდა სათქმელი.  
უხერხული სიჩუმე კაი ხანს გაგრ-  
ძელდა და აუტანელი გახდა.  
ფრაუ მერლე არ იმძრეოდა. კაცს  
თვალმოუშორებლად მიშტერე-  
ბოდა, ღიმილი სახეზე შეჰყინვო-  
და. მერე მკვეთრად შეტრიალდა  
და გამოძცდელად მიიხედ-მოიხე-  
და: არაფერი შეცვლილიყო - დი-  
ვანიც თავის ადგილზე იდგა, სარ-  
წვევლაც, კედელზე სურათი ისევ  
ისე ეკიდა, ყვავილები ცოტათი კი  
შემეჭკნარიყო, მაგრამ მაინც არა  
უშავდათ რა, ძველი პენი შერჩე-  
ნოდათ. მაგიდაზე დაწყობილ  
ოთხ თევფს ჰკიდა თვალი, რომელ-  
ლთაგან სამი უკვე ზედმეტი გამ-  
ხდარიყო. მხერით კვლავ პოლი-  
ციელს მიაშურა საშველად. მერე  
თევფებს დახედა, ისევ პოლიცი-  
ელს. მხრები უღონოდ ჩამოეღვე-  
ნია. კიდევ ერთხელ შეეცადა უც-  
ნობის თვალელებში ის დაენახა, რა-  
საც უკან ველარასოდეს დაიბრუ-  
ნებდა. მერე კი აზრმოუტანებლად  
სუფრის ალაგებას შეუდგა. ასე-  
თი მოულოდნელი რეაქცია რომ  
დაინახა, ფორმიანსაც სხვა რაღა  
დარჩენოდა, მხარი აუბა. ჩიქებს  
და დანა-ჩანგალს ხელი დაავლო  
და სამზარეულოში გაიტანა. მერე  
მისაღებში გავიდა, თან თავის  
ქუდს ხელს არ უშვებდა და შეც-  
ბუნებული აქეთ-იქით ატრიალე-  
ბდა. ბოლო-ბოლო კარებსაც მია-  
ღწია და გარეთ ისე გავიდა, ფრაუ

მერლესგან ჩქამიც კი არ გაუგო-  
ნია, შეიძლება ქალი სულაც მუნ-  
ჯი იყო, ვინ იცის.  
ფრაუ მერლე მუნჯი არასოდ-  
ეს ყოფილა, ის კი არა, წყნარსა და  
უენოსაც ვერ უწოდებდით. ერთი  
პრაქტიკული ქალი იყო, დიდი  
ჭკუით არ გამოირჩეოდა, მაგრამ  
- ეს აზრი ქალს ტვინს უბურღავ-  
და - უკვე მეტისმეტი იყო, ამის  
გაგება და გათავისება მის შესაძ-  
ლებლობებს აღემატებოდა.

დაიღუპნენ. მკვდრები არიან.  
აი, ასე. არც გააფრთხილეს, არც  
არაფერი. არა შეუძლებელია, ასე  
არ მოექცეოდნენ.

ქალი ბინაში დაბორიალობდა,  
ყველა კუთხე-კუნჭულს ჩხრეკ-  
და, ფარდებს აქეთ-იქით სწევდა,  
კარადებს აღებდა, კარებს აჯა-  
ხუნებდა. გზადაგზა ავიწყლებო-  
და, რას ეძებდა. დაიღუპნენ, უხ-  
მაუროდ იმეორებდა და თავს აკა-  
ნტურებდა. თვალწინ მათი სახე-  
ბი ედგა, ყურებში ხმები, ნაბიჯე-  
ბი უხშიანებდა და ყველა ნივთში,  
რასაც თვალს შეავლებდა, მათ  
გრძნობდა. ცარიელ ოთახშიც კი  
ისინი იყვნენ. ქალი სახეზე ხელ-  
ებს იფარებდა და თავს აქეთ-იქ-  
ით აქნევდა.

ფრაუ მერლე გულის სიღრმე-  
ში, უეჭველია, სრულად აღიქვამ-  
და, რომ მომხდარს აღარაფერი  
ემვებებოდა. უკვე წარსულად  
ქცეულიყო, რასაც ცოტა ხნის წინ  
მომავალი ერქვა. ყოველივე ამის  
მიუხედავად, ქალი ყოველგვარ

ლოგიკას, საღ აზრს და გონივრუ-  
ლობას ჯიუტად ეწინააღმდეგე-  
ბოდა. მისი ფიქრები განუწყვეტ-  
ლივ სამ არსებას დასტრიალებ-  
და, ბაგეზე სამი საწუკვარი სახე-  
ლი ეკერა. მთელი ბინა თავიდან  
ჩამოიარა, სათამაშოებს აგროვე-  
ბდა, თეთრეულის უჯრა მოანეს-  
რიგა, გზადაგზა ნივთების თარო-  
ებიდან მტვერი ჩამოწმინდა, სას-  
ტუმრო ოთახში პალმას წყალი  
დაუწხა.

ნამუადღევს ყავა მოადულა  
და მაგიდა ორი კაცისთვის გაა-  
წყო. მეორე ფინჯანი რომ შეავსო,  
მაშინლა მიხვდა მის ზედმეტობას.  
გულაძვრებულმა ერთხანს უყ-  
ურა საწახევროდ შევსებულ ფინ-  
ჯანს, მერე მაინც ბოლომდე გაა-  
პიპინა, გვერდით ახალი გაზეთი  
მიუღო და მაგიდას მოპირდაპირე  
მხრიდან მიუჯდა.

რომ შებინდდა, ვახშამი ოთხი  
კაცისთვის გაამზადა, ლოგინე-  
ბიც დააგო - ბავშვების ოთახშიც,  
რასაკვირველია - გოგონას სუფ-  
თა ღამის პერანგი გაუმზადა,  
ბიჭს ნაჭრის კურდღელი, უმის-  
ოდ ხომ ვერ იძინებდა. მერე ისევე  
აწრიალდა, ხან ამას ეცა, ხან იმას.  
ათას წერილმანს მოედო, რომელ-  
თა დალაგებას მხოლოდ მაშინ ნა-  
მოიწყებდა ხოლმე, სახლში მარ-  
ტო დარჩენას თუ მოახერხებდა.  
ბოლოს საგარძელო კარებთან მი-  
ათრია, შიგ ჩაეშვა და ლოინი  
დაიწყო.

გაბრძინება E13 გვირდვა

# მტრელები

ბასო ხვედელიძე

განა ძნელია მთელი დღე იარო ქუჩაში და შენიანს არავის გადაეყარო? ვილაცამ მითხრა - ეგეთი დღეები თითქმის არ არსებობენო. სადაც სიტყვა "თითქმის" გამოერია, იქ ყველაფერი შესაძლებელია. მე კიდევ ასეთ თითქმის-დღეებს მივეჩვიე. გახშირდნენ ამ ბოლო დროს. ძალიან გახშირდნენ. ან მე გაუფაცოვდი ზედმეტად. იმასაც ვგრძობ, რომ ეგეთი დღეები სხვანაირად მზრდიან და მანყნარებენ. მეც სულ მათ მოლოდინში ვარ. დადარაჯებული. ვიღვიძებ თუ არა, მაშინვე ვამონებ - უებარი ხერხი მასწავლა აბო, ჩვენმა მეუზოვემ:

"ტრედი ფანჯარაში არ გეჯდეს, ის დღე კვდარია."

ჩემი სანოლი კი ზუსტად ფანჯარასთან დგას. ფანჯარას გარე რაფა აქვს. ჰოდა, ალიონზე თუ რაფაზე მტრელები არ დამიხვდნენ, ესე იგი ეგაა - ის დღე აუცილებლად მარტობაში ჩაივლის.

ძალიან ადრე კი, კარგად მახსოვს, დღეები, ძალიან იშვიათი გამოჩენაკლისის გარდა ბევრმტრელებიანი იყო. აქეთ მე ვინეჭი, იქით - თამარა, შუაში - ლუკა და ისიც ორივეს ერთდროულად და თანაბრად გვატობდა.

"ჩემი პანანო რადიატორი." - ეფერებოდა თამარა.

მტრელები გვაღვიძებდნენ. მტრელები ქუჩას კენკავდნენ. მტრელები სახლების აივნებს ეტანებოდნენ. მტრელებიანი დროებები თვალში გვხვდებოდნენ. ყველაგან მტრელები იყვნენ.

აბოს ნათქვამი დავიხსომე. თამარასაც ვუთხარი.

თამარა აბოს ქოქოლას აყრის და პროფესიას უწუნებს.

"რა იცის მაგან?!... შენც უგლებს ყურს პროფესიას!"

"ეზოს დაგვა ხომ იცის?" - ვიცავ მე აბოს.

"ეზოს დაგვა ყველამ იცის!"

"მიდი, დაგავე!" - ვეუბნები და პირზე წყალს ვისხამ.

თამარა ჩაის ადუღებს. მერე ასხამს.

"რა ქენი... აღარ მორჩი რომანს?" - მეკითხება საუზმისას შემრიგებლურად.

"ჯერ სადაა..." - ებურტყუნებ ჩემთვის და ფანჯარას გავყურებ.

"ნელი ხარ აი... ნელი..." - ოხრავს თამარა და ჩაიში სამ კოვზს შეაქარს იყრის.

"ნელიც ხარ და ბონდოც!" - ვამბობ და ეზოს ჩაცვქერი.

მტრელები არ ჩანან. არსად. არც ცაში, არც ძირს, არც ხეებზე, არც აივნებზე.

"რატო არ არიან მაშინ?" - ვკითხულობ ხმამალა.

"ვინა?"

"მტრელები... არსად."

"ერთი შენც მოგცილია!" - ამბობს თამარა და ჩაის სვამს.

მე სკამს ვუბრუნდები და თამარას შევყურებ.

ისევ ლამაზია თამარა, მაგრამ ისე ველარ, როგორც ადრე. თამაში ქალარა ძაფები. მოლლილი სახისკანი, თითები ხომ... თითები საერთოდ. არადა, სწორედ თითები იყო, რითიც თამარა ჩემთვის დაიწყა... სულ ადრე, ინსტიტუტში, კანისფერი მანიკურე-



ბი რომ ესვა და თითები ჰქონდა თლილზე თლილი, თხელზე თხელი. ახლა - ველარ. თითებიც დაილაღნენ. დროისგან, ალბათ.

"ლუკასგან არაფერი ისმის, რა ხანია..." - ამბობს თამარა მძიმედ და მაგიდის ალაგებს იწყებს.

"ტელევიზორში რას ამბობენ?... - ვიძებები.

თამარა ოხრავს და აბლაბუდას აჰყურებს.

"აღარ დამთავრდა ეს დაწყევლილი..."

თვალეში ვცდილობ შევხედო. მზერა დავიჭირო. ადრე, თამარას თვალეშიც სულმუდამ უბრწყინავდა. ახლა ისინიც ველარ.

თითქოს ფერიც გადაუვიდა თვალეშიდან - თაფლისფერი გაუიფდა. ეგეც ალბათ დროის ბრალია. თვალეზექვეშ კი სიმუქეებია. კუთხეებთან - ნაოჭები. მქრქალი, მაგრამ მაინც ნაოჭები.

"ვერც ვიძინებ..."

მე ისევ ფანჯარას გავყურებ. "ყველაფერი კარგად იქნება, თამარა... აგერ ნახავ."

"ჩვენ კი ვნახავთ..." - ამბობს ნალვლიანად და ჩემი გადაბრეცილი სახის შემხედვარე იქვე დუმდება.

ეზოდან ასფალტის ფხოჭნის ხმა მესმის. აბოა, ალბათ, მაგრამ დილით მტრელები რომ არ იყვნენ?... "სიზმარში ვნახე გუშინ..." - ამბობს თამარა.

"არა... ვიტყუები... კი არ ვნახე, ვითომ ტელეფონი რეკავდა სიზმარში... დიდხანს... ვერ ვპოულობდი სად იდგა... მერე ძლივს მივაგენი..."

"სად იყო?"

"საპურეში."

ტანში მცრის.

"მერე?"

"მერე ავიღე და ლუკა იყო... ვითომ პატარა იყო... ტვინის შერყევა რო დაემართა გახსოვს?"

თავს მძიმედ ვაქენე. "ა იხსელა."

"მეორე კლასში." - ვაკონკრეტებ მე.

"და შენზე მკითხა, დაამთავრო?"

ისევ ფეხზე ვდგები და ფანჯარას ჩავყურებ. ასეც ვიცოდი - ვილაც სტაფილოსფერილეტიანი ბებრუხანა ფხოჭნის ეზოს.

"გავივლი მე..." - ვამბობ და გარეთ გასასვლელად ვემზადები.

"დარჩენილიყავი... დაგემთავრებინა... ყველაფერისთვის იცლი..." - იწყებს თამარა. "რაა მაგ ბოდილაში?"

"ტვინი!..." - ვუტრიალდები თამარას მკაცრად. მერე ქუდს ვიხურავ და გავდივარ.

ქუჩაში თითქმის არავინაა. მტრელები მით უმეტეს. ხალხიც და მანქანებიც კანტიკუნტად.

ცოტას გავივლი. მერე შადრევნიდან მოვყვლუპავ. მერე ისევ გავივლი. სანაპიროსკენ ჩავუხვევ. მდინარის მხარეს გადავალ. ყროლის სუნი. ვსუნთქავ ღრმად.

ვჩერდები. მოაჯირს იდაყვებით ვეყრდნობი. წამით მეჩვენება, რომ მდინარე დგას და დანარჩენი ყველაფერი მიდის, მათ შორის მეც. მდინარის იქითა მხარეს მეტევზეები. მდინარის ზედაპირი გაზეთების ბინძური ნახევებით მოფარული.

■ ■ ■

ადრე, მე და ლუკა ზუსტად ამ ადგილას ჩამოვდიოდით ხოლმე. უფრო საღამოსკენ. ლუდს, თევზსა და შავ პურს ვიღებდით.

ძველ გაზეთსაც ვიყოლებდით სახლიდან. ვიციცქნებოდით. ლუკა უკულმართ სადღევრძელოებს იგონებდა და ვიცინოდით.

მერე ერთხელ ლუკამ ძალიან სხვანაირად მითხრა:

"მა, ერთი გოგო შემიყვარდა ძალიან!" - და მეც გული ამიფანცქალდა.

ვიცოდით, მეც და თამარამაც, ადრე ბევრთან რომ დაძვრებოდა. ვისგან აღარ ვიგებდით, მაგრამ ასე არასდროს უთქვამს. არც ისე. არც თამარასთვის. კრინტიც არ დაცდენია.

დიდხანს ვფიქრობდი, რა მეკითხა. სიტყვებს ვეძებდი. მერე ყველაზე უბრალო დამცდა:

"ვინაა?" - და ლუკაც ამის გაგონებაზე უცნაურად დალონდა. თან მოიღრუბლა და აბორგდა. მერე ნიკაპი აუკანკალდა და ძლივს ამოთქვა:

"ბოზია..."

იმ დღეს მეტი აღარაფერი გვიტყვამს ერთმანეთისთვის. ამ თემზე ხმაც არ ამოგვიღია მთელი სამი კვირა. იმის მერე აღარც ლუდის დასაღვებად ჩამოვსულვართ აქ. თამარას რას ვეტყვოდი.

სამი კვირის მერე მოიყვანა სახლში და გაგვაცნო.

ჩუმი და ლამაზი გოგო აღმოჩნდა. სახით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. უცხო და-ძმები ეგონებოდა.

ჩაი დავლიეთ. თამარამ ამაყი სახით საოჯახო ალბომი გადმოიღო და გოგოს დაათვალიერებინა. მერე შეკითხვები დაუსვა. გოგო ყველაფერზე მორჩილად პასუხობდა და თამარას თვალს ვერ უსწორებდა. ლუკაც იქვე იყო - გარინდული და ანთლუბული.

"როგორ უხდებიან ერთმანეთს!..." - მითხრა თამარამ საღამოს.

"როგორც მსაჯი და სვისტოკი." - ვთქვი მე და ჩემ ოთახში შევედი.

გული მიფართხალებდა.

კიდევ სამი კვირის შემდეგ სასწრაფოს გამოძახება დაგვჭირდა. ლუკას გულის შეტევა ჰქო-

ნდა. თამარა მთელ ეზოზე კიოდა. ძლივს დავაწყნარეთ.

მერე საავადმყოფოს ფოიეში ვიდექით. თამარას თავი ჩემს მკერდზე მოესვენებინა. მე თავზე ვეფერებოდი.

"რატო მოუვიდა... ამ ასაკში... რა დროს მაგის ეგ იყო..." - ქვითინებდა თავისთვის.

რა უნდა მეთქვა.

ყოველდღე მივიდიოდი. ლუკა ნალვლიანი და აფითრებული გვხვდებოდა. მთელი კვირა არაფერს ჭამდა. წამით ნახევარ საათს თუ ჩათვლემდა და ყვირით იღვიძებდა. ხან მე ვუთხედი, ხან თამარა.

"მა, ეგრე ღრმად არსად შემიტოპია..." - მითხრა მეშვიდე ღამეს. "ყველაფერი გავეცი... ეგრე არასდროს უტკენინებიათ... რატო ხდება მა ეგრე?"

თვალეები აცრემლებული ჰქონდა.

"ვერა ხვდები?" - შევეკითხე და ბალიში შევუსწორე.

"წნ..." - გადააქნია თავი ლუკამ და სავემთვარიან ფანჯარას გახედა.

"ცოტაც მოიცადე." - ვუთხარი მე.

ოცდაერთ დღეში გამონერეს. სახლში ტაქსით წამოვიყვანეთ. თამარა წინ იჯდა. უკან მე და ლუკა. შევატყე, რომ მანქანის ყოველ, სულ მცირე დამუხრუჭებაზეც კი იძაბებოდა და ფითრდებოდა.

"სიარულს გადავეჩვიე..." - თქვა მანქანიდან რომ გადავიდოდით.

აქეთ-იქიდან ხელმკლავი გამოვდეთ და ფრთხილად ავიყვანეთ ულიფტო სახლის კიბეებზე. უცებ დაილაღა.

სახლში რომ შევედით გაიბადრა. სახეზე ალმურისმაგვარმაც წაჰკრა.

თამარა სამზარეულოში გა-



ვარდა და სუფრის გაშლას შეუდგა. ჩვენ ფანჯარასთან ვიდექით და ეზოს ჩავეყურებდით. აბოს ცოცხი ეჭირა და გამეტებით იქნევდა.

"ქალები შემეზიზნება..." - დასცდა ლუკას.  
"ცოტაც მოიცადე..." - გავუმეორე მეორეჯერ პაუზის შემდგომ.

მთელი თვე არ გასულა ლუკა სახლიდან. ძირითადად, იწვა. არც ტელევიზორისთვის შეუხედავს. ნიგნებს კითხულობდა, ან ჭერს ასცქეროდა და ფიქრობდა. ერთი-ორჯერ ამხანაგებიც მოუვიდნენ და ბედად მაინცდამაინც მაშინ, თამარა რომ არ იყო - რომ ყოფილიყო, ვიცი, არ შემოუშვებდა. ბოთლით არაყი მოიტანეს და თვითონ დალიეს. თან ხორხოცობდნენ. ლუკას ართობდნენ. ლუკა ნაღვლიანად იღიმებოდა და ეტყობოდა, გონებით მაინც სულ სხვაგან იყო.

"რატო აღარ ეკარება არავინ..." - შფოთით მკითხა თამარამ ერთ-ერთ საღამოს. "აღარავინ ურეკავს... ადრე სუ ტელეფონზე იყო ჩამოკიდული..."  
"დრო ჭრილობებს უშუშებს... ისინიც აცლიან... მაშ რისი მეგობრებია..." - ვუპასუხე და თამარას თავზე ხელი გადავუსვი.  
"თავი დამანებე ერთი შენი ფილოსოფიით!" - ამიკრა ხელი თამარამ და კარტოფილის თლა განაგრძო. მე მხრები ავიჩიქე და წყალი დავლიე.  
"ხორცს ვეღარ შევჭამ!" - გამოაცხადა მეორე დღით ლუკამ. ერთდროულად შევხედეთ. თვალები ანთებული ჰქონდა.  
"რატო შეილო... კბილები გინდა ნაადრევად დაგცვივდეს?" - შეიცხადა თამარამ.  
"სიბრძნის!" - მოუჭრა ლუკამ და თავისთან ჩაიკეტა.

მეორე დღეს, შუადღით, ჩემთან შემოვიდა. ვნერდი, მაგრამ მისი ნაბიჯები მაინც ვიცანი. კაი ხანს მედგა ზურგსუკან. მე რე ჩახველა და მეც გავხედე. ფერი მოსვლოდა. თვალები კიდევ უფრო ანთებოდა.  
"რა მოხდა?"  
"დავურეკე..." - თქვა ჩურჩულით და მივხვდი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად გაიღიმა.

"რაო?" - შევეკითხე დიდი პაუზის შემდეგ და დავიძაბე.  
"არაფერი... მოვუხადე... მადლობა..."  
"უხდიან ბოდიშს... და არა მადლობას." - შევეუსწორე მე.  
"ჰო... მადლობა ვუთხარი."  
"რისთვის?"  
"გზაზე დაყენებისთვის!" - თქვა ლუკამ და კიდევ ერთხელ გაიღიმა. "დიდი ადამიანი ყოფილა..."  
"თუ ქალი?" - ჩავეძიე მე.  
"ქალი." - დააქნია თავი ლუკამ და ჩამოჯდა.

ოთახში სირწმე ჩამოვარდა. "ანი ხომ იცი?" - შევეკითხე ერთბაშად ამსუბუქებული. ლუკა კაი ხანს ფიქრობდა. მერე შემომხედა.  
"შენნაირი მინდა ვიყო..." - აუკანკალდა ნიკაპი და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.  
ძლივს შევიკავე თავი. მერე შუბლზე ხელი გადავისვი და ცხოვრებაში მესამედ ვუთხარი: "ცოტაც მოიცადე."  
შემდეგ დილას კიდევ უფრო ანთებული გამოვიდა თავისი ოთახიდან. მე და თამარა სამზარეულოში ჩაის ვსვამდით. თან

ტელევიზორს შევცქეროდით. ვილაც ახალგაზრდები მღეროდნენ. "დე, მარხვა როდის იწყება?" - დაახეთქა ლუკამ პირდაპირ. თამარას კინაღამ ლუკმა გადასცდა.  
"რათ გინდა, დედა გენაცვლოს, ისედაც გამხდარი ხარ..."  
ლუკამ მე გადმომხედა. "ორშაბათიდან." - ვუთხარი მე და ჩაი მოვსვი.

ლუკამ წამით შეხედა ტელევიზორს. მერე ისევ ჩვენ გადმოგვხედა.  
"ამათი ფარისეველი დედა მოგტყან!" - გამოსცრა კბილებიდან და თავი ტელევიზორისკენ გადააქნია.  
თამარამ ყურებზე ხელისგულები აიფარა. მე გამელიმა.  
ლუკა ოთახიდან გავიდა.

აღდგომაზე მე და ლუკამ კვერცხები დავურტყით ერთმანეთს. ჩემი გატყდა. მივანოდე. ნახევარი შეჭამა და დარჩენილი უკან გამომიწოდა.  
"არ შეიძლება." - ვუთხარი მე და ის ნახევარიც მიირთვა.  
"აგერ პასკაც ჭამე, დედიკო." - მოეფერა თამარა და ლოყაზე აკოცა.

მერე ღვინო დავლიეთ. ცოტ-ცოტა. ლოყები აგვიფერადდა. თამარა აქეთ-იქით დაფაცურობდა.  
"უნდა წავიდე... ნასვლა მინდა..." - გამენდო უცებ ლუკა და ბედნიერი მხერით ამომხედა.  
"სად ნასვლა?" - ვერ მივხვდი მე.  
"ომში..."  
"საად?"  
"ყველაფრის თავიდან დანყება..."  
დავდუმდი.  
"... თუ გადავრჩი, მღვდელი გავხდები..."  
აღარაფერი მითქვამს.

"დედაშენი გაგიჟდება..." - გადავუჩურჩულე საღამოსკენ. ლუკას გაეღიმა.  
"სიმართლეს ვეტყვი... და არაფერიც არ მოუვა." - თქვა ფიქრის შემდეგ.  
"მე რომანს დავწერ." - წამომცდა უცებ ჩემდაუნებურად. "დაგახვედრებ..."  
"რაზე?" - დაინტერესდა ლუკა.  
"შენზე." - ვუპასუხე თამამად და მხარზე ხელი პირველად გადავხვიე.

უმტრედებო დიღები მომიმრავლდა. ვერაფერს ვხვდები. აბოც სანუგემოს ვერაფერს მეუბნება.  
"ეგეთი ქალაქებიც არი... ტრედი არ იცის..."  
"მერე რა ხდება იქ?"  
"არაფერი... ყველა თავისთვისაა..."  
რომანს ვეღარაფრით ვამთავრებ. გაჭედილი ვარ. სულ უფრო ხშირად ჩავდივარ მდინარესთან. ის ისევ ისეთია. ყოლიანი. გაზეთების ბინძური ნახევებით ზედაპირმოფარული. იქით მეთევზეები. აქეთ მე და ყოველ ჩასვლაზე წამიერი შეგრძნება, რომ ეს მდინარე კი არა, ყველა დანარჩენი მიდის, ჩემთან ერთად. ნელა და ზოზინით.

თამარა სულ უფრო ხშირად ბუზღუნებს და დღითი-დღე ავადება. უჭირს მარტოს. მე რომანი-სკენ ვარ. ლუკასი არაფერი ისმის და არავინ იცის როდის დაბრუნდება. თამარას რალა დარჩენია.



სერიალები, ტელეფონი, მეზობლები, დაქალები, ნათესავები... მაინც არ ვყოფნის. ლუკა ენატრება და ვერც თავისთვის ვერ უპატიებია და ვერც ჩემთვის.  
"რატო გაუშვი?!..." "რატო გაუშვი?!..." "რატო გაუშვი?!..."  
ამ სიტყვებით შემოდის ყოველ დღით ჩემთან და ლამენათევს მაფხიზლებს.  
"თითონ წავიდა." - ვცდილობ დავანწყნარო. ლოგინის კიდევ ჩამომჯდარს ზურგზე ხელისგულს ვუსვამ. თამარა გველნაკუნით იწევს და ფეხზე დგება.  
"ცივი ხარ..."  
მე მტრედების რაფისკენ ვატრიალებ თავს. რაფაზე ორი, დედალ-მამალი მტრედი ზის. ერთმანეთს ნისკარტებით ეალერსებია.  
სწრაფად ვიცვამ.  
"თითისტოლა ბავშვის ჭკუაზე ვინ დადის, ვინ?!... რამე რო მოუვიდეს?... - ბოლო სიტყვებს ჩურჩულით ამბობს თამარა და გაბზარული შემომცქერის.  
"ვინაა თითისტოლა?!... არაფერიც არ მოუვა!..." - ვამბობ და გავდივარ.  
ეზოში აბო მხვდება. ჟანგიანი ღიმილით. გარს მტრედები ახვევია. ლულუნით დაბაჯბაჯებენ და ეზოს მტვერს კენკავენ.  
"ამბავია." - ამბობს აბო და ცოცხის ტარის ბოლოზე იდაყვ-ჩამოყრდნობილი მტრედებს გადაჰყურებს.  
"რა ამბავი?"  
"სვოი დლე იქნება, აბო არ ვიცი!"

ქუჩაში გავდივარ. ყველგან მტრედებია. მტრედები ქუჩას კენკავენ. მტრედები სახლების აივნებს ეტანებიან. მტრედებია-ნი დროშები თვალში მხვდებიან. ხალხიც ბევრი. მანქანებიც.  
"ვა, ბასა, შე ძველო!" - ნაცნობებია. მხარზე ხელის ტყაპუნია. მოკითხვები. "სად ხარ, აღარ ჩანხარ..." "ბიჭი როგორაა... ისევ აფრენს?"... "გამხდარხარ აი..." "თამარა რასა იქმს?"... "ნეერ ისევ?"... "შენცა ხარ, საქმე გიშოვია..." "ვა, ბასა, ვბერდებით ჯიგარო?" "ქვეყანა შენდება, ბასიკ, ხალხი კეთდება, შენ კიდევ..." "ვა, ამას ვის ვხედავ, ტო!" "ე, ბასა, გახსოვს ადრე?"

მე ყველაფერი მახსოვს და ვერაფერს ვერ ვივინყებ. რაა რო დასავინყებელი? მახსოვს, როგორ არა - თამარას თითები კანისფერი მანიკურებით. მისი ღიმილი. მერე შეხვედრები. სეირნობები სანაპიროზე. მერე ქორწილი. ლუკა. ბავშვის ტირილები ლამდამობით. ნეეროზები. ლუკას ბალი. სათამაშოები. სკოლა. არეულობა. შიმშილი. სიბნელები. სიცივე. მე ყველაფერი მახსოვს. მე და ლუკას ლუდის სმებიც მახსოვს მდინარის ამ მოაჯიროზე. აი ზუსტად აქ რომ ვიდექით ხოლმე. აგე ეს ჭადარი. ლუკა უკულმართ სადღეგრძელოებს რომ იგონებდა და ვიცინოდით. ის დღეც მახსოვს. სხვანაირი ლუკა. ნიკაპის კანკალი. სიყვარული. ყველაზე დიდი და ლამაზი მისთვის. განზილებაც. გულის შეტევაც. მერე მოშუშება. სულის მოშუშება და

სინათლე. სინათლე, რომელიც ლუკას იმ ჩუმმა და ლამაზმა გოგომ აჩუქა. განა სიყვარულით? - ხელისკვრით. ლალატით. შემოლანუნებით. მახსოვს. მე ყველაფერი მახსოვს. ლუკა რომ მიხვდა, დიდი ტანჯვის მერე რომ ყველაფერს მიხვდა, მთელ თავის წარსულს რომ მიხვდა, ისიც მახსოვს. რომ ინანა, ისიც. მე ანიც მეხსომება ყველაფერი. რა დამავინწყებს. ერთ სიტყვასაც. ნერტილსაც. მიმეცაც კი. ლუკას დაბრუნებაც მეხსომება. კარზე მისი ზარი მეხსომება. უკვე სხვანაირი. ჩემი გულის ფართალიც მეხსომება. თამარას გულის ნასვლაც. მერე ხვევან-კოცნა. წვერებიანი ლუკა. სულყველაფერი ყოველთვის მეხსომება. ლუკას სისხვანაირე მეხსომება. სიღინჯე. სხვა შუქი თვალეში. სიბრძნე. ყველაფრისთვის მზადმყოფი და დაუზარელი ლუკა მეხსომება.

წვერს თუ გაიპარსავს ლუკა, მაშინ მდინარეზე ჩავალთ და ისიც გაიხსენებს, მასაც სულ ეხსომება ის ბოლო დღე და ეს პირველი.

წვერს თუ გაიპარსავს ლუკა და მდინარეზე ჩავალთ, მაშინ ავიღებთ ისევ თევზს, შავ პურს, ლუდს და სახლიდან თამარას გამოტანებულ ძველ გაზეთსაც გავფენთ მოაჯიროზე.

წვერს თუ გაიპარსავს ლუკა და მდინარეზე ჩავალთ და ავიღებთ ისევ თევზს, შავ პურს, ლუდს და სახლიდან თამარას გამოტანებულ ძველ გაზეთსაც გავფენთ მოაჯიროზე, მაშინ ლუკა ჩვეულებრივ სადღეგრძელოებს მოიგონებს და მაინც ვიცინებთ.  
"მა, უკვე ოცდაცამეტის ვარ..." - მეტყვის მერე.  
გამელიძება. გამელიძება მთელი სხეულით. სიტყვების ძებნა სულ არ დამჭირდება. თვითონ ლუკა მეტყვის:  
"ანი ჩემგან კაცის მეტი აღარაფერი გამოვა."

ირგვლივ კი, ალბათ, ბევრი, ბევრი თოლიები იქნებიან და რა თქმა უნდა მტრედებიც. მდინარეც, ალბათ, სხვანაირი იქნება. მდინარე, რომელიც შუადღისკენ ტანსაცმელშემოძარცულ, პლასტიკის ხელფეხდამძვრალ მანეკენებს ჩააცურებს. უამრავს, ალბათ. არავის ეცოდინება საიდან, და ჩვენთან ერთად მაინც მთელი ქალაქი მოაჯიროზე იქნება გადაყუდებული.  
ტელევიზიებიც მოვლენ კამერებით.  
იქნება განსჯა, კამათი, ვარაუდები.  
"ძველი თეატრი დაინვაო." - იტყვის, ალბათ, ერთი.  
"რა უნდა თეატრში მანეკენებს." - შეიცხადებს, ალბათ, მეორე.  
"კინოს იღებენ მგონი..." - დასაკვნის, ალბათ, მესამე და ეს კინოც, ალბათ, ასე დამთავრდება:  
მე და ლუკა ერთად გბრუნდებით სახლში. გზაში მტრედებია. ყველგან მტრედები. მანქანებზე, ხეებზე, აივნებზე. შევდივართ ეზოში. იქ აბოა განუყრელი ცოცხით და ირგვლივ მტრედებით. გაგვიღიმებს. მხრებს აიჩიწავს და ჩვენი ფანჯრისკენ აიხედავს. ჩვენც იქით გავგვქცევთ მზერა.

თამარა ფანჯრის რაფაზე მობაჯბაჯე მტრედებსთვის პურის ნაფხველების დაყრით იქნება დაკავებული, თან ღიმილით ჩამოგვაცქერდება.  
"დაბრუნდნენ აი!" - ჩამოგვძახებს და აბოც დაეთანხმება.  
"დაბრუნდნენ მა..."

მოდელი: ანალონოვი, ნაბაბინი

# მფარველი ადამიანი - ალექო შულაძე

მოთხრობები თანამედროვე ქართველ მწერლებზე - 1

დავით ქართველიძე

1

ნებისმიერ ადამიანს აქვს თავისი ფიზიკური სიმაღლე. ნებისმიერ ადამიანს აქვს სულიერი სიმაღლე. პირველი გარეგნულია, თვალმისაცემი. ჰოდა აინტერესებთ: (ჩვენ მამაკაცს განვიხილავთ აქ) პრანჭია გოგობს (ფურთხი ემშაკს და), უკუღმართ მამაკაცებს, საკალათბურთო გუნდის მწვრთნელს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცი მიდრეკილია სპორტის ამ სახეობისაკენ და ა.შ.

სულიერი სიმაღლე დაფარული რამ ამბავია. ჰოდა, მხოლოდ ღმერთს აინტერესებს, ღმერთი, მოგეხსენებათ, ყველაზე დიდი არქეოლოგია, მუდამ სულში მტკიცუნულად გვიფართურებს უხილავ ხელებს, სიძველეებს ეძებს - სიყვარულს, პატიოსნებას. ფა-ფუ. მოგვიყარა ღორებს მარგალიტები და დაკარგა, შევთქვიფეთ.

ახლა ცხვირებს ნუ დავუშვებთ იმის გამო, რომ ღორები ვართ, დავუშვათ სხვა რამეები.

დავუშვათ: მამაკაცს, აქ რომ განვიხილავთ, არა აქვს მიდრეკილება კალათბურთისაკენ (ენა გაგვიხმეს და კალამი გაგვიშრეს, თუ ცუდ სპორტად ვთვლიდეთ. პირიქით, მოგვწონს, რადგან პოეტურია - სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა). დავუშვათ: მამაკაცი წიგნებს წერს. დავუშვათ: მამაკაცს ჰქვია ალექო შულაძე. თუ ეს ყველაფერი დაუშვით, ნაიკითხეთ შემდეგი ექსტრასენსული მონოდება: ამოისუნთქეთ!

2

ჩვენ (ეს აკადემიური ჩვენ რას ნიშნავს, არ ვიცით. ალბათ, გაგნათლდებით ოდესმე) ვიცით, რომ ასეთი მსუბუქი და შარლანტანური შესავალი არ შეეფერება ალექო შულაძეს, რადგან ის სერიოზული მწერალია. ვგულისხმობთ ღმერთისთვის საჭირო სერიოზულობას და არა (კვლავ დავუშვათ რამეები) ყელზე ჰალსტუხს. შუბლზე მიდებულ ხელისგულს. ნახეთ: ჩვენი ცოცხალი უფროსი თაობის ფოტოები, ნახეთ ისინი ცხოვრებაში, როგორი მიმოხვრა აქვთ, როგორი შესტ-მიმიკა. აგრეთვე ნახეთ თანამედროვე ინტელექტუალები ფოტოებზე. ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, არიან მათ შორის ჭეშმარიტად დიდები და განუმეორებლები. რა თქმა უნდა, არიან მათ შორის ჭეშმარიტად პატიოსნები. პატიოსნები უფრო იშვიათად, ვიდრე დიდები.

მაგრამ ვიცით, ჩხუბს რომ ჯობს მშვიდობა, ჯანმრთელობა და ნიშანი.

3

რედაქტორის მოთხოვნა ასეთია: ხაზგასმული უნდა იქნეს პიროვნული თვისებები, და რადგან, ჩვენ რედაქტორს პატივს ვცემთ და ალექო შულაძეც ორ-სამჯერზე მეტად გვყავს ნახი და ხელიც ჩამოგვირთმევიართმანეთისთვის, მოდით თუნდაც ხელის ჩამორთმევით დავინწყით პიროვნული თვისებების ოდნავი ხაზგასმა.

გყავთ, ალბათ, ნაცნობი, რომელიც მისალმებისას ჯერ



ალექო შულაძე

თავზევით სწევს მარჯვენას, ცაში ააქვს მარჯვენა, შემდეგ, უცებ, მოსხეპით ითრევს თქვენს ხელს, მეორე ხელს დათრეულ ხელის ზურგზე გადებთ და ასე, ორი-სამი წუთი გათამაშებთ; მაღლა-დაბლა. დაბლა-მაღლა. ალექო შულაძე, ამ თქვენს ნაცნობს არა ჰგავს, მისალმებისას ის პატარაზე სწევს წინ ხელს (ჩვენ რომ ჩვევად გვექონდეს ბანანში და ხმალი სხვა რალაცეების დანახვა, ვიტყვით: ალექოს ეს ჟესტი გამოჰხატავს მინიერი სამყაროსადმი უნდობლობას, მიზანთროპიას და სხვა არცთუ ძლიერ საამაყო დამოკიდებულებებს), თვალები მოჭუტული აქვს, ოდნავ ილიმის, რადგან ალექომ იცის, ის ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია (ცოტანი არიან ასეთები, პატიოსნებზე და დიდებზე გაცილებით ცოტანი), იუმორი რომ იცინა, არა მხოლოდ გრძნობა აქვთ, არამედ იცინა იუმორი, მისი გემო, იუმორის მნიშვნელობა, ესე იგი, უპირველესად საკუთარ თავს დასციინა, საკუთარ თავს ეთამაშებიან. ალექომ იცის, რომ ხშირი სიცილი უფრო სისულელის ნიშანია, ვიდრე იუმორის ცოდნის. ვგულისხმობთ თანამედროვე, მარტივ სისულელეს და არა ძველ დროში სწორად შექებულს.

4

ჩვენ აქ, თქვენი ღირსი თვალები იმიტომ დავლაღეთ ასეთი რამეების კითხვით, რომ მიგვაჩინა კი არა, დარწმუნებულიც ვართ, არა მხოლოდ საკუთარი სულის ხატია მწერლის წიგნი, არამედ ფიზიკური შეხედულებისაც. ახლა ფიზიკას ვინ ან რა მართავს, ნუ გამოვიკვლევთ. ერთი რამის თქმა კი შეიძლება - ადამიანი არა, ჩვენ, მოგეხსენებათ, ღორები ვართ!

ალექო შულაძეს ორი წიგნი აქვს გამოცემული. პირველი მოთხრობების კრებული "გაქცევის მცდელობა", მეორე რომანი "სამსარა". ფაქტობრივად, ეს ერთი წიგნია, ერთი სამყარო, ერთი და იგივე პერსონაჟები. ერთი წიგნის წერა საერთოდ ახალი რამ ამბავი არაა. სიახლე და აღმოჩენა, თუნდაც ჩვენს, ოდესღაც დიდ საქართველოში, - ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩინაშვილის ალაგ-ალაგ ცდანი. არაფერს ვამბობთ ჰაეროვანი საფრანგეთის ძველ შვილებზე - ბალზაკი, ზოლა, იყო: მეომარი ამერიკის ძე - ბაროუზი.

ეს ერთ-ერთი თავისებურება ალექო შულაძის პროზისა, არც ისე ახალი და არც ძაან მისი. რატომ აკეთებს ალექო ამას, რატომ წერს მაინცდამაინც ასე, ამას თავისი დიდი მიზეზი აქვს და ვიდრე ალექოს პროზას სხვა თავისებურებებს ჩამოგივლიდეთ, ჯერ ალექოს დიდ მიზეზს გეტყვით.

5

ალექო შულაძე ვაიშნავია. ესე იგი: მისი ღმერთი არ მდგარა მთაზე და არ უთქვამს: "ნეტარ არიან" ცხრაჯერ. ჩვენ ღრმად ვერ ვერკვევით ამ ურთულეს ინდურ სწავლებაში. გალიმათია და კოსტაპარუნობა კი არ გვიყვარს. ერთს კი გეტყვით: ამ სწავლების თანახმად სული მოძრავია, ნებისმიერი ცოცხალი სხეული სულისთვის დროებითი თავშესაფარია. მოძრაობს სული ადამიანიდან მცენარეში, მცენარიდან მწერში, მწერიდან ცხოველში, უსასრულოდ მოძრაობს სული, არანაირი განკითხვა, არანაირი ორმოცი დღე უფლამდე მისასვლელად, რა თქმა უნდა, სულის ეს უსასრულო ხეტიალი. არ უარყოფს მორალს, პირიქით, ეს უძველესი

სწავლება ერთ-ერთი ყველაზე მორალისტურია. საქმე სიცოცხლისადმი დამოკიდებულებაშია: სიცოცხლე უმიზნოა, უაზროა. დროში განვლილი კვდომა (არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ეკლესიასტე). მოდიან და მიდიან თაობები. ამ წასვლა-მოსვლას, დაბადება-კვდომას ეწოდება სამსარა (გვაქვს ქართულში ასეთი სიტყვები - სანსალი, ცანცარი. უცნაურია). უკვე გითხარით, რომ ალექოს, ჯერჯერობით, ერთადერთ რომანს ასევე ჰქვია, "სამსარა" და ეს უსასრულო დაბადება-კვდომის პროცესი ამ რომანში (ალბათ, უფრო ქადაგებაში) ეპიდემიის სტატუსს იღებს. მთავარია სამსარიდან თავის დაღწევა, ამ უაზრო პროცესიდან გამოსვლა. ალექო შულაძე იდეების მწერალია, მისი პროზა იდეოლოგიურია. თუმც, თავს არაფერს გვახვევს. თანამედროვე ლიტერატორთა შორის ალექო სწორედ ამით გამოირჩევა. მას აქვს პრობლემა, ის ცდილობს პრობლემის მოგვარებას, თუმც, საბოლოოდ სამსარაში რჩება, მაგრამ ალექომ სცადა, რადგან ალექომ იუმორი იცის.

მოთხრობა-შედევი (შოთა იათაშვილის და ზაზა ბურჭულაძის შეფასება) "პასუხები ერთ-ერთი მცირეტირაჟიანი ჟურნალისთვის" კრებულიდან "გაქცევის მცდელობა" პრობლემასთან მისვლაა, გააზრება იმისა, რომ სამსარაში მონაწილეობ. ამიტომაც აქ კითხვები უფრო ჭარბობს პასუხებზე, ჭარბობს კი არა, მხოლოდ კითხვებია. ამ მოთხრობასა და რომანს "სამსარას" შორის არის ერთი პრინციპული განსხვავება. "პასუხები ერთ-ერთი მცირეტირაჟიანი ჟურნალისთვის" არის მხატვრული ლიტერატურა წესების დაცვით. რომანი "სამსარა"

რა" კი უფრო გრძელი, პირადად ჩემთვის, მეორე ნაწილში უკვე მოსაწყენი, ქადაგებაა, რადგან არანაირი მოძრავი სულების არ მჯერა და ცხოვრებაშიც დაბადება-სიკვდილზე სევდიან რალაცებს ვხედავ.

6

ორიოდე სიტყვა ალექო შულაძის ენის გამო. ალექოს ენა სასაუბროს უახლოვდება, მაგრამ ნატურალისტური არაა, ჟარგონებს და ბარბარიზმებს არ იყენებს. ასე ელაპარაკებიან ღმერთს და ზრდილ ადამიანებს, და მოგეხსენებათ, ღმერთთან და ზრდილ ადამიანებთან იაფი, თაღლითი ეფექტები არ ჭრის.

7

ალექო შულაძეს დანერვილი აქვს მოთხრობა "გაქცევის მცდელობა", რომელიც ბოლომდე ვერ წავიკითხე. არადა, ბევრისთვის საყვარელი მოთხრობაა. ალექოს დანერვილი აქვს მანიფესტები. ყველაზე უცნაური მოვლენა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. და როგორც თინეიჯერები თანამედროვე მუსიკაზე, ისე მე ალექოს მანიფესტებზე - ვეცემი.

8

კავკასიურ სახლში გამართულ ალექო შულაძის საღამოზე თავად ალექომ თქვა: "არ ვიცი, კიდევ დავწერ თუ არა"-ო. ეს რთული საკითხია. ეს პირადი არჩევანია. მე მჯერა, რომ ალექო შულაძე არ გაჩერდება, დაწერს.

ალექო შულაძემ იცის, რომ ღმერთია ჩვენი შემწე და ჩვენ ვართ ერთმანეთის მფარველნი. თუნდაც ამიტომაც ალექო შულაძე ჩემთვის ღირებული ავტორი და მფარველი ადამიანი.

# ორი პოლუსი

### იხირ მამადლი

ელბეი სოფელში ყველაზე საცოდავი და გონებაჩლუნგი კაცთაგანი გახლდათ. მაგრამ სოფელი ელბეის გარეშე ერთი დღითაც ვერ შეძლებდა ცხოვრებას. რომ არა ელბეი, სოფელი მაშინვე თვალნათლივ იგრძნობდა თავის საცოდაობას და ამით უფრო დაბეჩავდებოდა.

სოფელი ხომ თავის ღირსებას ელბეის ღირსებასთან მიტოვებით ზომავდა. ზომავდა და თავს ელბეიზე ბევრად გონიერად და ღირსებებით აღსავსედ რაცხდა. სწორედ ამის გამო სოფლის თავმჯდომარის ადგილებში სოფლის ხალხი კი ერთობოდა ელბეის გაპამპულაობით, მაგრამ გულის სიღრმეში იგი უდავოდ უყვარდა. უფრო მეტიც, მისი არსებობის გამო, ცამდე მადლიერი იყო.

რა თქმა უნდა, ელბეისაც თავისი თავი სოფლის გარეშე ვერ წარმოედგინა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო, ელბეი გრძობდა, რომ მას სოფელში იოტისოდენა პატივისცემა არ გააჩნია, თუმცა, კი მისდამი უსაზღვრო სიყვარულს ამკარად ხედავდა.

სოფელში ელბეი სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ხალხს მაშინვე სახე უღიმოდა, ამით ელბეიც სიმხნევით იმსჯელებოდა. სუფრის თავადიგლებში დამცინავი ნიშნის მიგებით ეპატიჟებოდნენ, ღვინით ან არყით სავსე სასმისსაც დაუდგამდნენ და "გადაჰკარიო" ეტყოდნენ. ელბეიც ყოველგვარი სადღეგრძელოს გარეშე, უჩუმრად "გადაჰკარავდა". ახლა რაღაცებსაც ჩაეკითხებოდნენ კიდევ და ასეთი მოპყრობით ერთხელ კიდევ წარმოაჩენდნენ ელბეისთან თავიანთ უპირატესობას.

სოფლის წვეულებებში საპატრიო ადგილი, ჩამოყალიბებული აზრის თანახმად, ალაჰყულს ეკუთვნოდა. მას ისე ეყრობოდნენ, როგორც პატივისცემ პიროვნებას, მის მიმართ პატივისცემის ტრადიციული ადათ-წესების მოთხოვნებს გაათკეცებული თავგამოდებით იცავდნენ. "მანდ, ზემოთ ერთი ადგილი შეინახეთ, ერთი ადგილი", გასძახოდნენ და ყველასათვის ნათელი იყო "ზემოთ შენახული ადგილის" პატრონად ვინ ეგულებოდათ. ამავდროულად, ალაჰყული სოფელში ყველაზე გონიერ კაცადაც იყო მიჩნეული. იგი უხუცესის ავტორიტეტით სარგებლობდა.

სოფელს თავისი თავკაცი თავადვე აერჩია ყოველგვარი განსჯა-განხილვის გარეშე, მის წინაშე ღრმა ქედმოდრეკაც სოფლისავე უნებლიე გადაწყვეტილება გახლდათ. თავკაციც, "თავდაჭერილობა ძვირად ფასობს", ხალხური სიბრძნის კვლადკვალ დარბაისლური მიხრა-მოხრით იფერებდა სოფლის არჩევანს. დიდიც და პატარ-

აც ალაჰყულის მონივნებით ეყრობოდა, მაგრამ ამავ დროს ხალხი გულის გაუმჟღავნებელ სიღრმეებში მისდამი საშინელ სიძულვილს განიცდიდა (ერთი სიტყვით, ალაჰყულს ხვედრად თანასოფელეთა პატივისცემაც და სიძულვილიც ერთნაირად ბევრად ღირსმყოფი ალაჰყულისთან მიმართებაში ძალზე ჩიად და უღირსად გამოიყურებოდნენ).

- ღმერთმა გვიცოცხლოს ალაჰყული, მისი თავკაცობა არ მოგვიშალოს უფალმა - გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს და მათ შორიხლოს მყოფ ალაჰყულის კუდს უქიცინებდნენ. ზურგს უკან კი ათასგვარ ჭორ-მართალს უგონებდნენ და დიდი ხალხით უზიარებდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთი ასეთი მითქმა-მოთქმის თანახმად (ალაჰყული რამდენადაც ჭკვიანი და გონიერია, ცოლი იმდენად სულელი და ქარაფშუტა ჰყავს, "ფერი-ფერსაო" რომ იტყვიან) გასულ კვირას ალაჰყულის ცოლი ელბეისთან კურკურისას შეუმჩნევიათ, თუ პირიქით, - ელბეის ცოლი შეუმჩნევიათ ალაჰყულისთან კურკურშიო. მთელი ამ მოთქმით მამაკაცები თავიანთი ცოლების "ფრთიან ანგელოსობაზე", ხოლო ცოლები კი ქმრების "ნამუსიანობაზე" მიუთითებდნენ.

"ალაჰყული საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას აპირებსო" - მორიგი ჭორი გავრცელდა ხალხში. ხალხი ჩუმ-ჩუმად კი ლაპარაკობდა, მაგრამ ამის შესახებ ალაჰყულისთან სიტყვის ჩამოგდებას ვერავინ ბედავდა.

გავიდა ხანი, ალაჰყულის სოფლიდან ფეხი არ მოუცვლია. იმედგაცრუებით განბილებულ ხალხს ალაჰყულისადმი სიძულვილი უფრო და უფრო მოედლა და ბოლოს ასეთი დასკვნით დაგვირგვინდა:

"წასვლას კი აპირებდა ალაჰყული, მაგრამ ელბეის ცოლს მუდარით მიუმართავს, ამ რეგენს (ელბეი იგულისხმება) ნუ მიმატოვებო".

თუკი ელბეის გაპამპულაგებას არავინ ზარობდა, ალაჰყული მას არასდროს შეეხებოდა. ელბეიც თუ სხვებთან ტიტინებდა და ხუმრობდა, ალაჰყულისთან უფლებაყრილი მონასავით მორჩილი იყო. პირმოკრული თავმანდილიანი დიაცივით დუმდა და მხოლოდ თვლებს ახამხამებდა. მაგრამ თუ ვინმე სხვა ალაჰყულის თანდასწრებით მის გამასხარავებას მოინდომებდა, მაშინ კი უფრო ურევდა, უფრო გატუტუცდებოდა ხოლმე, მისი ეს უცნაური გააქტიურება წვეულებებზე მოსულთაგან გასართობ სანახაობად აღიქმებოდა და გულიანადაც ართობდა მათ.

ხალხმრავალ წვეულებებში ვერავინ, მათ შორის ისინიც კი, ვისაც ელბეის გამასხარავებით გართობა ხელობად ჰქონდათ დაჩემებული, უშუალოდ, ალაჰ-



ილია შოლუხუბოძის ნახატი

ყულის გვერდით ელბეის დასმას ვერ გაბედავდა, თითქოს ალაჰყული და ელბეი ორი საპირისპირო მუხტის მქონე პოლუსს წარმოადგენდნენ, რომელთა ურთიერთშეხებასაც უფროსიან და გაურბიანო.

სოფლის მოსახლეობა გონიერების გადასახედიდან კიბეს უფრო წააგავდა. ამ კიბის პირველი დასაწყისი საფეხური ელბეით იწყებოდა, ხოლო ზედა უკანასკნელი - ალაჰყულით მთავრდებოდა. კიბისებური პრინციპი უფრო მკვეთრი თვალსაჩინოებით ქორნილებსა და გასვენებებში იკვეთებოდა, როცა არავის შეემღებოდა თავისი ალაგი სუფრაზე ელბეიდან ალაჰყულამდე, მაგრამ მხოლოდ ელბეი არ აღმოჩნდებოდა ხოლმე მისთვის განკუთვნილ ადგილას.

ერთხელაც ერთ-ერთ წვეულებებზე ელბეი ალაჰყულის გვერდით უშუალოდ აღმოჩნდა. ამ მოულოდნელობამ ხალხი ძლიერ გააკვირვა, ორი პოლუსი კიდევ შეხებოდა ერთმანეთს. ელქექის მოლოდინში გატრუნულმა სუფრამ სუნთქვა შეიკრა. ამ დროს ელბეი დიდად იფერებდა თავის ადგილს და ერთთავად იმის ჯაფაში იყო, როგორმე ღირსეულად დაეჭირა თავი.

სუფრაზე სქლად გადართული მიძიმე დუმის რღვევა ბო-

ლოდან დაენყო. კანტი-კუნტად ამოვარდნილმა ფრუტუნმა თანდათან ძალა მოიკრიბა და სუფრა მთლიანად მოიცვა. სუფრაზე მსხდომთ მზერა უნებლიედ სუფრის თავში გაურბოდათ და ფხუკუნიც ჟრუანტელივით კიდევ ერთხელ დაუვლიდა სუფრას. მოფხუკუნენი თითქოსდა დიდ ბედნიერებას ეწვივნენ, ისე უხაროდას ალაჰყულის ელბეისთან გაიგივება. აქაოდა, აი როგორი ღირსეულები ვართ, ალაჰყულისა და ელბეის ერთდროულად რომ დავცინითო - ნიშნს მიუგებდნენ იქვე ახლო მაგიდებზე მსხდომ თავიანთ ცოლებს.

იმ დღით ელბეის შეფარვით დასცინოდნენ, მის აშკარა გაპამპულაებას რატომღაც მოერიდნენ: ალაჰყული კი თავის მარცხნივ მჯდომ ელბეის არ იმჩნევდა, მარჯვნივ მსხდომთ რაღაცას გადაულაპარაკებდა, მსუბუქად ჩაიღიმილებდა, შემდეგ კი წარბებს შეიჭმუნინდა და გოროზად დუმდა.

მოულოდნელად სუფრაზე მუჯლუგუნების ტალღამ გაიმხუილა - ქალების მაგიდაზე ვიღაცამ ალაჰყულისა და ელბეის ცოლები ქმრებზე გვერდი-გვერდ მსხდომები დალანდა. სუფრა ისევ თავშეკავებულმა ფხუკუნმა მოიცვა, რომელიც ალაგ-ალაგ ხმამაღალ სიცილში გადაზრდასაც ლამობდა.

წვეულება ჩვეულებრივზე ბევრად ადრე დაიშალა. უფრო სწორედ, ალაჰყული რომ ადგა, ელბეიც უნებლიედ აჰყვა და დანარჩენებმაც მიბაძეს. ასევე მოიქცნენ ალაჰყულისა და ელბეის მეუღლეებიც, მათთან ერთად კი დანარჩენი ქალებიც წამოიშალნენ და სუფრაც დაიშალა.

ეს შემთხვევა სოფლის ხალხში გავრცელებული მრავალი ჭორის მიზეზი შეიქმნა. გამონაგონს მოსახლეობის მოუთოკავი ცნობისმოყვარეობა და უხვი ფანტაზია კვებავდა: წვეულებიდან მიმავლებს ლამის სიბნელებაში ცოლები შეეშალათო. გათენებამდე თურმე ძლივს გაერკვივნენო და რის ვაივაგლახით დალანდეს თავ-თავისიო... და სხვა ამდაგვარი. სოფელს თავისივე ნათქვამის სჯეროდა, ამაყობდა კიდევ ალაჰყულისა და ელბეის გაქილიკებით, თითქოსდა ღირსების კიბეზე ერთი საფეხურითაც მაღლდებოდესო.

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ადრიან დილით ალაჰყულიმ სოფლის მოსახლეობის თვალწინ, ყველას დასანახავად თავისი ბარგი-ბარხანა მანქანაში ჩატვირთა, ცოლ-შვილი კაბინაში გვერდით მოისვა და სოფლის შარაგზაზე გავლით გაქროდა იქაურობას ისე, რომ ცერადაც არ გაუხედავს მოთვალთვალე თანასოფელეთათვის.

- წავიდა - ვილაცამ ამოიხვინება, დანარჩენები ხმის ამოუღებლად ერთმანეთს შესცქეროდნენ და თვალებსადა ახამხამებდნენ, ვერ გარკვეულიყვნენ, სასიხარულოდ უნდა ჰქონოდათ საქმე თუ სამწუხაროდ.

უთავკაცოდ დარჩენილი სოფლის ხალხი ერთი ხანობა უკრუხო წინილებივით მიმოიფანტა, მერე კი ასევე მიმოფანტულ-დაბნეული ყველა თავის უწინდელ საზრუნავში ჩაეფლო. სოფლის იერატიულმა კიბემ კი იმ დღიდან ზემოდან ქვემოთ იწყო დამლა...

მაღე ერთგვარი სასონარკვეთა ელბეისაც შეეყარა. სოფელს მხოლოდ ის და ჭკუა-გონებით არცთუ ბევრად აღმატებული მისი ტოლი-სწორი ადამიანებილა შერჩენოდნენ. ელბეი ბევრს შეეცადა გარკვეულიყო ამ სულთამხუთავ ვითარებაში, მაგრამ თავი ვერაფრისდიდებით გაართვა. მხოლოდ ისლა იყო მისთვის ნათელი, რომ ახლა მას არავინ აპამპულავებდა და ამას-ხარავებდა, არც ვინმე იყო ისეთი, ვინც მას წვეულების თავადიგლებში მიიპატიჟებდა. თითქოს მისი უმეცრება და სიჩლუნგე სრულად უქმი იყო და არავის არაფერში ადგებოდა. სოფლის ღირსების კიბეზე აღარც ის საპირისპირო პოლუსები ჩანდნენ, ალაჰყული და ელბეი რომ ქმნიდნენ. არ ჩანდა აღარც ის თავგამეტებული ლტოლვა, სოფლის ყოველ მაცხოვრებელს რომ ახასიათებდა, საფეხურ-საფეხურ აეგლო ღირსების კიბე ერთი ბოლოდან მეორისაკენ.

**აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
ოქტაი ქაზუშოვმა**

# მორალური წერილები ლუცილიუსისადმი

ლუციუს ანეუს სენეკას "მორალური წერილები ლუცილიუსისადმი" ერთიანი, მთლიანი ნაწარმოებია. თვალის პირველი შევლება თითქოს გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს პირობითი ადრესატისადმი მიმართულ სხვადასხვა თემაზე შექმნილ ეპისტოლეთა კრებულთან, მაგრამ მისი უფრო ახლოს გაცნობა აღმოგვაჩენინებს, რომ თხზულებას აქვს კომპოზიცია, იკვეთება გარკვეული სისტემატ. ლუცილიუსის (ანუ ჩვენი) "მორალური ალზრდა" ემორჩილება შეფარულ თანმიმდევრულობასა და ეტაპობრიობას.

პირველი ეტაპი, ანუ პირველი ციკლი მოიცავს თორმეტ წერილს და ისინი, ძირითადად, ადამიანის თვითსრულყოფის თემას შეეხებიან. სენეკა პირად გამოცდილებას უზიარებს თავის ახალგაზრდა მეგობარს. შემდგომ, მომდევნო წერილებში უკვე ხდება სიღრმისეული დამუშავება პირველ ციკლში აღძრული საკითხებისა. ახლახან ჟურნალ "არილში" (2003, თებერვალი) გამოქვეყნდა პირველი ოთხი, დღეს კი გთავაზობთ V და VI წერილებს.

მთარბმნელი

## ლუციუს ანეუს სენეკა

### V წერილი

სენეკა თავის ლუცილიუსს მიესალმება.

ქების ღირსად გთვლი, ჩემო ლუცილიუს და მიხარია, რომ ყველა სხვა საქმე მიგიტოვებია და ამ ერთს მოსჭიდებხარ; ყოველდღიურად მუშაკობ სრულყოფისათვის და უყოყმანოდ მიინევი წინ. საქციელს გინონებ, ამასთან გთხოვ, კვლავაც ასე გააგრძელო; მაგრამ გაფრთხილებ: ნუ დაედრები იმას, ვინც კეთილის ქმნის სურვილით როდი იღვწის, არამედ მხოლოდ სხვათა მოსაჩვენებლად. ისე მოიქეც, რომ ნურც გარეგნობით და ნურც ცხოვრების წესით ნუ იქნები თვალში მოსახვედრი. ნუ ივლი მოუვლელი, დაუვარცხნელი თმითა და გაბურძენილი წვერით. ნუ მოინონებ თავს ფულისადმი ხაზგასმული სიძულვილით, მინაზე გაშლილი ლოგინით და, საერთოდ, მოერიდე ყველაფერს, რასაც ახირებულ-გაუკუღმართებული პატივმოყვარეობაა დახარბებული. მარტო სახელი ფილოსოფიისა კმარა საბაზად სიძულვილისა (რა გინდ ზომიერად გვეჭიროს თავი), რომ კვალად უცნაური ჩვენებით არ ვინყოთ ადამიანთაგან თავის გამოცალკევება! დაე, ვიყოთ შინაგანად ყველასაგან განსხვავებულნი, თვალის ერთი შევლებით ბრბოსაგან არ უნდა გამოვიჩრვოდეთ! ნუ შეიმოსები ბრწყინვალე ტოგით, მაგრამ - ნურც ბინძურით! ნუ გადაეგები ოქროცურვილი ვერცხლეულის დაგროვებას, მაგრამ ნურც ოქრო-ვერცხლის არქონას მიიჩნევ ზომიერების უეჭველ საბუთად.

ვეცადოთ, რათა ვენოდეთ ბრბოზე ღირსეულ ცხოვრებას, მაგრამ - არა საპირისპიროს. სხვაგვარად დავაფრთხოთ და ჩვენგან პირს ვაბრუნებინებთ იმათ, ვისი აღზრდაც გვენადა. მხოლოდ ამას მოვიმკით, რომ აღარავინ მოისურვებს მოგვბადოს ჩვენ, იმის შიშით, ყველაფრის გადაღება-გამეორება არ მოგვიხდესო. ფილოსოფიამ უპირველესად კაცთმოყვარება, საზოგადოებრივი ცხოვრების უნარი და საღი აზროვნება უნდა შთაგვაგონოს. ხოლო ჩვენი განსხვავებულობის აშკარად გამჟღავნება გავგვითშავს ადამიან-

თაგან. ვიზრუნოთ, რათა საძულველი და სასაცილო არ შეიქნეს ის, რითაც ალტაცების გამოწვევა გვსურდა.

განა ჩვენ ბუნების თანახმად ცხოვრება არ განვიზრახეთ! ხოლო საკუთარი სხეულის წვალეზა, სიფაქიზის მოძულება, ულახათობისკენ მიდრეკილება, უხარისხო, იაფი და უამური საკვების მიღება სწორედაც რომ ბუნების გამოაა. თუ ნატიფი და მშვენიერი ნივთების მიმართ ტრფიალი განცხრომად და ფუფუნებად ჩაითვლება, მაშ, ისიც ვთქვათ: იოლად საშოვნელზე და ჩვეულებრივზე ხელის აღება უთუოდ უგუნურებაა. ფილოსოფია ეძებს კეთილგონიერებას და არა - თვითგვემას. ხოლო ზომიერების გრძნობა სულაც არ კრძალავს სხეულის მოვლას. აი, რას ვინონებ მე: ჩვენი ცხოვრება, საზოგადოდ, მიღებულ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს. დაე, ჩვენი ცხოვრების წესი ყველამ გაჩხრიკოს, მაგრამ შემდეგ აღიაროს მისი მართებულობა.


მაშ, როგორ მოვიქცეთ? ვიცხოვროთ ისე, როგორც ცხოვრობს უმრავლესობა? არ დავუშვათ არავითარი სხვაობა ჩვენსა და მათ შორის? თუ დავუშვათ უამრავი? ვინც ახლოს გაგვიცნობს, მიხვდება, რომ ჩვენ არ ვგავართ ბრბოს. დაე, ყოველი, ვინც ჩვენს ოჯახში შემოვა, მოიხიბლოს ჩვენით და არა - ბინის მორთულობით.

მავანი თიხის ჭურჭელს ისეთივე ღირსებით მოიხმარს, როგორითაც ვერცხლისას; მართლაც, დიდებული კაცია, მაგრამ არც ისაა ნაკლები, ვინც ვერცხლეულს თიხასავით ეყვრობა. მხოლოდ უმნიფარ ხელს უჭირს სიმდიდრესთან შეგუება.

დღეისათვის ჩემი მცირე მონაგებიდან გავიზიარებ იმას, რაც ჰეკატონთან ამოვიკითხე. მას მიაჩნია, რომ სურვილების არქონა შიშისაგან განკურნების უებარი საშუალებაა: "დაეხსნება შიში, თუ დაეხსნები იმედსო".

შენ იტყვი: "რა შეიძლება იყოს საერთო აგრერიგად დაშორებულ საგნებს შორის?" საქმეც ისაა, ჩემო ლუცილიუს, რომ ერთი შეხედვით, ძალზე განსხვავებულნი, სინამდვილეში მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი.

განა ერთი ჯაჭვით არ არიან დაბმულნი დარაჯიცა და მისი ტყვეც? სწორედ ასეა. თუმც კი,



კორნელიუს გალე. სენეკა აბაზანაში. XVI ს.

ძალზე შორიშორ არიან, მაინც ერთად და ერთდროულად მოდიან: შიში იმედზე ჰკიდია და ამაში გასაოცარი არაფერია. ორივეს სულიერი ორჭოფი ინვესს, მომავლის წინაშე მღელვარებითაა აღძრული ერთიც და მეორეც. ხოლო ძირითადი მიზეზი გახლავთ არა დღევანდელი საჭიროება, არამედ ფიქრით შორეული მომავლის წინასწარხედვა. ამრიგად, წარმოსახვისა და განჭვრეტის უნარი, ადამიანისთვის ნაბოძებ ნიჭთა შორის ერთი უდიდესი, ბოროტებად შემოუბრუნდება ხოლმე მას.

ცხოველები გარბიან, როცა საფრთხე ემუქრებათ. და, რა გადაივლის იგი, მშვიდდებიან. ჩვენ კი გარდასულიც გვაღელვებს და მოსალოდნელიც. ჩვენი უდიდესი ტალანტები ჩვენვე გვვნებენ. მესხიერება აცხოველებს შიშით მოგვირღ განგაშს, მომავლის განჭვრეტის უნარი კი წინდანინ გვაფორიაქებს.

მხოლოდ ანმყოთი როდი ვიტანჯებით.

ჯანმრთელად იყავ, ლუციუს.

### VI წერილი

სენეკა თავის ლუცილიუსს მიესალმება.

ჩემო ლუცილიუს, ვატყობ, რომ არა მხოლოდ უკეთესობისკენ ვიცვლები, არამედ გარდავიქმნები კიდევ. არ მაქვს იმედი და ვერც შეგპირდები, რომ ჩემ-

ში აღარა დარჩება ურიგო და გასაუმჯობესებელი. როგორ იქნება, არ მომეძვეებოდეს მრავალი რამ, რაც გამოსასწორებელი, დასახვენი და ასამაღლებელია, მაგრამ თუ კაცი ხედავ საკუთარ ნაკლს, რომელსაც აქამდე ვერ ამჩნევდა, ეს უკვე აშკარა საბუთია იმისა, რომ იგი წინ მიიწევს.

ზოგ ავადმყოფს უკვე მისალოცად აქვს საქმე, რაკი მან, როგორც იქნა, შეიგრძნო, რომ არაჯანსაღია.

ლუცილიუს, გულწრფელად ვისურვებდი, ჩემში ასე ფიცხლად მიმდინარე ცვლილებები შენც გამოგდებოდა. აი, მაშინ კი ვირწმუნებდი ჩვენი მეგობრობის სიმტკიცეს; ვალიარებდი, რომ იგი ნაღვლია და მას ვერ დაარღვევს ვერც შიში, ვერც იმედი და ვერც პირადულზე მოჭარბებული ზრუნვა. ესაა სწორედ მეგობრობა, რომელთან ერთადაც და რომლის სახელითაც მზად არიან დათმონ სიცოცხლე;

მრავალს დაგისახელებ, რომელნიც მეგობარს კი არა, მეგობრობას არიან მოკლებულნი. ასეთი რამ არ ემუქრებათ იმათ, ვისი გულელები თანაბრად არიან შეკავშირებულნი სიქველის წყურვილითა და ერთიანი ნებით. სხვაგვარად როგორ იქნება? მათ ხომ შეგნებული აქვთ, რომ საერთოა ყველაფერი და მით უფრო - გასაჭირი.

ლუცილიუს, მერწმუნე, ვერც კი წარმოიდგენ, რამხელა

ხალისი და სიახლე მოაქვს თითოეულ დღეს; ამას მკაფიოდ შევიგრძნობ.

ალბათ, მეტყვი: გამიზიარე ყველაფერი, გამოცდილება რაც შეგძინა. მეც ეგ მინდა: შენში გადმოვტვირთო ყოველივე; მიხარია, რომ ვიცი რალაც ისეთი, რაც, შესაძლოა, შენც გამოცადგეს. ვერავითარი ცოდნა, რაგინდ საგულისგულო და უაღრესიც არ უნდა იყოს, ვერ მომანიჭებს მცირედ საამოვნებასაც კი, თუ მარტო ჩემი იქნება. ვინმეს სიბრძნის სალარო რომ შემოეთავაზებინა, ერთი პირობით: საიდუმლოდ შემენახა და არავისთვის გამეზიარებინა, უთუოდ უარს ვიტყვოდი. მარტოკაცს ვერაფერი მიანიჭებს ნეტარებას, თვით უზენაეს სიკეთეთა ფლობაც კი.

ლუცილიუს, გიგზავნი ჩემს წიგნებს. ზედმეტი შრომა რომ არ გასწიო გამორჩეულად საჭირო ამბების მოსაძიებლად, მე ისინი ჩავინიშნე, ასე რომ, იოლად მიაგნებ იმას, რაც განსაკუთრებულად მომეწონა და რამაც აღმაფრთოვანა.

საზოგადოდ, შენთვის უფრო სასიკეთო იქნებოდა ჩემს გვერდით ცხოვრება, ცოცხალი ურთიერთობა, ვიდრე ეს წერილები. უმჯობესია აქ იყო, რადგან, ჯერ ერთი, კაცი თვალს უფრო ენდობა, ვიდრე ყურს. ამას გარდა, დამოძღვრა-სწავლების გზა გრძელია, ხოლო მარჯვე და წარმატებულია პირადი მაგალითით აღზრდა.

კლევანუსი ვერ წარმოგვიდგინდა ზენონის ზუსტ ხატს, მხოლოდ შორიდან რომ ესმინა მისთვის. მათი ცხოვრება ერთად მიდიოდა და კლევანუსს ჰქონდა საშუალება, დაჰკვივროდა მასწავლებლის ხასიათის ფარულ მხარეებს; სცოდნოდა, ცხოვრობს ზენონი თავისივე რეკომენდაციების თანახმად?

პლატონმა, არისტოტელემ და მრავალმა ბრძენმა, შემდეგ სხვადასხვა გზით რომ წავიდნენ, უფრო მეტი აკრიფეს სოკრატეს ზნე-ხასიათიდან, საქციელიდან, ვიდრე მისი მოძღვრებიდან.

მეტროლოროსი ჰერმარგოსი და პოლიენოსი დიდნი შეიქმნენ იმის წყალობით, ეპიკურეს გუნდში რომ ირიცხებოდნენ და არა მისი გაკვეთილების გამოიხსობით. ჩემთან გინვევ არა მხოლოდ იმ სარგებლისათვის, რასაც ჩემგან მიიღებ, არამედ იმისათვისაც, რასაც მომიტან. ჩვენ ერთმანეთს მრავალ საქმეში შეიძლება შევენოთ.

ახლა კი ჩემზეა ერთი ყოველდღიური "სამახსოვრო". აი, ამჯერად რამ მომხიბლა ჰეკატონთან: "მეკითხები, რას მივალენიე? - გავხდი ჩემივე თავის მეგობარი". ეს, მართლაც, დიდი რამაა. ამიერიდან იგი აღარასოდეს იქნება მარტო და ისიც იცოდე: ასეთი კაცი ყველას მეგობარია.

ჯანმრთელობას გისურვებ, ლუცილიუს.

**ლათინურიდან თარგმნა ლალი კოჭლაყაზაშვილი**

# აბრა კადაბრა ანუ მისცვალებულთა სამარხები

## E7 გვირგვინი

ვინ იცის, ამ დროს ექიმი რომ ჰყოლოდა გვერდით, ან სხვა ვინმე, როგორ დაეხმარებოდა, ყურადღებას სხვა რამეზე გადააქანებდა. მაგრამ სად იყო ვინმე, ტელევიზორიც ვერაფერს შევლოდა. ქალიც მთლიანად მიწებდა ფიქრებს.

პირზე გამუდმებით ქმრისა და შვილების სახელები ეკერა. ისე მონდომებით იმეორებდა, თითქოს, ულოცავსო. თავში არ-ეულ-დარეული სურათები უტრიალებდა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება უჭირდა. ყოველი უმნიშვნელო წვრილმანი ზუსტად ახსენებოდა, ტკივილი და უსასოობა ყელში უჭერდა.

აი, სანახევროდ მოქსოვილი პულოვერი, ზაფხულში უზარმაზარი კნუტები რომ მოათრიეს საიდანღაც, როგორ დაიმტვრენ ველოსიპედით, საყიდლებზე რომ დადიოდნენ და რა ვიცი... ცრემლები, სიცილი, სიტყვები, ფრაზის ნაგლეჯები... ფრაუ მერლე სავარძელში იჯდა და კარზე მხრებით მიმტრებოდა. მისდა უნებურად, გეგმებს ადგენდა, რა რის შემდეგ უნდა გაეკეთებინა. არარსებულ სამყაროში ტრიალებდა, იმის მოწესრიგებას ცდილობდა, რაც აღარ არსებობდა, იმას გეგმავდა, რაც აღარა-ოდეს დადგებოდა. დილა რომ გათენდებოდა, გოგონა რას იზამს, ქმარი ამას იტყვის, ბიჭი ამას მოიმოქმედებს... მე კი ამას ვიზამ, იმას მოვამზადებ...

უკვე ირიფრაჟა. ფრაუ მერლე ბოლოს და ბოლოს სავარძლიდან წამოდგა. ფეხები დაბუჭებულა და საშინლად ტყბდა. ქმარ-შვილი კი მაინც არსად ჩანდა.

ფრაუ მერლე კვლავ ბორი-ალს მოჰყვა. ანგარიშმიუცემლად გაიტანა ვახშმის ნარჩენები სამზარეულოში. ცარიელი თეფშები გასარეცხად რომ ჩაალაგა, მხოლოდ მაშინლა შეამჩნია, რომ სამ მათგანზე ვილაცხას საჭმელი ექვამა. ფრაუ მერლე უკან შევარტა. ოთახში გაზუთი იატაკზე ეგდო, საფერფლე ნამწვავებით იყო სავსე, ბავშვების ოთახში კი სათამაშოები მიმოფანტულიყო.

დმერთო ჩემო, აქ არიან, ფიქრობდა ქალი და მათ ნაკვალევს გამაღვებით დაეძებდა. საა-ბაზანოს ნიჟარა საპარსი კრემით იყო მოთხვრილი, პომადის ნაკვალევი მთელ კედელს ეტყობოდა. ადრე ამაზე შეიძლება გაგიჟებულიყო და ერთი ამბავი აეტყვა, ახლა კი სულ სხვანაირად იყო საქმე. ისინი არ მომკვდარან.

"რამდენ ხანს გელოდით", სიცარიელეს მიმართა ფრაუ მერლე.

"ჰო", უპასუხა ქმრის ხმამ. "იმდენს ფიქრობდი ჩვენზე, უკან დაბრუნება შეეძელით. არც გვინდოდა წასვლა. უეცრად და-ვინახე, როგორ იწვა გამოტოვნი ჩემი სხეული საკაცეზე, მერე ბავშვების სხეულებიც შევამჩნიე და უცბად შევშინდი. მე მე-გონა, უკვე ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. ამ დროს მოგვწვდა სწორედ შენი მოგონებები".

ფრაუ მერლე შეტრიალდა. მისთვის ესოდენ ახლობელი და მშობლიური სახე უნდოდა დაე-ნახა.

"ვიცი, რასაც ეძებ", უთხრა ხმამ. "დასაფლავების მერე იქნებ მოვახერხოთ და სულიერად და ხორციელადც დაგიბრუნდეთ".

ფრაუ მერლე შეშინდა. დასა-ფლავება ეხამუშა. წარმოდგენაც კი ზარავდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. შიში კი ერთი ნუ-თითაც არ ეშვებოდა.

"ნურაფრის გეშინია", უთხრა კაცმა, "ჩვენ გამუდმებით შე-ნთანა ვართ, შენ რომ ჩვენზე ფიქრობ, იმ რეალობაში. და პირიქითაც. ჩვენ რომ შენზე ვფიქრობთ, იმ სინამდვილეში. ეს ფიქრები იმდენად ყოვლისმომცვე-ლია, თავისუფლად შესწევთ ძა-ლა ჩვენი ცხოვრება დაიტონ".

დღეები გადიოდა. ფრაუ მერლე საყიდლებზე დადიოდა, სა-ჭმელს ამზადებდა, სახლს ალა-გებდა, ზღაპრებს ხმამალა კი-თხულობდა. მოკლედ, ჩვეულებ-ისამებრ ფუსფუსებდა, თუმცა, ცვლილებაც შეიმჩნეოდა. საკუ-თარ ხელებს, თვალებს, ტუჩებს თავს ვერ უყრიდა, ჯერ არნახუ-ლი ბედნიერება დაუფლებოდა.

დასაფლავების დღეც დად-გა. მკვდარივით გაფითრებული ფრაუ მერლე გაუნძრევლად იდ-გა დასაკრძალავ დარბაზში, მკვდარივით გაფითრებული ის-მენდა მღვდლის ლაპარაკს, მიჰ-ყვებოდა კუბოებს უკან. ძველი შიში განახლებოდა და ერთი ნუ-თითაც კი არ ეშვებოდა. რომ აღარ დაბრუნდნენ, იქ რომ და-რჩნენ, მართლა რომ მოკვდნენ, მერე რაღა ქნას?

გიჟივით გამოვარდა სასაფ-ლაოდან, საფლავის რიგებს ჩა-უქროლა, ქუჩაში მივრბოდა. მხო-ლოდ მისთვის გასაგები ნატვრა და სურვილი მიაქანებდა.

სახლთან რომ მივიდა, რა-ტომღაც შეეყოფნა. უცბად იგრძნო, რომ მეტისმეტი მოუ-ვიდა, ამდენს ველარ აიტანდა. ხმები რომ ველარ გაიგონოს, ახ-ლომახლო რომ აღარ იყვნენ?

მერე ნაცნობ ბგერებს მოჰკ-რა ყური, მოძრაობაც შეიგრძნო. კიბეებს აასკდა და კარები გაა-ლო. იქ იყვნენ, მართლა მის წინ იდგნენ.

ძალაგამოცლილი ფრაუ მერლე მათ კისერზე ჩამოეკიდა. სიტყვის თქმაც აღარ შეეძლო, ფიქრის უნარი დაჰკარგვოდა. თითებში სახეებს უსინჯავდა, ხელებით სხეულის ფორმას იმე-ორებდა, ტირიდა, იცინოდა. "ცოცხლები ხართ", ბუტბუტებ-და სანახევროდ გონდაკარგუ-ლი, "ერთად ვიცხოვროთ, ვინც რა უნდა, ისა თქვას, მე თქვენ არ დაგმორდებით".

"ჰო და შენ ჩვენი დამაკავში-რებელი ხიდი იქნები", უთხრა ქმარმა, "დიდი ამბავი".

მართლაც, რა მოხდა. ვის უშლიდნენ ხელს, ვის რა აკლდე-ბოდა ან ემატებოდა. მაგრამ მთლად ასე მარტივად რომ არ იყო საქმე, ფრაუ მერლემ მხოლოდ კარგა ხნის მერე გაიგო. მე-ზობლების უცნაურ მზერას ვერ ამჩნევდა, მათ ხმაში ჩაბუდებ-ულ ეჭვსაც უყრუებდა. ყოველ-თვის უაღრესად ალალი ქალი იყო, ეშმაკობა არ იცოდა. რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა ხოლ-მე. სიტყვა და საქმე არასოდეს დაუშორებია. უზრუნველად მი-ჰყვებოდა დროის დინებას. თავ-



სტალი კოლა, ნოვარო-პიტი

ის დაცვა თუ დასჭირდებოდა, ვერც წარმოედგინა. თვითონ არავისთვის ავი არ სდომებია. მაგრამ ეს არაფერში რომ არ ენ-ერა, აზრადაც არ მოსვლია.

რაღაცას რომ მიხვდა, უკვე გვიანი იყო. ფორმიანი კაცი ისევ მოსულიყო, კარებთან იდგა და თან წაყოლას სთხოვდა. არა, ბო-ლომდე მაინც ვერ მიხვდა ფრაუ მერლე. ცხვარივით უნოდ გაჰ-ყვა პოლიციელს, ასევე ცხვარი-ვით ჩაბარდა ექიმს. არა, რომ გა-ძლიანებოდა, ვერც ვერაფერს ეტყოდნენ, ჯერჯერობით, ყო-ველ შემთხვევაში. მაგრამ თავისი ნებით გაჰყვა. ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, რა უნდოდა ამ კაცს მისგან, რა კითხვებს უსვამდა. რა ხმაურია ხოლმე ბინაში... ვის ესაუბრები ცარიელ ოთახში... ან რომელი ხალხის ამბავს გვიყვებ-ბი, ესენი ხომ დაიხოცნენ, თუ სხვაგვარადაა საქმე.

ფრაუ მერლე პასუხობდა, ცდილობდა რაღაცა აეხსნა, თან ბოლომდე ვერც ამბობდა. იმის შინა სად ჰქონდა, თავი მოეკა-ტუნებინა. ჯერ კიდევ გათოში-ლივით იყო. თანდათანობით შე-ამჩნია, რომ მის სიტყვებს მაინ-ცდამაინც ნდობით ვერ ეკიდებო-დნენ. ამან უფრო დააბნია. შეშინდა, დაიმორცხვა, საცოდა-ვი სანახავი იყო. იმის ახსნას ცდილობდა, თვითონაც რომ არ ესმოდა, რაც არ იყო სათქმელი, იმას რატარატივებდა. ექიმს თვა-ლებში უყურებდა და რაიმე ხე-ლმოსაჭიდს ეძებდა, რომ ამ ში-შისგან თავი ეხსნა.

ფრაუ მერლე ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, სანამ სიტყ-ვები არ შემოელია. თეთრხალა-თიან კაცს შესცქეროდა და უკვე ველარ სცნობდა.

"მე ვარ ხიდი", ამბობდა, "გა-მიშვით სახლში! ახლავე სახლში უნდა წავიდე. ცხოვრებაში ამა-ზე მნიშვნელოვანი საქმე არა-სოდეს მქონია. გაიგეთ, ბოლოს

და ბოლოს!"

უცბად საიდანღაც ორი ქა-ლი გაჩნდა, მხარში ამოუდგნენ და არ ნაუთრევიათ, თორემ არც არაფერი დაუკლიათ. ფრაუ მერლემ წამოიყვინა. ასე ყვირო-და, სანამ დახურულ ფურგონამ-დე მიიყვანდნენ. ყველაზე დიდი სისულელე კი მაშინ მოუვიდა, გაძლიანება და ფაფხური რომ დაინყო. მთელი გზა ყვიროდა და მოთქვამდა. კაი ხანს კი მი-დიოდნენ. ვილაცამ დაღებულ პირში ორი პატარა თეთრი აბი მოუნაცვლა.

ფრაუ მერლემ თავდაცვის მიზნით ხელები ასწია.

"ოლონდაც არ დამაძინოთ, ჩემი დაძინება არაფრით არ შეი-ძლება", გულამოსკვნილი იხვე-ნებოდა. "ფიქრი არ უნდა შევწყ-ვიტო. სულ უნდა ვიფიქრო".

კაი ხანია, მის ლაპარაკს აღ-არავინ აქცევდა ყურადღებას. ფრაუ მერლედაც უკვე ვილა თვლიდა!? ზოლებად აჭრელებ-ული, უდილეობა ღამის პერანგი კოჭებზე ეფართხუნებოდა და ზურგზე ეკვრებოდა. ხან კი ლო-გინში იწვა და მახვილწვერიანი ნემსი ხორციში ეჭრებოდა და ყველაფერს ავიწყებდა.

ფრაუ მერლე, როგორც შეე-ძლო, ძილს ეწინააღმდეგებოდა, სულ სამ სახელს იმეორებდა, მათი სახეები არ შორდებოდა მანამ, სანამ დავინყების მორევ-ში არ ჩაიძირებოდა. ცოტა ხნით სულს მოითქვამდა, ამოყვინთა-ვდა, მერე ყველაფერი თავიდან მეორდებოდა. ძილშიაც ცდი-ლობდა, დავინყებას გაძლიანე-ბოდა.

"უნდა წავიდე, გამიშვით", უღონოდ ლულულულებდა და ხე-ლებს გულზე იჭერდა. ხომ იცო-და, ეს მის გულს ეხებოდა, შიგ გულში ხვდებოდა. გაფანტული სურათები ხელიდან უსხლტე-ბოდა, თავს ველარ უყრიდა. აღ-არ იყო დარწმუნებული, რომ ეს

ყველაფერი წამდვილად მოხდა.

თვალები თაფლისფერი, ქე-რა... თეთრი სახე და შავი თმები ფიფქიასავით... ხელები, ხელე-ბი... მკლავებს წინ იშვერდა. სად დაიკარგნენ, ახლა სად არიან? ხანდახან, სიბნელე რომ იყო ხო-ლმე და რაღაც შეუცნობელი და დაუკონკრეტებელი შიში შეიპყ-რობდა, ეს ხელები სულ მასთან იყო, ერთი ნუთითაც არ ტოვებ-დნენ. თვითონაც არ ეშვებოდა, სულ მათზე ფიქრობდა და ასე იყვნენ ერთად ფიქრებში.

ქალბატონი მერლე ბალიში თავს მალავდა და გრძობდა, როგორ ნანილ-ნანილ ტოვებდა სხეულს ის, რასაც აქამდე მისი ცხოვრება ერქვა. ასე ბალიში თავჩარგული ხვდებოდა ცნობა-მიხდილობის უნუგეშო მეგზურ-ებს, უყურებდა ექიმებს, ექთნ-ებს. ასე ეგონა, თეთრი, გაფით-ქინებული კედლები ამ თეთრხა-ლათიანებს მოძრაობაში ხელს უშლიდა.

"უნდა იძინოს", ამბობდა მთავარი ექიმი. სიგიჟის ასეთ გამოვლინებას პირველად აწყ-დებოდა და უაღრესად დაინტე-რესებული ჩანდა. "მხოლოდ ძი-ლი თუ გამოიყვანს".

ფრაუ მერლეს თვალები სა-ცერივით გაუხდა. არა! ოლონდე-გ არა! საბოლოოდ წამოიყვინა და სრული უგონობის მდგომა-რეობაში გადაადგილდა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა, სანამ გაიღვიძებდა, უფრო სწორედ გააღვიძებდნენ. მაშინვე ის იკი-თხა, დღეს რა რიცხვიაო. არ და-იჯერა, სანამ ორ-სამჯერ არ და-უდასტურეს, წამდვილად ასეაო. მერე კი გული ამოუჯდა და თავ-შეუკავებლად აქვითინდა.

მეორე თუ მესამე დღეს ერთ-ერთ ექთანს სთხოვა, იქნებ ჩე-მიანების დასაფლავებაზე ვინმ-ემ იზრუნოსო. ექთანმა თავიდან ყურადღება არ მიაქცია, თუმცა, მკურნალ ექიმს მაინც მოახსენა. ჰოდა, ისიც შეეცადა ქალისათვ-ის აეხსნა, რომ შენთანვე უკვე რამდენიმე კვირის დასაფლავე-ბული არიანო. ფრაუ მერლე კი თავისას არ იშლიდა და გამუდ-მებით იმეორებდა, უსაფუძვლო-დ არ ვამბობო. რანაირად არ ცდილობდნენ გადაერწმუნებინ-ათ, ის თავს მაინც ურწმუნოდ აქნევდა და ამტკიცებდა, თქვენ აზრზეც არა ხართ, სინამდვი-ლეში რა ხდებოა.

"მშვენივრად უცხოვრიათ, არა უშავს", აღნიშნა ერთ-ერთ-მა კრინინალისტმა იმ ორთავან, ფრაუ მერლეს ბინაში მისი ქო-ნების აღსაწერად და კატალოგ-ის შესადგენად რომ მიავლინეს. მის კოლეგას პასუხის გაცემის თავი არ ჰქონდა. უცნაურად ტკბილ სუნს ჩასდგომოდა კვა-ლში, საძინებელი ოთახის კარი გამოეღო და თვალებდაჭყეტი-ლი მისჩერებოდა თვალწინ გა-დამულილ სანახაობას.

იქ იწვნენ ყველანი. მართლა იქ იყვნენ. ისე მოკუნთულიყვენ-ენ, ზოგიერთმა რომ იცის ხოლ-მე გამოუვალ მდგომარეობაში. როგორღაც ლოგინამდე მიელ-ნიათ, იქ მომკვდარიყვნენ სამი-ვენი: კაცი, გოგონა და ბიჭი.

**გერმანულიდან თარგმნა შორენა შამანაქი**

# სიტყვათა ლაბირინთი



## მალხაზ ხარბაძია

ლათინო-ამერიკული კულტურის თავისებურებათა განსაზღვრისას, თითქმის ყველა ესპანურენოვანი ამერიკელი მწერალი თავისი, მშობლიური ტრადიციებიდან ამოდიოდა და მხოლოდ შემდეგ ახდენდა ამ თავისებურებათა განზოგადებას. ცხადია, "ჩილეს კოლუმბიისგან განსხვავებული პრობლემები აქვს, ბოლივიელ ინდიელს კი ცოტა რამ აქვს საერთო ანტილის კუნძულების შავკანიან მოსახლეობასთან, მაგრამ სიტუაციური, რასობრივი და ბუნებრივი მრავალფეროვნება ვერ დაარღვევს ისტორიულ და კულტურულ ერთიანობას... ლიტერატურა სცილდება სახელმწიფოს საზღვრებს" (ო. პასი). ერთიანობა ერთფეროვნება არაა და ლათინური ამერიკის დახასიათებისთვისაც სწორედ ეს მრავალფეროვნება გახდა ამოსავალი, შეიქმნა რამდენიმე კონცეფცია, რომელთაგან თითოეული კონკრეტულ ქვეყანაში თუ კუნძულზე იღებდა დასაბამს, ყველა ამ კონცეფციას სინკრეტული კულტურის იდეა ედო საფუძვლად და იგი ხან ანალოგიათა კომიკურ-კარნავალურ ფერხისად აღიქმებოდა, ხან კი ტრაგიკული მარტოობის ლაბირინთად, დავინწყებული წარსულითა და განუსაზღვრელი მომავლით.

მაგალითად, აფრო-ჩინური წარმოშობის, კუბელი, ფრანგულენოვანი მწერალი, სევერო სარდუი აღნიშნავდა, კუბა სინთეზი და სინკრეტული კულტურა არაა, იგი შრეებისგან შედგება. შესაბამისად, მწერლის ამოცანაც ამ შრეების გამოაშკარავებაში, ამგვარი დანაშრევის "არქეოლოგიური" პლასტების გამოყოფაში მდგომარეობდა. ეს "სამუშაო", "შესაძლოა, ერთ პოეტურ კრებულში, ან ერთ ცალკეულ რომანში განხორციელებულიყო, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ეს შრომობა ყოველი მეტაფორის, ყოველი სტრიქონის მასტრუქტურირებულ ელემენტად იქცეოდა ხოლმე (როგორც, მაგალითად, ხოსე ლესამა ლიმასთან) და ამგვარი კოლაჟურობით კომიკურ ეფექტს ქმნიდა: აქ აღრეული იყო ბერძნულ-რომაული მითოლოგიური არსებები, ადგილობრივი ფლორა და ფაუნა და ყველაფერი ეს უცნაურის, სასაცილოსა და რაღაც განსაკუთრებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მაგრამ იყო მეორე ტრადიცია, რომელიც ოქტავიო პასმა გააანალიზა 1950 წელს თავისი ესეების წიგნში "მარტოობის ლაბირინთი". მისთვის მექსიკელი და შესაბამისად, ლათინო-ამერიკელი ადამიანის ცნობიერება გახლენილი იყო, კონფლიქტური, "ეს ადამიანი კატასტროფის ნამსხვრევია და იგი მზისკენ ილტვის, სიცოცხლისკენ - იმ საწყისთან დაბრუნებას ესწრაფვის, რომელსაც ოდესღაც მოწყდა".

ლათინოამერიკულ ლიტერატურას ხშირად "უნიდაგობას" აბრალებდნენ. პასი წერდა, "უნიდაგობა, უსაფუძვლოა, შინაგანად დამახასიათებელია მექსიკური (ლათინო-ამერიკული) ლიტერატურისთვის. ესპანელების მიერ მოტანილი ლიტერატურა ესპანური აღორძინების ლიტერატურა იყო, რომელსაც ჯერ კიდევ პირენეის ნახევარკუნძულზე უწოდებდნენ უსაფუძვლოს, მისი იტალიური წარმოშობის გამო. ყველაფერი ეს კი ჩვენთვის ტრადიციად იქცა". ესპანური აღორძინების პოეზია "უსაფუძვლო" იყო მანამდე არსებულ კასტილიურ პოეზიასთან შედარებით, მაგრამ ამერიკაში მან "დაკარგა" თავისი "ზერელობა" და თავად იქცა საფუძვლად, ახალი ლიტერატურის წყაროდ.

"ჩვენ გულჩათხრობილი, საკუთარ თავში გამოკეტილი ადამიანები ვართ" - ამბობდა პასი და ლათინურ ამერიკას დახმული წარსულის მხარედ წარმოიდგენდა, სადაც უცხო ინსტიტუტების მიერ შენიღბულ სამყაროში, თითქმის, შეუძლებელი ხდებოდა საკუთარი თავის ამოცნობა.

ოცდაათიან წლებში, ამგვარი იდეების წინააღმდეგ გამოდიოდა ბორხესი და ლათინო-ამერიკელთა მარტოობისა და პრიმიტივიზმის დეკლარაციებში - ისევე, როგორც ეკვისტინციალიზმში - მხოლოდ მომხიბლავ პათეტიკას ხედავდა. "ჩვენი ტრადიცია - ესაა მსოფლიო კულტურა. ნურაფრის შეგვემინდება, ჩვენ მთელი სამყაროს მემკვიდრეებად უნდა მივიჩნიოთ თავი" - ამბობდა იგი და არგენტინელებს მოუწოდებდა, უარი ეთქვათ ამგვარ ცრურწმენებზე. 1950 წელს პასმაც აღიარა: "ჩვენ პირველად გავხდით კაცობრიობის თანამედროვენი", მაგრამ ეს "აღიარება" არ ნიშნავდა იმ დრამატიზმის განელებას, რო-

მელიც თანამედროვე ლათინო-ამერიკულისა და მისი წარსულის ურთიერთობას ახასიათებდა. პასისთვის ეს გაუცხოება მოუშუშებელ იარად დაჩა და იგიც, მთელი თავისი არსებით ამ სენის გააზრებასა და დაძლევის მიცვა, ცდილობდა ამოეცო მშობლიურ დრო-სივრცეში შექმნილი სიცარიელე. შეიძლება ითქვას, XX საუკუნის ლათინო-ამერიკულ ლიტერატურასაც სწორედ ეს ორი "არქივარიუსი" წარმოადგენდა და განსაზღვრავდა, ბორხესი და პასი. ბორხესი - მოთამაშე ბრძენი, ინტელექტუალთა ნუგეში და პასი - კულტურული გმირი, ნუგეში ადამიანთათვის, ადამიანი - ლიტერატურა.

მკვლევრები პასს მითიურ პროტევს ადარებენ ხოლმე - იგი მეტამორფოზათა ოსტატია და არასდროს იმეორებს თავს, მისი ოცივე პოეტური კრებული განსხვავდება ერთმანეთისგან მასალით, სახეებით, მელოდიკით, ასეთივე განსხვავებულია მისი თეორეტიკული ნაშრომების თემატიკაც (პასის ესეები თოთხმეტ ტომს ითვლის). კოლუმბამდელი არქაიკა თუ ძველი ბერძნული ლიტერატურა, კოლონიალური ბაროკო და რომაელი პოეტები, აღმოსავლური რელიგია, ექსპერიმენტული ფერწერა, დასავლეთევროპული სიმბოლიზმი და სიურეალიზმი, პოეტური სიტყვის ფილოსოფია, სტრუქტურალიზმი, ტოტალიტარული სახელმწიფოს კრიტიკა და თანამედროვე შემოქმედთა პორტრეტები. პასს გათავისებულებს და გააზრებული ჰქონდა მსოფლიო კულტურის სხვადასხვა ეპოქიდან და არეალიდან მიღებული ფილოსოფიურ-

ესთეტიკური კონცეფციები, იგი უნივერსალისტი იყო პოეზიაშიც და პროზაშიც. "პასისთვის ლიტერატურა ცივილიზაციის სინონიმია" - აღნიშნავდა კარლოს ფუენტესი და თანამემამულეს შემდეგი ირონიული ფორმულით ახასიათებდა: "მექსიკის ღვიძლი შვილი, ლათინური ამერიკის ძმა, ესპანეთის გერი, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის შვილობილი, იაპონიისა და ინდოეთის ოჯახის მეგობარი, ამერიკის შეერთებული შტატების უკანონო შვილი (ისევე როგორც ჩვენ ყველანი)".

ოქტავიო პასი მამით ინდიელი იყო, დედით კი ესპანელი, იგი 1914 წლის 31 მარტს დაიბადა მეხიკოს გარეუბანში. პირველი ლექსები 16 წლისამ გამოაქვეყნა, ერთი წლის შემდეგ პირველი ესეც დაბეჭდა. 23 წლის ასაკში პირველად ეზიარა ინდიელთა კულტურას, გაეცნო მათ ყოფას. რამდენიმე თვეში, პასლო ნერუდას მოწვევით ესპანეთში გაემგზავრა, ანტიფაშისტური ძალების მეორე საერთაშორისო კონგრესზე; აქვე, ესპანეთში გამოვიდა მისი პოეტური კრებულები "ნო პასარან", "შენს ნათელ ჩრდილქვეშ და სხვა ლექსები ესპანეთის შესახებ", შეუერთდა ფრანკოს წინააღმდეგ მებრძოლ მემარცხენურ-ესპანელიკურ ძალებს და მექსიკელი მხატვრის, დავიდ ალვარო სიკეიროსის ბრიგადაშიც ჩაირიცხა. შემდეგ იყო ამერიკის შეერთებული შტატები - სტიპენდია ბერკლის უნივერსიტეტში, პარიზი - მუშაობდა მექსიკის საელჩოში, კულტურის ატაშედ, დაუახლოვდა სიურეალისტებს, იმოგზაურა შვეიცარიაში, ინდოეთსა და იაპონიაში.

პასი ბევრს მოგზაურობდა, მოვლილი ჰქონდა ყველა კონტინენტი, იცნობდა ჩვენი საუკუნის, თითქმის, ყველა მნიშვნელოვან ფიგურას და მაინც, იგი საოცრად მარტოსული ადამიანი იყო... მარტოობა მისი შემოქმედების მთავარ თემად იქცა და ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებშიც ეს სიტყვა ძალზე ხშირად უღერს: 1920 წელს, მექსიკის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, პასების ოჯახი ლოს-ანჯელესში გადავიდა საცხოვრებლად, ექვსი წლის ოქტავიოს ამერიკულ თანატოლებთან ერთად მოუწია სწავლის გაგრძელება და სამუდამოდ დაამახსოვრდა ის დღე, როცა მასწავლებელმა და მოსწავლეებმა წამოცდნენილი ესპანური სიტყვით გამოაჯავრეს (ინგლისური ეკვივალენტი ვერ გაიხსენა): "მეგონა სრულიად მარტო დავრჩი. იქნებ ყველაფერი, რაც შემდეგ დავწერე ჩემი ქვეყნის შესახებ, ამ ბავშვურ წყენაზე რეაქცია იყო" - იხსენებდა პოეტი. 1939 წელი: "პიტლერისა და სტალინის პაქტი აღმამფოთელი იყო. მე წამოვედი ჟურნალიდან და გავწყვიტე კავშირი კომუნისტებთან... საოცრად მარტო ვგრძნობდი თავს", ასეთივე მიუსაფარი იყო იგი აშშ-შიც, 1944-45 წლებში... რამდენიმე წლის შემდეგ მისი ესეების კრებულიც გამოვიდა, სახელწოდებით "მარტოობის ლაბირინთი".

■ ■ ■

პასის ფილოსოფია შორს დგას რაციონალიზმისგან, იგი არაა სისტემა და უფრო პოეზიას ჰგავს, ლექსებით კი იგი ფილოსოფიურ სიღრმეებს წვდება; აქ ხშირად შეხვდებით განსჯებს სიყვარულის, სიკვდილის შესახებ, სიტყვის ძალაზე, პოეზიის არსსა და შესაძლებლობებზე - ამ მხრივ, პასი ევროპულ პოეტურ ტრადიციას შეგვიძლია მივაკუთვნოთ, ჰორაციუსით დაწყებული - ვერლენით დამთავრებული.

პასის სამყაროს საფუძველი სიტყვაა, ადამიანი სიტყვისაგან შექმნილი არსებაა და შემთხვევითი არაა, რომ თავის საყვარელ წიგნად მექსიკელი პოეტი ლექსიკონს - "სამყაროს დანაწევრებულ ასლს" - ასახელებდა ხოლმე; თუმცა, სიტყვა არამხოლოდ სახელს არქმევს სამყაროს, არამედ ცვლის კიდევ მას და პოეზია, ჩვეულებრივ მეტყველებასთან შედარებით, გაცილებით მეტი ენერჯითაა და შესაძლებლობებითაა დაჯილდოებული, იგი "სიტყვის გამოგონებაა".

თავის ერთ-ერთ ლექსში "წერილი ლეონ ფელიქსს", პასი აღნიშნავდა - პოეზია წამიერად მიყენებული ქრილობაა, ქრილობა, რომელიც არასდროს შუშდება და მას ყოველთვის ახლიდან კვთს დაკვირვებელი მკითხველი, ესაა დანის კვალი, რომელიც არასდროს იქცევა იარად.

პოეზია არ ხორცდება, იგი ღიაობაა, უფსკრული ორ სიტყვას შორის, ანალოგია, რომელიც პოეზიის მატერიალურ სივრცეს ქმნის.



ოქტავიო პასი და მექსიკის პრეზიდენტი ერნესტო ზედილიო.

# ოქტავიო პასი - გბოსანი ტენორტიტლანიდან



ელეონორ უაინბერგერი

შესაძლოა, მექსიკა ჩინეთზე მეტადაც კი წარმოადგენდეს შუა სამეფოს. ამჟამინდელ რეალობაში ეს შუა ჩრდილოეთ-სამხრეთის პოლიტიკურ ღერძზე არის წარმოდგენილი. ჩრდილოეთი ამერიკელებისთვის მექსიკა ასე თუ ისე მშვიდობიანი და საკმარისად კეთილგანწყობილი სახელმწიფოა "ჩვენსა" და ცენტრალურ ამერიკაში მოტრიალეთათვის სრულიად გაუგებარ მორევებს შორის. თავად მექსიკელებს კი თავიანთი სამშობლო ხახაში მოქცეულ ქვეყნად ესახებათ, რომელსაც ზემოდან იმპერიალიზმის ყბა აწვება, ქვემოდან კი - რევოლუციებისა.

ისტორიული თვალსაზრისითაც მექსიკა ყოველთვის შუა სამეფო იყო, ორ ოკეანეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის განფენილი. კორტესის 1519 წლის ლაშქრობამდე მექსიკა ქმნიდა აღმოსავლეთ კიდეს ტრანსოკეანური კულტურული წრისა - ჩინეთი, იაპონია და ინდოეთი, პოლინეზია, მექსიკა, პერუ და ეკვადორი, - რომლის ამომწურავი წვდომა, ალბათ, ვერასოდეს მოხერხდება, მაგრამ იგი ისევე და ისევე ასაჩინოებს თავს ოკეანის გაღმა შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებებში. კორტესის წყალობით კი მექსიკა - თავისი ენით, რელიგიითა და ხელისუფლებით - იქცა ესპანეთის იმპერიის სამხრეთ კიდედ, აცტეკ წინამორბედთა საბრძანებელს ყოველმხრივ რომ ჩამოუვარდებოდა.

სიტყვა "მექსიკის" შუაგულში ჭიბი არის ჩამალული ("ქსი" ნუპატლის ენაზე). შუა სამეფოს ჭიბი კი იყო ქალაქი ტენორტიტლანი - წყლიდან ამოზრდილი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ, ამავე დროს, ზღვაუნახავი. ეს იყო დედაქალაქი იმპერიისა, რომელმაც საკუთარი თავი ვულკანებისა და

პირამიდების ცეცხლოვანი სფეროდან გამოასხივა და რომელმაც მთელი თავისი ხელოვნება და სისხლი მეორე - ზეციური - მზის შთანთქმას მიუძღვნა.

მექსიკა პლანეტარული მანდალის ცენტრს წარმოადგენდა (ქსენოფობიის განცდა გამუდმებით თან ახლავს აქ ჩამოსულ ადამიანს). სწორედ ამ მანდალის მოხაზულობის, მისი კონფიგურაციის ამომწურავ წვდომას მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება და ხელოვნება ოქტავიო პასმა. შერწყმათა ამ დიდოსტატმა შეცვალა მისი ნახაზი და, ამავე დროს, საკუთარი ავტოპორტრეტიც დახატა.

1914 წელს მეხიკოს გარეუბანში დაბადებული პასი ცენტრიდან რამდენიმე მიმართულებით გაუყვა მექსიკურ მანდალას. აღმოსავლეთისკენ მისი მამოძრავებლები იყო მარქსიზმი, ესპანეთის სამოქალაქო ომში რომ ამოაყოფინა თავი, და სიურრეალიზმი, 40-იანების პარიზში რომ ჩამოიყვანა; ჩრდილოეთისკენ მოძრავი პასი ომის შემდგომ სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში აღმოჩნდა (იქაურ უნივერსიტეტებში მასწავლებლობდა); დასავლეთის მიმართულებამ კი იგი 1952 წლის იაპონია-ჩინეთითა და 1962-68 წლების ინდოეთით გაამდიდრა (სადაც ის მექსიკის ელჩად მსახურობდა).

აშშ-დან მან გამოიყოლა განცდა განსაცვიფრებელი მასშტაბების ინდუსტრიული აღმავლობისა, მისი სამშობლოსთვის მხოლოდ ისტორიის მეორეხარისხოვან პერსონაჟად გადაქცევის პერსპექტივას რომ ნიშნავდა და, - ამ განცდიდან მომდინარე ნაციონალისტური პათოსი. ევროპაში მან ირწმუნა, რომ პოეზია "თანამედროვეობის ფარულ რელიგიას" წარმოადგენს, რომ სიტყვის რევოლუცია სამყაროს რევოლუციურ გარდაქმნასაც ნიშნავს, და რომ ერთიც და მეორეც შეუძლებელია სხეულის რევოლუციის გარეშე: მთელი ცხოვრება უნდა გადაიქცეს ხელოვნებად, რომლის მიზანი აზრისა და სხეულის, ადამიანისა და ბუნების მთლიანი ერთიანობის აღდგენა იქნებოდა. ინდოეთში, ბუდიზმიდან და ტანტრიზმიდან, მან ამოხაპა ვნების, როგორც რეალობის ილუზიური საფარით შემპურველი ძალის გაგება; მაგრამ, ამასთან ერთად, გაგება ვნებისა, როგორც სამყაროს განმათავისუფლებელი ძალისა. ეს არის ოქტავიო პასის ვნებანი თვითურაყოფის ხანა - სამყარო დაიშალა, დარჩა მხოლოდ გამჭვირვალეობა.

ამ "სიჩუმი ტრფიალი, მაგრამ განუწყვეტილ მოლაპარაკე" კაცის ამოურწყავ ცნობის მოყვარეობაში, მის მარად მოძრავ აზრში არის რაღაც აცტეკების ერთგანზომილებიანი დაუნდობელი ყოფისა. აცტეკი ხელოვანი - ტლაიოლტეუანი - არის

ის, ვინც გულით იმზირება. გულის გამომხატველი სიტყვა - იოლოტლი - ნაწარმოებია ოლინიდან - მოძრაობა. ტაძარ-პირამიდების ბანებზე ქურუმები ცოცხლად ამოგლეჯდნენ ხოლმე მსხვერპლს მკერდიდან გულს, რათა იგი მზეს შთაენთქა და მოძრაობა არ შეეჩერებინა. დრო აცტეკებს მბრუნავ ბორბლად, მზისგან დატრიალებულ დოლაზად წარმოედგინათ. ყველაზე უფრო ძრწოლის მომგვრელი კი მათთვის იყო სტასისი - შიში, რომ მზე და სამყარო ერთხელაც იქნება შეჩერდებოდა. თავის იმპულსურ ბუნებას ოქტავიო პასი, ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, საკუთარ ინდივიდუალობას, ტემპერამენტს უნდა უმადლოდეს, მაგრამ რაღაცით იგი აცტეკ წინაპრებსაც მოგვაგონებს. ტენორტიტლანში რომ დაბადებულიყო, პასი უეჭველად ერთერთი პოეტი-უფლისწული გახდებოდა; და მაინც, მე იგი უფრო პოეტად წარმომედგინა - რიგით წევრად პილიგრიმთა იღუმენტებით მოცული სექტისა, მზის საბრძანებლის ძიებაში იმპერიას კიდით კიდემდე რომ სერავდნენ.

მეტწილად პასს სამხრეთ-ამერიკელ სიურრეალისტად ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეგზოტიკურ ევროპულად მიიჩნევენ ხოლმე. და მაინც, იგი სულით ხორცამდე მექსიკელია, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლმხედველობა ყოველთვის კოსმოპოლიტიური ჰქონდა, და არასოდეს - სამამულო ნაციონალური. ერთი სუფიური ლეგენდის გმირივით, პასი უცხოეთში მიემგზავრებოდა ხოლმე იმის აღმოსაჩენად, რაც შინ დატოვა. იგი რემბოს "ფერადოვან" ხმოვანებაში სწორედ იმას ეძებდა, რაც აცტეკების "შეფერადებულ სიმღერებშიც" შეედლო ეპოვნა. საკუთარი ego-ს ფლანგვაში ვარჯიშისას პასი ხან "ავტომატურად წერის" მეთოდს იყენებდა, ხან კი - იაპონური ხელოვნებიდან ნასესხებ ხერხებს; და მაინც, იგი სისხლხორცეული ნაწილია ტრადიციისა, რომლის ფარგლებში პოეტს შეუძლია განაცხადოს: "ღმერთმა მე მაცნედ გამომგზავნა, ლექსად მაცქია".

პასის სტრიქონი - "სიტყვა - ყვავილი; სიტყვა - ნაყოფი და სიტყვა - საქმე" - სიურრეალისტსაც შეედლო შეეთხზა და აცტეკთა პოეტური ამქრის წევრსაც. ნაპუატლის ლირიკაში ამ ფორმას ქსანკუიკატლი ეწოდება (რასაც ასე თარგმნიან: "სიცოცხლისა და ციკლური დროის ზეიმი"). პოეტი მისი სიმღერით იქცევა ხედ და ლექსთან ერთად იზრდება, ხის ბოჭკოები იქცევა ნიგნის ბოჭკოებად და ნიგნში ლექსი ეწერება, ნიგნის ბოჭკოები კი იქცევა მატეს ბოჭკოებად - სამყაროული ენერჯისა და ძალაუფლების სიმბოლოდ.

პასის სიყვარული სხვადასხვა ნისლოვანი წარმონაქმნებისადმი ასევე ნაპუატლის ტრა-

დიციიდან მოდის. აცტეკები სამყაროს ორი ასპექტით აღწერდნენ: პოეზია იყო ყვავილი და სიმღერა, დიდება - ბოლი და ბურუსი, განცხრომა - ქარი და მხურვალეობა. ენჯილ გარიბეის სიტყვით, "ამ ორის შერწყმის ადგილას ჩნდება ნაპერწკალი, რომელსაც გაგება მოაქვს".


პასის გენიალური ტანტრული პოემა "ბლანკო" დიდად არის დავალებული სტეფან მალარმესგანაც და ეზრა პაუნდის იდეოგრაფიული მეთოდისგანაც; აქ თითოეული სტრიქონი და მასში მოცემული მხატვრული სახე თვითკმარი ბუნებაა. დისკრეტულ ტექსტში წვდომა, ჩინური იდეოგრაფიის არ იყოს, მხოლოდ მთლიანობის - დაწერილი და დაუნერული სტრიქონების სწინებით არის შესაძლებელი. და მაინც, "ბლანკო" ჩაფიქრებული და შესრულებულია როგორც წმინდა აცტეკური ქმნილება: სიმღერების მეშვეობით უფრო ფერადოვან ვიზუალურ ხატებად აჭრელებული, ვიდრე ვერბალურ ტექსტად მოცემული.

სიურრეალისტებს სურდათ თავი დაეღწიათ ევროპული რაციონალიზმისთვის და ამ მიზნისკენ მიმავალ გზად საკუთარი ძველი ტრადიციის აღორძინებასა და აბორიგენული კულტურების ათვისებას თვლიდნენ. პასის წინაშე სხვა ამოცანა იდგა

- ის, როგორც მექსიკელი, პოსტკოლონიური პროვინციალიზმის ბორკილებისგან უნდა გათავისუფლებულიყო... ამიტომ ევროპას მიმართა, სადაც ხმელთაშუაზღვისპირელი ერეტიკოსები აღმოაჩინა. ბედის ირონიაა, რომ სწორედ იმ დროს, როცა ცენტრალურამერიკელი ოქტავიო პასი მარკიზ დე სადისა და ფურიეს შესახებ წერდა, მისი მეგობარი ფრანგი პოეტი პერე თარგმნიდა მაიას ხალხის ნიგნს "ჩილამ ბალამ ჩუმაიელა".

სიურრეალისტების ლოზუნგი - "თავისუფლება, სიყვარული და პოეზია" - სხვადასხვა ზომით XX საუკუნის პირველი ნახევრის ხელოვანთა უმეტესობას მიესადაგება: ისინი ცხოვრებას სწირავდნენ წარმოსახვასა და სოციალურ რევოლუციებს, ხელოვნების მეტამორფოზებსა და ცხოვრების ხელოვნებასთან შერწყმას. ჯერ კიდევ გვიჭირს იმის გააზრება, რომ ეს ეპოქა წარსულს ჩაბარდა და უკვე კარგა ხანია ჩვენ ვინროპროფილიანი არტ-პრაქტიკოსების ერაში შევებიჯეთ. უეჭველია, კიდევ ბევრი რამ შეიცვლება, პოეტებიც კიდევ მოვლენ... მაგრამ დღეს პასი, ალბათ, ერთადერთი ხელოვანია, ვინც მოასწრო სამყაროს საკუთარი, განუმეორებელი რუკა შეექმნა.

**ინგლისურიდან თარგმნა  
მიქაელ ირაბაქია**



REUTERS

# როგორ არ ვილაპარაკოთ ფეხბურთზე

უმბერტო ეკო

სულაც არა ვარ ფეხბურთის წინააღმდეგი. სტადიონზე არ დავდივარ, იმავე მიზეზით, რატომაც არ წავალ, მაგალითად, ღამის გასათევად მილანის ცენტრალური სადგურის მიწისქვეშა გადასასვლელებში, ან ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში არ მოყვები სეირნობას სალამოს ექვსი საათის შემდეგ. მაგრამ თუ შემთხვევა მეძლევა, სიამოვნებითა და ინტერესით ვადევნებ თვალს ტელევიზიით გადმოცემულ რომელიმე მნიშვნელოვან მატჩს, რადგანაც ამ კეთილშობილი თამაშის ღირსებებს ვაღიარებ. მე არ მძულს ფეხბურთი. მე მძულს ფეხბურთის გულშემატიკვრები.

აქ კი მინდა, რომ სწორად გამოვიკითხო. გულშემატიკვრების მიმართ იგივე გრძნობები მამოძრავებს, რაც ლომბარდიის ლიგას — იმიგრანტების მიმართ: “რასისტი არა ვარ, ოღონდ შინ დაეტიონ”. შინ, ესე იგი, იმ ადგილებში, სადაც ფეხბურთის მესვეურებს კვირის განმავლობაში უყვართ თავმოყრა (ბარები, ოჯახები, კლუბები), და სტადიონებზეც, სადაც არ მაინტერესებს, რა ხდება და კიდევ უკეთესი, თუ ლივერპულელი ბიჭები ჩამოდიან, რადგანაც მერე ახალი ამბების კითხვით ვერთობი: თუ ძველი რომისა არ იყოს, ჩვენთანაც უნდა არსებობდეს სანახაობები, მაშინ სისხლი მაინც დაღვარონ.

არ მიყვარს ფეხბურთის გულშემატიკვარი, რადგან ერთი უცნაური თვისება აქვს: ვერაფრით გაუგია, როგორ მოხდა, რომ შენც მისნაირი არა ხარ და შენთან საუბარს ისე განაგრძობს, თითქოს მისი მსგავსი იყო. იმის ასახსნელად, თუ რას ვგულისხმობ, ერთ მაგალითს მივმართავ. მე ფლეიტაზე ვუკრავ (რაც დრო გადის, სულ უფრო



უმბერტო ეკო და ყოფილი სარამაგუ.

უარესად, როგორც საჯაროდ განაცხადა ლუჩანო ბერიომ — უნდა ვაღიარო, რომ დიდი ოსტატების მხრიდან ასეთი ყურადღება კმაყოფილებას მგვრის). წარმოვიდგინოთ ახლა, რომ მატარებელში ვიმყოფები და ისე, საუბრის წამოსაწყებად ვეუბნები ჩემს წინ მჯდომ ბატონს:

- ფრანს ბრიუგენის ბოლო დისკი თუ მოისმინეთ?
- ბატონო?
- ხომ იცით, Pavane Lacryme. ჩემი აზრით, დასაწყისში ზედმეტად ანელებს.
- მაპატიეთ, ვერ გავიგე.
- ვან ეიკი-მეთქი. (ვუმარცვლავ) ბლოკ-ფლე-იტა.
- იცით, მე... ის ხომ არაა, აი, “სმიჩოკით” რომ უკრავენ?
- აჰ, მესმის თქვენ არ...

- დიახ, მე არ...
- ჰმ, საინტერესოა. მაგრამ იცით, ხელით ნაკეთი კუულსმარომ იშოვოთ, სამი წელი უნდა იდგეთ რიგში? ამ შემთხვევაში ჯობია ებანოზის ხისგან გამოთლილი მოეკი. საუკეთესოა იმათ შორის, რისი ყიდვაც შეიძლება. გაძელონიმაც ეს მითხრა. ერთი ეს მიბრძანეთ, Derdre Doen Daphne D'Over-ის მეხუთე ვარიაციამდე თუ ჩასულხართ?
- კაცმა რომ თქვას, მე პარმაში მივდივარ.
- აჰა, გასაგებია... თქვენ ფაწყობაში უკრავთ და არა დო-ში. ცხადია, ეს ტკობის უფრო სრული შეგრძნებაა. მაგრამ ერთი მაჩვენა, ტელემანის ფანტაზიას როგორ დაძლევიდით! არ მითხრათ, რომ გერმანული აპ-

- ლიკატურა გირჩევნიათ!
- გერმანელები... იცით, ბემ-ვე, მართლაც, მაგარი მანქანაა, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ...
- აჰა, გასაგებია, ბაროკოს აპლიკატურას იყენებთ. სწორი არჩევანია. მაგრამ აი, სენ მარტენი რომ განვიხილოთ...
- არ ვიცი, რამდენად შეეძელი ჩემი აზრის ნათელყოფა. მაგრამ მგონია, რომ თქვენც არ გაგიკვირდებათ, თუ ჩემი უიღბლო თანამგზავრი ზარის ღილაკს დაეძგერება გამცილებლის გამოსაძახებლად. იგივე მოგვდის ფეხბურთის გულშემატიკვართან ურთიერთობისას. განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში ვარდები, როცა ტაქსის მძღოლს ესაუბრები:
- ნახეთ ვიალი?

— არა, ალბათ, ჩემს არყოფნაში მოვიდა.

— კი მაგრამ დღეს ხომ უყურებთ თამაშს?

— არა, “მეტაფიზიკის” მეექვსე წიგნს უნდა ჩავუჯდე. ხომ იცით, სტაგირიტი...

— კარგი, ნახეთ და მერე მომიყვით. ჩემი აზრით, ვან ბასტენი 90-იანი წლების მარადონა იქნება. რას იტყვით? მე მაინც ჰაჯის ვამჯობინებ...

და ასე შემდეგ უსასრულობამდე. თითქოსდა კედელს ესაუბრები. ვერ ვიტყვით, თითქოს, მისთვის სულერთი იყოს, რომ ჩემთვის სულერთია. უბრალოდ, წარმოდგენაც კი არ შეუძლია, რომ ვინმესთვის შეიძლება სულერთი იყოს. ამას მაშინაც ვერ მიხვდებოდა, სამი თვალი რომ მქონოდა, მომწვანო ქერცლით დაფარული კეფა და შუბლზეც აცქვეტილი ანტენა. გულშემატიკვარს შესაძლებელ სამყაროთა მრავალფეროვნებისა და შეუდარებლობის, მათი სხვადასხვაობის უმცირესი გაგებაც კი არ გააჩნია.

ტაქსის მძღოლი-მეთქი, მაგრამ იგივე მეორდება გაბატონებული კლასის წარმომადგენლებთანაც. ეს კუჭის წყლულსა ჰგავს, ღარბსაც და მდიდარსაც ერთნაირად რომ ერჩის. მაგრამ, ნამდვილად, საკვირველია, რომ ყველა ადამიანის თანასწორობასა და მსგავსებაში ასე ალალად დარწმუნებული არსებები მზად არიან თავი გაუტეხონ მოსაზღვრე პროვინციიდან ჩამოსულ გულშემატიკვარს. ეს ეკუმენური შოვინიზმი განცვიფრების შეძახილს წამომაცდენინებს ხოლმე. იმას ჰგავს, ლომბარდიის ლიგის წევრებს რომ გამოეცხადებინათ: “გამოუშვით ჩვენთან აფრიკელები. მერე კი ნახეთ, რა დღეს დაგაყრით”.

იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლაღარიამ

